

**შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი**

**სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და  
სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი**

**სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი**

**ირაკლი მანგელიძე**

**ეპროკავშირი - გლობალური  
საერთაშორისო აქტორი**



**გამომცემლობა „უნივერსალი“**

**თბილისი 2011**

**UDK (უაკ) 341·217 (4)**

**მ-27**

წიგნში განხილულია ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი. ნაჩვენებია ევროკავშირის ადგილი და როლი გლობალურ პოლიტიკაში, მისი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართულებები, განხორციელების მექანიზმები და ხელისშემშლელი მიზეზები. წინამდებარე ნაშრომი არის პოსტბიპოლარულ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში ევროკავშირის, როგორც ინტეგრაციული გაერთიანების ფენომენის, და დამოუკიდებელი გლობალური აქტორის როლის ჩვენების ცდა.

***რედაქტორი:***

პროფ. კახაბერ სურგულაძე

***რეცენზენტები:***

პროფ. ნოდარ მუშკუდიანი

პროფ. ტარიელ ჭილვარია

**ევროკავშირი - გლობალური საერთაშორისო აქტორი, თბილისი, 2011**

© ირაკლი მანველიძე, 2011

E-mail [irakli.manvelidze@yahoo.com](mailto:irakli.manvelidze@yahoo.com)

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011

თბილისი, 0179, 0, ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)

ISBN 978-9941-17-413-1

## შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი..... 4

### თავი I

#### ევროკავშირი - გლობალური საერთაშორისო

აქტორი .....8

1. ევროკავშირი გლობალურ პოლიტიკაში..... 8

2. ევროკავშირი, როგორც საერთაშორისო აქტორი ..... 36

### თავი 2

#### ევროკავშირის პოლიტიკა უსაფრთხოებისა

და თავდაცვის საკითხებში .....52

1. ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის

პოლიტიკა..... 52

2. ევროკავშირისა და ნატოს ურთიერთდამოკიდებულება ..... 77

### თავი 3

#### ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის

ზოგიერთი ასპექტი.....85

1. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მიმართულებები .....85

2. ევროკავშირი და რუსეთი..... 88

3. ევროკავშირის ხმელთაშუაზღვისპირეთის პოლიტიკა ..... 94

4. ევროკავშირის პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში ..... 106

5. ევროკავშირის ანტიტერორისტული პოლიტიკა ..... 116

6. ევროკავშირის საგარეო ენერგეტიკული პოლიტიკა ..... 123

დასკვნა..... 148

რეზიუმე ინგლისურ ენაზე ..... 152

რეზიუმე რუსულ ენაზე ..... 154

დამატებითი წყაროები და ლიტერატურა ..... 157

## შესავალი

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ევროპულმა იდეამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა პოლიტიკურ დისკურსში, მაგრამ მას არ მოჰყოლია კონკრეტული ნაბიჯები. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპელი ლიდერები მივიდნენ დასაკვნამდე, რომ თანმშრომლობა და ერთობლივი ძალისხმევა ეს არის საკუთესო საშუალება მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევის და შენარჩუნებისათვის რეგიონში. მათი აზრით რეგიონის ქვეყნებს შორის ინტეგრაციის გაღრმავება და ზენაციონალური ინსტიტუტების ჩამოყალიბება ეს იყო ყველაზე ოპტიმალური საშუალება ერთობლივი ძალისხმევით გამკლავებოდნენ არსებულ საერთო გამოწვევებს და მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინათ გლობალურ პოლიტიკაში.

თანამედროვე ეტაპზე გაერთიანებული ევროპა წარმოადგენს საკმაოდ მნიშვნელოვან და წონიან მოთამაშეს საერთაშორისო ურთიერთობებში. მიუხედავად იმისა, რომ მისი პოლიტიკური გავლენა არ შეესაბამება მის ეკონომიკურ და სავაჭრო წონას მსოფლიო მასშტაბით. ევროკავშირმა რომ სრულად გამოიყენოს თავისი გავლენა, საჭიროა გააერთიანოს ანალიტიკური რესურსები, გააუმჯობესოს გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები, გამოვიდეს ერთიანი ფრონტით საერთაშორისო არენაზე და აამაღლოს საგარეო ქმედებების მჭიდრო კავშირი გაერთიანების შიგნით.

ევროკავშირი არის ყველაზე ძლიერი რეგიონალური დაჯგუფება მსოფლიოში, რომელიც აშშ-ს და იაპონიისათან ერთა ქმნის საბაზრო ეკონომიკის გლობალური სისტემის სამ ცენტრს ე.წ. ტრიადას. მხოლოდ მას აქვს ზენაციონალური ინსტიტუტები და სამართალი, მას აქვს საკუთარი პარლამენტი, ცენტრალური ბანკი, აუდიტორული პალატა, სასამართლო, მინისტრთა საბჭო და კონსტიტუცია (პროექტის

დონეზე). ევროკავშირს აქვს საკუთარი ბიუჯეტი, რომელიც ყალიბდება განსაზღვრული პრინციპით და, რაც საშუალებას აძლევს მას დააფინანსოს ის ღონისძიებები, რომლებიც ინტეგრაციის გაღრმავებას, განვითარებას და განმტკიცებას შეუწყობს ხელს. ევროკავშირს აქვს ასევე საკუთარი ვალუტა, რომელმაც უკვე 2002 წლის 1 იანვრიდან დომინირებული ადგილი დაიკავა მისი წვერი სახელმწიფოების უმრავლესობაში, რომლებიც შედიან ეკონომიკურ და სავალუტო კავშირში. რეგიონში ინტეგრაცია გახდა ძლიერი სტიმული ეკონომიკური ზრდის, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დამაჩქარებელი და ხელის შემწყობი წვერი სახელმწიფოების კონკურენტუნარიანობისა მსოფლიო ბაზარზე. ეს წარმატებები მიღწეული იქნა ნახევარსაუკუნეზე მეტი ხნის განვალლობაში, რომელიც გამოიხატა ევროპის ინტეგრაციაში<sup>1</sup>.

თუმცა, მოცემულ ეტაპზე ევროკავშირს საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისას, უხდება ურთიერთობების არჩევა მე-20 საუკუნის განმავლობაში თანდათანობით ჩამოყალიბებულ ორი მთავარ ისეთ სტრატეგიულ ტენდენციას შორის, როგორცაა ევროპეიზმი ან ატლანტიზმი. ინტეგრაციული პროცესების განვითარების ჩარჩოებში საგარეო პოლიტიკის ევროპულ ვექტორს ჩვეულებრივ აქვს მისწარფება ევროპული ქვეყნების მჭიდრო ურთიერთობებისკენ და საერთო პოლიტიკის განხორციელებისკენ, ხოლო კურსი კი მიმართულია სტრატეგიული სამოკავშირეო ურთიერთობების მხარდაჭერაზე აშშ-თან, რომელიც ხასიათდება როგორც ატლანტიკური. ორივე ტენდენცია არსებობს ევროპულ პოლიტიკაში. ამ ხარისხით მათი გამოხატულება თავს იჩენს როგორც პოლიტიკურ კონიუნქტურასთან დაკავშირებული მოკლევადიანი რყევების, ასევე გრძელვადიანი ფაქტორების პირობებში, რაც საშუალებას იძლევა ვისაუბროთ ევროპული სა-

---

<sup>1</sup> Шемятенков В.Г. Европейская интеграция. - М., 2003. С.5.

ხელმწიფოების ე.წ. „ატლანტურ“ ან „ევროპულ“ პოლიტიკაზე?

პრობლემები, რომლებიც ხდება 21-ე საუკუნეში ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოში, ატარებენ გლობალურ ხასიათს. მათი გადაწყვეტა კი შესაძლებელია მხოლოდ საერთო სტრატეგიის შემუშავებით. არცერთ მხარეს არ შეუძლია სრულად დაიცვას ნაციონალური ინტერესები სხვა ქვეყნებთან ურთიერთკავშირის გარეშე. განსაკუთრებით კი ეს იტალიის საგარეო, თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკების შესახებ, რომლებიც არიან ყველაზე აქტუალური საკითხები ევროპის სტაბილურობის უზრუნველყოფის საქმეში.

ევროკავშირში, რომელშიც გაერთიანებულია 27 სახელმწიფო თავისი 500 მილ. ადამიანის შემადგენლობით, აწარმოებს მსოფლიოს მთლიანი პროდუქტის მეოთხედს. აქედან გამომდინარე, არსებობს იმის საფუძველი, ვიფიქროთ, რომ იგი მიჩნეული უნდა იქნეს საერთაშორისო ურთიერთობების დამოუკიდებელ მოთამაშედ.

ევროკავშირი არის მრავალსექტორიანი ინტეგრაციის განვითარებული ფორმა, რომლის კომპეტენცია ვრცელდება ევროპის 27 სახელმწიფოს ეკონომიკაზე, მრეწველობაზე, მოქალაქეთა უფლებებზე, საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. ევროპულ ხელშეკრულებათა დადებისას ნევრი სახელმწიფოები სუვერენიტეტის ნაწილს გადასცემდნენ იმ დამოუკიდებელ ინსტიტუტებს, რომლებიც იცავენ ეროვნულ და საერთო ინტერესებს. ევროკავშირის გამგებლობაშია საერთო ეკონომიკური ბაზარი, საბაჟო კავშირი, ერთიანი ვალუტა, საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა და სხვა.

---

<sup>2</sup> Европеизм и атлантизм в политике стран Европейского союза, ред. Н.К.Арбатова, М., 2009, с.4.

დასახული მიზნების განხორციელების გზაზე ევროპის სახელმწიფოებმა შეძლეს გვერდი აევლოთ სერიოზული კრიზისებისა და დაბრკოლებებისათვის, შეენარჩუნებინათ იდეების ხელშეუხებლობა და ურღვევობა. ევროკავშირის ძირითად მიღწევად უნდა ჩაითვალოს ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფა ნევრ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ჩათრეულნი იყვნენ სხვადასხვა შეიარაღებულ კონფლიქტებში და დემოკრატიული თანხმობა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება საერთო მიზნები. ეს მიღწეული იქნა ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გატარებით.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენი მიზანი იყო გვეჩვენებინა ევროკავშირის საგარეო, თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკების ზოგიერთი ასპექტი. აგრეთვე ევროკავშირის ადგილი და როლი საერთაშორისო ურთიერთობებში, ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართულებები, განხორციელების მექანიზმები და ხელისშემშლელი მიზეზები. ნაშრომის აქტუალობას განაპირობებს საკუთრივ ევროკავშირის, როგორც ინტეგრაციული გაერთიანების ფენომენი, რომელიც თანდათან იმკვიდრებს ერთ-ერთი დამოუკიდებელი გლობალური აქტორის როლს პოსტბიპოლარულ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში.

აქვე, გვინდა დავძინოთ, რომ წიგნზე გამოთქმული მკითხველის შენიშვნები ყურადღებით იქნება მიღებული ავტორის მხრიდან.

# თავი I

## ევროკავშირი – გლობალური საერთაშორისო აქტორი

### 1. ევროკავშირი გლობალურ პოლიტიკაში

პოსტბიპოლარული საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში ევროკავშირის მზარდი როლი და მნიშვნელობა უდავო ფაქტია. შესაბამისად, სამეცნიერო ლიტერატურაშიც კარგა ხანია ფიგურირებს აზრი ევროკავშირის, როგორც გლობალური ლიდერის შესახებ. მასზე საუბარია ყველა იმ მნიშვნელოვან სამეცნიერო-ანალიტიკურ ნაშრომში, რომლებიც ეხება გლობალურ პოლიტიკას და იმ ტენდენციებს, რომელთაც ადგილი აქვს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში. საერთაშორისო პოლიტიკაში ევროკავშირის როლის ზრდა გავლენას ახდენს მსოფლიო პოლიტიკის განვითარების ტენდენციებზეც.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში ინტეგრაციული პროცესები ინიცირებული იქნა იმ პოლიტიკური გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომლებიც მიღებული იქნა ევროპის კონტინენტის წამყვანი სახელმწიფოების ხელმძღვანელობის მიერ. ამ საქმეში, ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა „მარშალის გეგმამ“, რომელის ფარგლებში დასავლეთ ევროპამ მიიღო მნიშვნელოვანი მატერიალური დახმარება. გარდა ამისა, კოლონიური სისტემის დანგრევის შედეგად ყოფილი მეტროპოლიები იძულებულნი გახდნენ გადაეხედათ საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიისათვის და ყურადღება მიექციათ კავშირების გაღრმავებისათვის მეზობლებთან. მით უფრო რომ ბიპოლარული სისტემის ფორმირებისთანავე ერთის მხრივ, საჭიოთა კავშირიდან მომავალი საფ-



რთხე და ამის გამო აშშ-თან ალიანის შექმნა, რამაც ამ უკანასკნელის გავლენა გააძლიერა ევროპაზე, ევროპის წამყვანი სახელმწიფოები აიძულა ქმედითი ნაბიჯები გადაედგათ მსოფლიო პოლიტიკაში დამოუკიდებელი ხაზის გასატარებლად. საბოლოო ჯამში კი ყველაფერი დაკავშირებული იყო ერთიანი საგარეო, თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკების შემუშავებასა და გატარებასთან, რაც უზრუნველყოფდა სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას ევროპის კონტინენტზე.

ევროპის ინტეგრაციის პროცესში წამყვანი როლი საფრანგეთმა და გერმანიამ ითამაშეს. ვინაიდან საფრანგეთმა ჯერ კიდევ დე გოლის დროს გააცნობიერა, რომ მსოფლიო პოლიტიკაში ის უნდა ყოფილიყო მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოს როლის მოთამაშე და არა აშშ-ის მორჩილი. ეს კი მას შეეძლებოდა გერმანიასთან მჭიდრო კავშირით. ჯერ ერთი იმიტომ, რომ გერმანიას შეზღუდულად მიუწვდებოდა ხელი შეიარაღებაზე, მეორეც ვერ ითამაშებდა წამყვანი სახელმწიფოს როლს წარსულის შეუხსენებლად. მესამე, გერმანიის ეკონომიკური შესაძლებლობები აუცილებელი იყო საფრანგეთისათვის. ფაქტობრივად, ორივე სახელმწიფოს სჭირდებოდა ერთმანეთი. შესაბამისად, ახდენდნენ თავიანთი საგარეო პოლიტიკის სინქრონიზებას<sup>3</sup>.

ევროკავშირი მხარს უჭერს საკუთარი შიდა და საგარეო პოლიტიკური ინტერესების გლობალურ კონტექსტში განხილვას, ვინაიდან ისინი თვლიან, რომ ტრანსნაციონალურ ეპოქაში გეოგრაფიულად შორეული რეგიონებიდან მომდინარე საფრთხე ისევე იწვევს დიდ ყურადღებას და საზრუნავს, როგორც ახლომდებარე არეალიდან მომდინარე იგივე პრობლემები.

---

<sup>3</sup> Нестеров А.Г., Европуйская безопасность: вызовы и проблемы, Екатеринбург, 2008, с. 10

საერთაშორისო ტერორიზმი, ბირთვული საფრთხეები, რომლებიც არსებობს ჩრდილო კორეასა და სამხრეთ აზიაში, ახლო აღმოსავლეთის უსაფრთხოება, სიტუაცია ავღანეთსა და ეკვატორულ აფრიკაში, ეგვიპტესა და ლიბიაში, ომის შემდგომი რეკონსტრუქცია, რეფორმები ბალკანეთსა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში – ეს არის არასრული სია იმ საერთაშორისო პრობლემებისა, რომლის გადაწყვეტაშიც ევროკავშირი პირდაპირ მონაწილეობას იღებს, როგორც ერთადერთი მამოძრავებელი საერთაშორისო სუბიექტი.

ევროკავშირის როგორც გლობალური აქტორის როლი მის მრავალმხრივ და ორმხრივ დიპლომატიაშიც ჩანს. მას დიპლომატიური ურთიერთობები აქვს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანასთან. ევროკავშირი მთავარი საერთაშორისო მოთამაშეების სტრატეგიული პარტნიორია, მჭიდრო ურთიერთობები აქვს მზარდი გავლენის მქონე ქვეყნებთან მთელს მსოფლიოში და ხელმონწერილი აქვს ასოცირების შესახებ ორმხრივი შეთანხმებები მეზობლად მდებარე რამდენიმე ქვეყანასთან. სხვადასხვა ქვეყანაში გახსნილი ევროკავშირის 136 წარმომადგენლობა, რომლებიც საელჩოს ფუნქციას ასრულებს.<sup>4</sup>

თავის ძირითად პარტნიორებთან ევროკავშირი რეგულარულად, წელიწადში ერთხელ ან ორჯერ, ატარებს სამიტებს, მაგ., აშშ-თან, იაპონიასთან, რუსეთთან და კანადასთან ერთად. დისკუსიები, რომლებიც თავიდან, უმთავრესად, ვაჭრობის გარშემო ტრიალებდა, ახლა უამრავ პოლიტიკურ საკითხსაც ეხება. მაგ., განიხილება გარემოს დაცვის საშუალებები, საერთაშორისო დანაშაულებრიობასთან და ნარკობიზნესთან ბრძოლის გზები და ადამიანის უფლებათა საყო-

---

<sup>4</sup> ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, იხ. ბმული: [http://eeas.europa.eu/delegations/georgia/what\\_eu/what\\_we\\_do/index\\_ka.htm](http://eeas.europa.eu/delegations/georgia/what_eu/what_we_do/index_ka.htm)

ველთაო დამკვიდრების ხელშეწყობა. თავის პოზიციას ევროკავშირი უზიარებს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციას, როგორცაა გაერო, მსოფლიო ბანკი და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია. იგი მათთან თანამშრომლობს მშვიდობის და უსაფრთხოების საერთო მიზნებისთვის.

ორმხრივი ხელშეკრულებების გარდა, ევროკავშირს მჭიდრო ურთიერთობა აქვს როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ისე ქვეყნების სხვა რეგიონულ დაჯგუფებებთან. ევროკავშირი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ინტეგრაციის რეგიონული ფორმების წახალისებას, ვინაიდან ეს ხელს უწყობს დიდი, გაერთიანებული ადგილობრივი ბაზრების შექმნას და საშუალებას აძლევს მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილებში მდებარე ქვეყნებს, უფრო აქტიური და ნაყოფიერი მონაწილეობა მიიღონ მსოფლიო მნიშვნელობის საკითხების გადაჭრაში.

აზიაში ევროკავშირს უფრო მძლავრი რეგიონული თანამშრომლობა აქვს დამყარებული სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ერების ასოციაციასთან (ASEAN). სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ერების ასოციაციის წევრი ბირმა/მიანმარი არ შეუერთდა ევროკავშირსა და ამ ასოციაციის წევრ სახელმწიფოების შორის დადებულ შეთანხმებას. რეგულარულად ტარდება აზიასა და ევროპას შორის შეხვედრები (ე.წ. ASEM-ის პროცესი) სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ერების ასოციაციის წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობის, აგრეთვე, ჩინეთის, იაპონიისა და კორეის მონაწილეობით.

ლათინურ ამერიკაში ევროკავშირს ძირითადი პარტნიორული ურთიერთობები დამყარებული აქვს ქვეყნების „სან ხოსეს ჯგუფთან“ (კოსტა რიკა, ელ სალვადორი, გვატემალა, ჰონდურასი, ნიკარაგუა და პანამა), „მერკოსურთან“ (არგენ-

ტინა, ბრაზილია, პარაგვაი და ურუგვაი), „ანდების საზოგადოებასთან“ (ბოლივია, კოლუმბია, ეკვადორი, პერუ და ვენესუელა) და ქვეყნების „რიოს ჯგუფთან“ (არგენტინა, ბოლივია, ბრაზილია, ჩილე, კოლუმბია, ეკვადორი, მექსიკა, პანამა, პარაგვაი, პერუ, ურუგვაი და ვენესუელა).

ევროკავშირი მხარს უჭერს აფრიკის, კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებში რეგიონულ დაჯგუფებათა წარმოქმნას და მჭიდროდ თანამშრომლობს სამხრეთ აფრიკის განვითარების საზოგადოებასთან. თავის ტერიტორიასთან უფრო ახლოს კი ევროკავშირს განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა აქვს (მაგალითად, საერთო ბაზართან დაკავშირებულ საკითხებში, აგრეთვე, ზოგიერთ სხვა სფეროში, როგორც არის გარემოს დაცვა და კონკურენცია) ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის სამ წევრთან - ისლანდიასთან, ნორვეგიასა და ლიხტენშტეინთან, რომლებიც, ევროკავშირთან ერთად, შედიან ევროპის ეკონომიკურ ზონაში. ამ ასოციაციის უნიკალური დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ სამი ქვეყანა მონაწილეობას იღებს გადამწყვეტილებათა მიღებაში ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე. ვინაიდან შვეიცარია, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის მეოთხე წევრი, არ შედის ევროპის ეკონომიკურ ზონაში, ევროკავშირი აძლიერებს თავის კავშირს ამ ქვეყანასთან შვიდი შეთანხმების საშუალებით. ეს შეთანხმებები მოიცავს საკითხთა ფართო სპექტრს, დანყებული სოფლის მეურნეობით და კვლევით, დამთავრებული ტრანსპორტითა და ადამიანების თავისუფალი გადაადგილებით.

ერთ-ერთი უახლესი წამოწყებაა ე.წ. „ჩრდილოური ასპექტი“, რომელიც აახლოებს ერთმანეთს ევროკავშირის მე-

ზობლებს - რუსეთსა და კანდიდატ ქვეყნებს ჩრდილოეთ ევროპიდან.<sup>5</sup>

თავისი შიდა პოლიტიკისა და გლობალური საფრთხეების შეფასებაში ევროკავშირი ახლოს დგას ამერიკის შეერთებულ შტატებთან. თუმცა მისი პოლიტიკური ბუნება, უნიკალური გეოპოლიტიკური სპეციფიკა და ეკონომიკური მიმართულების თავისებურებები განსაზღვრავენ გარკვეულ სხვაობებს საერთაშორისო სტრატეგიაში ბრიუსელსა და ვაშინგტონს შორის. ევროკავშირი მსოფლიო პოლიტიკაში ქმნის ლიდერობის საკუთარ სტილს და იგი არის უფრო თავშეკავებული და ფრთხილი ვიდრე აშშ, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლებელია მან არ დათმოს მისი პოზიციები და არ ჩამორჩეს აშშ-ს. ევროკავშირის სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური ასპექტები იძლევა იმის მყარ საფუძველს, რომ მან პრეტენზია განაცხადოს გლობალურ აქტურობაზე საერთაშორისო პოლიტიკაში.

ევროკავშირში, რომელშიც გაერთიანებულია 27 სახელმწიფო თავისი დაახ. 500 მილ<sup>6</sup>. ადამიანის შემადგენლობით, აწარმოებს მსოფლიოს მთლიანი პროდუქტის მეოთხედს. აქედან გამომდინარე, არსებობს საფუძველი იმისათვის, რომ იგი ჩართული იყოს გლობალური მოთამაშეების წრეში.<sup>7</sup>

საერთაშორისო სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ევროკავშირი თავისი მოსახლეობით აღემატება, აშშ-ს (290,3 მილ), რუსეთს (144,5 მილ.), იაპონიას (127 მილ.),

---

<sup>5</sup> ევროკავშირი და მსოფლიო, თბ., 2002

<sup>6</sup> ევროპის კავშირი, თავისუფალი ენციკლოპედია ვიკიპედია - <http://ka.wikipedia.org>

<sup>7</sup> A Secure Europe in a Better World. European Security Strategy. Adopted at the European Council meeting in Brussels, December 12, 2003. P. 1. იხ. ბმული <http://ue.eu.int/solana/docs/031208ESSIEN.pdf>

თუმცა ჩამორჩება ჩინეთს (1,287 მილ.) და ინდოეთს (1,05 მილ.).<sup>8</sup>

ევროკავშირის საერთო ფართობია 4 892 685 კმ<sup>2</sup>.<sup>9</sup> შედარებისათვის: აშშ-ის და ჩინეთის ფართობი დაახლოებით შეადგენს 9,6 მილ.კმ<sup>2</sup>-ს. ამ მაჩვენებლის მიხედვით მათ წინ უსწრებენ მხოლოდ რუსეთი და კანადა (17,1 და 10,0 მილ. კმ<sup>2</sup>). 2001 წლისათვის ევროკავშირის მარტო 15 ქვეყნის მშპ მიმდინარე ფასებში შეადგენდა 8,7 მლრდ. დოლარს. ეს 22%-ით ნაკლები იყო, ვიდრე აშშ-ს მშპ (11,2 მლრდ. დოლარი), მაგრამ ორჯერ მეტი ვიდრე იაპონიისა და ჩინეთის მშპ (4,5 და 3,85 მლრდ. დოლარი). თუმცა, მშპ-ს მაჩვენებლით ერთ სულ მოსახლეზე (20,7 ათასი დოლარი) ევროკავშირი ჩამორჩება აშშ-ს (36,5 ათასი დოლარი.) და იაპონიას (32,6 ათასი დოლარი.), მაგრამ 6,5 ჯერ აჭარბებს ჩინეთის დონეს (3,105 ათასი დოლარი).<sup>10</sup> ეკონომიკური ტემპის ზრდით ევროკავშირი წინ უსწრებს იაპონიას, მაგრამ მნიშვნელოვნად ჩამორჩება აშშ-სა. 1990 წლიდან 2003 წლამდე იაპონიაში მშპ წელიწადში საშუალოდ 0,3%-ით იზრდებოდა, ევროკავშირში 1,6%-ით, ხოლო აშშ-ში 2,8%-ით.<sup>11</sup> საკმაოდ სწრაფად განვითარდა ჩინეთის ეკონომიკა. დასავლეთის შეფასებით მისი ყოველწლიური ზრდა ბოლო ათწლეულის მანძილზე იყო არანაკლები

---

<sup>8</sup> CIA World Factbook 2003, იხ. ბმული: <http://www.cia.gov>.

<sup>9</sup> ევროპის კავშირი, თავისუფალი ენციკლოპედია ვიკიპედია, იხ. ბმული: <http://ka.wikipedia.org>.

<sup>10</sup> The European Union and World Trade / Compiled by Hanna Skytta. EU Commission Speakers Bureau. November 2002; The Economic Weight of Nations. იხ. ბმული <http://www.cesifo.de>.

<sup>11</sup> OECD Economic Outlook. November 2003. № 74. P. 50.

9%-ისა.<sup>12</sup> მნიშვნელოვანია მხედველობაში მივიღოთ ის, რომ ევროკავშირის ეკონომიკური ზრდის შედარებით დაბალი მაჩვენებელი გამოწვეული იყო თვით ევროკავშირის პოლიტიკიდან გამომდინარე. კერძოდ, ევროკავშირი ემზადებოდა ერთიანი ვალუტის შემოღებისათვის და გააზრებულად ხდებოდა ეკონომიკური ზრდის შეჩერებას და უპირატესობა ენიჭებოდა ინფლაციის შეზღუდვის ამოცანებს, სახელმწიფო ვალისა და დეფიციტის შემცირებას.<sup>13</sup> ამჟამად ერთობლივი ეროვნული პროდუქტისა და საგარეო ვაჭრობის მასშტაბებით ევროპის კავშირი წინ უსწრებს აშშ-ს და იაპონიას<sup>14</sup>.

ევროკავშირი მსხვილი მოთამაშეა საერთაშორისო ვაჭრობაში. ევროკავშირის მარტო 15 ქვეყნის საგარეო ვაჭრობის მოცულობამ 2002 წლისათვის მიაღწია 1,87 ტრილიონ დოლარს, ამ დროს ევროკავშირის და აშშ-ის წილი საერთაშორისო ვაჭრობაში 2002 წლისათვის იყო 18,5% და 18,7%.<sup>15</sup> ჩინეთი საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში ძლიერ ჩამორჩებოდა ევროკავშირს და აშშ-ს. მისი წილი მსოფლიო ვაჭრობაში შეადგენდა 6,1%-ს, ოდნავ მეტი მოდიოდა იაპონიაზე (7,4%), რომელიც 2,5 ჯერ ჩამორჩებოდა ევროკავშირს ამ მაჩვენებლის მიხედვით.

2004 წელს ევროკავშირში მომხდარმა გაფართოებამ ორმაგად მოახდინა გავლენა მისი ეკონომიკური განვითარე-

---

<sup>12</sup> Yueh L.Y. China's Economic Growth with WTO Accession: Is It Sustainable? // Asia Programme Working Paper № 1. Royal Institute of International Affairs. London, May 2003. P. 2. იხ. ბმული <http://www.riia.org/pdf/research/asia/Chinas%20Economic.pdf>.

<sup>13</sup> European Commission Office of Statistics – Eurostat. იხ. ბმული <http://europa.eu.int/comm/eurostat/public/datashop>.

<sup>14</sup> ევროპის კავშირი, თავისუფალი ენციკლოპედია ვიკიპედია - იხ. ბმული: <http://ka.wikipedia.org>.

<sup>15</sup> Leading exporters and importers in world merchandise trade. 2002. (WTO Data) იხ. ბმული [http://www.wto.org/english/res\\_e/statis\\_e/its2003\\_e/section1\\_e/i06.xls](http://www.wto.org/english/res_e/statis_e/its2003_e/section1_e/i06.xls).

ბის მაჩვენებელზე. ევროკავშირის ახალი წევრები ევროკავშირის სტანდარტების მიხედვით მიეკუთვნებოდნენ სუსტი ქვეყნების რიცხვს. ამიტომაც მშპ–ს მაჩვენებელმა ერთ სულ მოსახლეზე დაიწყო შემცირება, ხოლო ეკონომიკურმა ზრდამ შენელება.

ევროკავშირის გააჩნია შანსი განამტკიცოს ეკონომიკური ცენტრის პოზიციები მსოფლიო სავაჭრო ბლოკში. ამასთანავე, არსებობს ოპტიმისტური პროგნოზი, რომლის მიხედვითაც ევროკავშირის გაფართოება დააჩქარებს ეკონომიკურ ზრდას. ახალი წევრი ქვეყნები ეცდებიან მაქსიმალურად სწრაფად შეამცირონ ეკონომიკური ჩამორჩენა ევროკავშირის მოწინავე ქვეყნებთან მიმართებაში.

ბოლო პერიოდში ევროკავშირი უდავოდ გადაიქცა მნიშვნელოვან ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალად, რომლის პოზიციაც აშკარად ანგარიშგასაწევია საერთაშორისო თანამეგობრობაში. ნიშანდობლივია, რომ ევროკავშირის მშპ-ის 64% მხოლოდ ევროკავშირის 4 წევრ ქვეყანაზე (გერმანია, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი და იტალია) მოდის, მაშინ, როცა ბოლო ორი გაფართოების შედეგად გაწევრიანებულ 12 ქვეყანაზე ერთად მოდის ევროკავშირის მშპ-ის 5 %.<sup>16</sup>

ასე რომ, ევროკავშირი გაფართოების პირობებში ეგუებოდა ეკონომიკური ტემპების ზრდის დროებით შენელებას, მხოლოდ იმისათვის, რომ შემოეღო ერთიანი ევროპული ვალუტა, რომელსაც ევროკავშირისათვის უნდა მოეტანა სარგებელი გრძელვადიან პერსპექტივაში. ევრო ხდებოდა გლობალური ეკონომიკური გავლენის ფაქტორი. მისი შემოღებით ევროკავშირს გაუჩნდა შესაძლებლობა აშშ–ისგან დამოუკიდებლად გაატაროს ეკონომიკური და სავალუტო პოლი-

---

<sup>16</sup> რ. ფუტყარაძე, საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, პრობლემები და პერსპექტივები, თბ., 2010, გვ. 21-22.



ტიკა. ევროს როლის გაზრდას შეუძლია გაზარდოს საგარეო კრედიტების მოცულობა ბანკნოტების ემისიის ხარჯზე. ასევე შესაძლებელია გაიზარდოს ევროპის საფინანსო ცენტრის შემოსავლები ფირმებისა და ევროკავშირის ქვეყნებისათვის.<sup>17</sup> ამავე დროს რთულია ევრო განხილულ იქნას იმ ინსტრუმენტად, რომელიც ევროკავშირის მმართველ ორგანოებს საშუალებას მისცემს გამოიყენოს ის საგარეო პოლიტიკაში საკუთარი მიზნების მისაღწევად. ეკონომიკური და სავალუტო კავშირების პროექტი, რომლის ნაწილიც იყო ევროს შემოღება, გათვლილი იყო ევროკავშირის ფინანსური და საგარეო ვაჭრობის პოზიციების ზრდაზე.

გარდა ეკონომიკური პოტენციალისა, ევროკავშირის ლიდერული როლის მნიშვნელოვანი ელემენტია მისი კულტურული და პოლიტიკური გავლენა. მისი მასშტაბები ფაქტობრივად ინარჩუნებენ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას, ვინაიდან დღეისათვის „ევროპული ფასეულობები“ საკმაოდ ფართო ხასიათისა გახდა და ის მოიცავს შეხედულებებს ისეთ საკითხებზე, როგორცაა სადავო საკითხების მშვიდობიანი მოლაპარაკების გზებით მოგვარების, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების და ადამიანის თავისუფლების, ეთნიკური უმცირესობის დაცვას და ა.შ. გარდა ამისა, „ევროპული ფასეულობების“ სხვა კომპონენტები არის ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის უზუნველყოფა საზოგადოებრივი სოლიდარობის საფუძველზე, საბოლოოდ კი, ევროპელების კეთილდღეობის უზრუნველყოფა. აღნიშნული ფასეულობები გავლენას ახდენენ და განაგრძობენ ზემოქმედებას ბევრი არაევროპული ქვეყნისა და რეგიონის პოლიტიკურ კულტურაზე – აღმოსავლეთ აზიიდან მოყოლებული აფრიკასა და ლათინურ ამერიკით დამთავრებული.

---

<sup>17</sup> Буторина О. Международная валютная система // Россия в глобальной политике, М., 2003. № 4.

შიდა პოლიტიკურ დონეზე ეს ფასეულობები პირობითად ნაწილდება ყველა გაერთიანებულ ევროპულ სახელმწიფოზე. ისინი გამოდიან საჭირობოროტო მოტივებით, რითაც ევროკავშირი მიიწვეს საერთო საგარეო პოლიტიკის განვითარებისაკენ.<sup>18</sup>

ევროპული ფასეულობების მიმზიდველობამ თავისი როლი შეასრულა მრავალი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბების საქმეში. ევროპულმა ჰუმანურმა ფასეულობებმა ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში ითამაშეს დიდი როლი ანტიკომუნისტური ოპოზიციის ლეგიტიმიზაციის საქმეში.

თუკი აშშ-ის ადმინისტრაცია თავისი გავლენის პროვოცირებას ახდენს ძალის მემკვიდრით, ევროკავშირი სწორედ ზემოაღნიშნული ხერხებით ცდილობს მოახდინოს გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე. ევროსაბჭო, რომელზეც გარკვეულწილად გავლენას ახდენენ ევროკავშირის ქვეყნები, არის ყველაზე რადიკალური და ყველაზე გავლენიანი უფლებათა დამცავი ორგანიზაცია მსოფლიოში. ევროკავშირი ფორმალურად კი ითვლება ევროპულად, მაგრამ ფაქტობრივად აყალიბებს მსოფლიო კანონდამცავ ნორმებს და ამასთანავე, ცდილობს გაამკაცროს და განავითაროს მისი მოქმედება საერთაშორისო არენაზე. ადამიანის უფლებათა დამცველები თითქმის მთელ მსოფლიოში აპელირებენ საკუთარ ქვეყნებში ადამიანთა უფლებებისა და პოლიტიკური თავისუფლების დაცვის საკითხებით და ამ საქმეში ევროპის პოზიციები მათ უფრო მეტ ინტერესს იწვევს, ვიდრე აშშ-ს. ისინი უფლებათა დაცვის საქმეში აქტივობის ლიდერობას ანიჭებენ ევროკავშირს და ისიც შესაბამისად ახდენს გარკვეულ ზემოქმედებას ამა თუ იმ ქვეყნებზე, აქედან გამომდინარე, ეს გარემოება, როგორც მორალურ პოლიტიკური ზემოქმედების პოტენციალი, წარმოადგენს ევროკავშირის

---

<sup>18</sup> Lindley-French J. The ties that bind // NATO Review. Autumn 2003.

ორგანიზაციული რესურსების ელემენტს. სწორედ ამის დამადასტურებლად ითვლება ის ფაქტი, რომ ევროპაში განთავსებულია ისეთი სასამართლო ორგანოები და ტრიბუნალები, როგორცაა გაეროს საერთაშორისო სასამართლო, ყოფილი იუგოსლავიის საკითხების შესახებ საერთაშორისო ტრიბუნალი, ადამიანთა უფლებების დაცვის შესახებ, ადამიანთა უფლებების დაცვის შესახებ გამართული საერთაშორისო სამართლებრივი სასამართლო და მრავალი სხვა. მიუხედავად იმისა, რომ მათზე მკვეთრად იგრძნობა აშშ-ს გავლენა, ევროკავშირი მაინც დიდ გავლენას ახდენს არატრივიალურ აქციებზე. მაგ., 2004 წელს განახლდა სასამართლო პროცესი აშშ-ის წინააღმდეგ სერბიისა და ჩერნოგორიის სარჩელის შესახებ ნატოს მიერ სამხედრო ჩარევის გამო ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე და ამერიკული სამხედროების მიერ მიყენებული ზარალის შესახებ.<sup>19</sup>

ევროკავშირის სამხედრო პოტენციალის გაზრდის სფეროში ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო 1999 წელს დაწყებული საუბარი ევროპის სწრაფი რეაგირების ძალების შექმნის შესახებ. ეს ინიციატივა ითვალისწინებდა 100 000 სამხედრო მოსამსახურისაგან შემდგარი კონტიგენტის ფორმირებას, რომელსაც ექნებოდა სწრაფი დისლოკაციის უნარი კონფლიქტების ზონებში და სამშვიდობო ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობა ერთი წლის ვადით. ეს პროექტი უნდა განხორციელებულიყო 2003 წელს, მაგრამ ვერ განხორციელდა დაფინანსების და პროექტის მონაწილეებს შორის პოლიტიკური წინააღმდეგობის გამო. შემდგომში მან სახე შეიცვალა ახალი ფორმატით და მისი ნაწილობრივი

---

<sup>19</sup> NATO military expenditure on personnel and equipment, 1993–2002. იხ. ბმული: [http://projects.sipri.org/milex/mex\\_nato\\_93-02.pdf](http://projects.sipri.org/milex/mex_nato_93-02.pdf).

განხორციელება უნდა დაწყებულიყო 2007 წელს, ხოლო სრულად - 2010 წლისათვის, თუმცა კვლავ უშედეგოდ.<sup>20</sup>

ევროკავშირი ეფექტურად იყენებს საერთაშორისო არენაზე საკუთარ ორგანიზაციულ რესურსებს, რომლებიც განისაზღვრება ევროკავშირის მონაწილეობით მრავალრიცხოვან, მრავალმხრივ საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებში, რეჟიმებში, ფორუმებსა და დიალოგებში. ევროკავშირის ხელმძღვანელობას ძალუძს უფრო საზრიანად გამოიყენონ ეს რესურსები, ვიდრე მსხვილი ნაციონალური სახელმწიფოების ფუნქციონირებულ ხელმძღვანელობას, რომლებიც მიდრეკილნი არიან უფრო სწორხაზოვანი მეთოდით დაიცვან თავიანთი პოზიციები.

ევროკავშირის წარმომადგენლები მონაწილეობას ღებულობენ ყველაზე პრესტიჟული საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში, დაწყებული ტრანსატლანტიკური სამიტებიდან – „რვათა კავშირი“ – თავდაცვის საკითხებზე მიძღვნილი რეგიონალური ფორუმებით დამთავრებული.

ევროკავშირი წლების განმავლობაში აღრმავებდა თანამშრომლობას სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან. მრავალ სხვადასხვა სააგენტოს შორის, რომელთაანაც ის ამჟამად მჭიდროდ თანამშრომლობს, არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის საბჭო, ევროპის საბჭო, დასავლეთ ევროპის კავშირი, ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირი, მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია და ზღვის კონვენციის კანონის საფუძველზე დაარსებული სხვადასხვა ორგანიზაცია. გაეროსთან ურთიერთობაში ევროკავშირი განსაკუთრებით აქტიურია ეკონომიკურ, სოციალურ, გარემოსდაცვით, ნარკოტიკებთან

---

<sup>20</sup> NATO-EU cooperation taken to a new level, იხ. ბმული: <http://www.nato.int/docu/update/2003/03-march/e0317a.htm>.

დაკავშირებულ, ჰუმანიტარულ და ადამიანის უფლებათა სფეროებში და მჭიდროდ თანამშრომლობს კრიზისების მართვისა და კონფლიქტების თავიდან აცილების საკითხებში<sup>21</sup>.

ვაჭრობის, პარტნიორობის და ასოციაციის საკითხში ევროკავშირს გააჩნია ოფიციალური ორმხრივი შეთანხმების საქმეში დიდი ქსელი, ურთიერთობების გამოცდილება ევრაზიის, აფრიკის, კარიბის აუზის, წყნარი ოკეანის აუზისა და სამხრეთ ამერიკის ათეულობით ქვეყნებთან. აქვს სპეციალური რეგიონალური შეთანხმებები, რომლებიც შეეხება ვაჭრობის, ინვესტიციების, ენერჯო მატარებლების, გარემოს დაცვის, ასევე თავდაცვისა და ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებს, ევროკავშირის მიერ ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულებები ხმელთაშუაზღვისპირეთის, ლათინური ამერიკის, აზიის და აფრიკის, კარიბის და წყნარი ოკეანის აუზების ქვეყნებთან.

ევროკავშირი კარგად იყენებს საკუთარ ორგანიზაციულ რესურსებს და ამით უზრუნველყოფს პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობას. პარტნიორი ქვეყნების მიერ შესაბამის საკანონმდებლო ნორმების მიღების შემთხვევაში ევროკავშირი უმარტივებს აღმოსავლეთ ევროპის და ხმელთაშუაზღვისპირეთის პარტნიორი ქვეყნების ფირმებს და კომპანიებს ბიზნესის წარმოებას. ასეთი ტენდენცია აუმჯობესებს დასავლეთ ევროპის უზრუნველყოფას ნედლეულით და ხელს უწყობს მზა პროდუქციის შეშვებას ევროპულ ბაზარზე.

დიდი გავლენა გააჩნია ევროკავშირს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, სადაც იგი და ცდილობს დაიცვას თავისი ინტერესები აშშ-თან მიმართებით. ევროპელები უარყოფითად აფასებენ მსგავს ორგანიზაციაში იმ დისკრიმინაციურ ღონისძიებებს, რომელსაც ვაშინგტონი რიგ შემთხვევებ-

---

<sup>21</sup> ევროკავშირი და მსოფლიო, თბ., 2002.

ში გამოიყენებს საერთაშორისო ვაჭრობაში. ევროკავშირი, როგორც ერთ–ერთი მსხვილი სავაჭრო ბლოკი ერთდროულად ფლობს 25 ხმას საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში და გააჩნია მოლაპარაკებების წარმოების უდიდესი რესურსი. მას შეუძლია ადვილად მოახერხოს ხელსაყრელი დათმობების მიღწევა იმ სახელმწიფოსთან, რომელიც პრეტენდენტობას გამოაცხადებს მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში წამყვან როლზე.

ორგანიზაციული რესურსები ევროკავშირს აძლევს საშუალებას საკუთარი ინტერესების გამო გავლენა მოახდინოს საერთაშორისო აქტორებზე, წინ წასწიოს ერთნი და ხელი შეუწყონ სხვების ჩრდილში დარჩენას. სწორედ საორგანიზაციო რესურსის საშუალებით შეუძლია ევროკავშირს გავლენა მოახდინოს იმ პროცესებზე, რომლებიც მიმდინარეობს გეოგრაფიულად ახლო ან შორეულ რეგიონებში.

ევროკავშირი, რომელსაც გააჩნია ძლიერი ორგანიზაციული პოტენციალი და არის მსოფლიოში უმსხვილესი სავაჭრო ბლოკი, ეყრდნობა არაძალისმიერ ინსტრუმენტებს საერთაშორისო ურთიერთობების რეგულირების საქმეში. ევროპელებს არ შესწევთ უნარი რომელიმე ქვეყანაში 2–3 თვეში შეცვალონ არსებული რეჟიმი, სამაგიეროდ, მათ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მათ ხელისუფლებაზე და ხელი შეუწყონ ევროკავშირისათვის ხელსაყრელი ვარიანტების არჩევას სხვადასხვა კონფლიქტური სიტუაციების დროს.

ორგანიზაციული რესურსების გამოყენება ბევრად უფრო შეესაბამება ევროკავშირის პოლიტიკის მიზნებს, ვიდრე აშშ–ის მიერ საკუთარი მიზნების რეალიზაციისათვის სამხედრო ძალების უხეშად და მიზანმიმართულად გამოყენება საგარეო პოლიტიკაში. ევროკავშირს, რომელიც საკუთარ თავს წარმოიდგენს საერთაშორისო პოლიტიკის ლიდერის კონტექსტში, გააჩნია სირთულეები მის ხელთ არსებული რე-

სურსების გამოყენების საქმეში. კერძოდ, ევროკავშირისათვის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა მის შიდაპოლიტიკურ კურსში ნაციონალური ხელისუფლებების საგარეო პოლიტიკასთან ფრთხილი დამოკიდებულება და აქედან გამომდინარე, ევროკავშირის ქვეყნებს შორის აზრთა შეუთანხმებლობა საგარეო პოლიტიკის საკითხებში საერთაშორისო მიმართულებით.

თუკი საფრანგეთი და გერმანია, რომლებიც არიან ევროინტეგრაციის ფუძემდებლები და მხარს უჭერენ ევროკავშირის ქვეყნების მიერ საერთაშორისო მიმართულებით კოორდინირებულ მოქმედებას, მაშინ დიდი ბრიტანეთი, დანია და ნიდერლანდები ხშირად გამოირჩევიან თავშეკავებული ურთიერთობით ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მიმართ. რაც კარგად ჩანს აშშ-ის პოლიტიკასთან თავშეკავებული დამოკიდებულებით. ასევე, ევროკავშირის სხვა ნეიტრალური ქვეყნებიც (ირლანდია, ავსტრია, შვეიცია, ფინეთი) გამოირჩევიან ასეთივე მიდგომით და მხარს უჭერენ ავტონომიურ გადაწყვეტილებებს. მათი აზრით, მსგავს მიდგომებს შეუძლიათ ზიანი მიაყენონ აშშ-ს და ალიანის ურთიერთობებს. ევროკავშირში ასეთი უთანხმოება განსაკუთრებით ძლიერად გამოიხატა 2004 წელს მის შემადგენლობაში ახალი წევრების მიღების შემდეგ, რომლებიც თავის პოლიტიკაში ვაშინგტონისკენ უფრო იყვნენ გადახრილები, ვიდრე პარიზისა და ბერლინისაკენ.<sup>22</sup>

ევროკავშირის წევრ-ქვეყნების ნაციონალურ ხელისუფლებებს შორის საგარეო პოლიტიკის წარმოების (ძირითადად აშშ-თან მიმართებით) გარშემო არსებულ წინააღმდეგობებს ეწირება მათი ერთიანი პოტენციალის გამოყენება საგარეო პოლიტიკის გატარებაში. თუმცა, ეს წინააღმდე-

---

<sup>22</sup> Darnton J. Union, but Not Unanimity, as Europe's East Joins West // The New York Times. March 11, 2004.

გობები ეხება არა მარტო საგარეო საქმიანობას, არამედ საკუთრივ ევროკავშირის შიგნით მიმდინარე რეფორმების საკითხებსაც. ამ საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს კავშირის არსებული საერთო სისტემების შეგუებლობის პრობლემა ნაციონალურ ორგანოებთან. ევროკავშირის ბიუჯეტის სტრუქტურა ძალიან რთულია, სხვათაშორის, ის მანამდე ჩამოყალიბდა, ვიდრე აუცილებელი გახდებოდა საგარეო პოლიტიკის გამომუშავების შესახებ ერთიანი პოლიტიკის ჩამოყალიბება. ამ სისტემის რეფორმირება ძალზე რთულია. საბოლოოდ კი, ევროკავშირის პოლიტიკური შესაძლებლობები საგარეო პოლიტიკის სფეროში, რომ ის ჩამოყალიბდეს როგორც ერთი მთლიანი სფერო, ამის სურვილი იმდენად სუსტი აღმოჩნდა, რომ მასზე გარკვეული თანხის დახარჯვაც კი აუცილებელი არ გამხდარა.<sup>23</sup>

ევროპაში იზრდება ახლო და შუა აღმოსავლეთის მუსლიმანური სამყაროდან ემიგრანტთა რიცხვი.<sup>24</sup> რადგანაც დასავლეთ-ევროპული სახელმწიფოების კეთილდღეობის მიღწევისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ისლამური ქვეყნებიდან მოსული იაფი მუშახელია, რაც ევროპის ხელისუფალთ ხელს არ აძლევს გაამკაცრონ ემიგრაციის საკითხები და ახლო და შუა აღმოსავლეთიდან გამოსულ ხალხთა ცხოვრება აკრძალონ მათ ქვეყნებში.

გარდა ამისა, ევროპის ქვეყნების (გერმანია, საფრანგეთი, ბრიტანეთი) ქალაქებში მუსულმები აყალიბებენ კომპაქტურ სათვისტომოებს და მიუხედავად იმისა, რომ ხდებიან ევროპული სახელმწიფოების მოქალაქეები, მკაცრად ინარ-

---

<sup>23</sup> General Budget of the European Union for the Financial Year 2004. The Figures. Brussels, Luxembourg. January 2004. - იხ. ბმული: <http://europa.eu.int/comm/budget/pdf/budget/syntchif2004/en.pdf>.

<sup>24</sup> Interim Report on an EU Strategic Partnership with the Mediterranean and the Middle East. European Commission. March 23, 2004. P. 2-3. - იხ. ბმული: [http://europa.eu.int/comm/external\\_relations/euomed/publication.htm](http://europa.eu.int/comm/external_relations/euomed/publication.htm).



ჩუნებენ მტკიცე კავშირს თავიანთ სამშობლოსთან ან ზოგადად მსოფლიოს ისლამურ საზოგადოებასთან. ასეთი სათვისტომოები, რომლებიც ეყრდნობიან მათ შეძლებულ წარმომადგენლებს, რომლებიც ინტეგრირებულნი არიან ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ელიტასთან, თანდათანობით იძენენ ზემოქმედების მომხდენი ბერკეტის მექანიზმის ფუნქციას. მუსულმანურ სათვისტომოებს შეუძლიათ დიდი ზეგავლენა მოახდინონ არჩევნების შედეგებზე და თავიანი ინტერესების წარმატებულ ლობირებას ევროპის ქვეყნების და ევროკავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში.

მიუხედავად ამისა, ევროკავშირის განსაკუთრებით განვითარებული ქვეყნები მკაცრად რეაგირებენ ისლამური სახელმწიფოებისა და მუსულმანური ორგანიზაციების მიერ სხვა სახელმწიფოების მისამართით გაკეთებული მუქარის გამო.

ამ კონტექსტში ასევე გასათვალისწინებელია ისლამური ტერორისტული ქსელის როლი ევროპის ქვეყნების შიდა და საგარეო პოლიტიკის განვითარებაზე. 2004 წლის გაზაფხულზე, „ალ-ქაიდას“ ტერორისტულმა აქტივმა ესპანეთში დიდი გავლენა იქონია საპარლამენტო არჩევნებზე, სადაც ხელისუფლება დაკარგა იმ ძალამ, რომელიც მხარს უჭერდა აშშ-ს ერაყთან და ავღანეთთან მიმართებით. „ალ-ქაიდას“ მხრიდან ასეთი სცენარით მოვლენების განვითარების საშიშროებას კარგად გრძნობენ საფრანგეთის, იტალიის, დანიის, გერმანიის, ბრიტანეთის პოლიტიკოსები და ასევე ის ქვეყნები, სადაც მრავლრიცხოვანი მუსულმანური თემები ქმნიან ისეთ გარემოს, რომელშიც საკმაოდ ადვილად შეუძლიათ თავი შეაფარონ ახლო და შუა აღმოსავლეთიდან გადმოსულმა ტერორისტებმა.

ევროკავშირის შეთანხმებული რეაგირების შესაძლებლობა იმ მუქარაზე, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულია ისლამთან, საკმაოდ დაბალია არსებული პერსპექტივის გათვალისწინებით. ზუსტად ასევე შეიძლება დაბალი აღმოჩნდეს ევროკავშირის მზადყოფნაც, ვაშინგტონთან ერთად სამხედრო მეთოდებით გამოვიდეს ისლამური ექსტრემისტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ევროკავშირის ავტონომიური ლიდერობის აბიციის შეზღუდულობაში დიდ როლს თამაშობს აშშ-ის მიზანმიმართული მოქმედებები, რომელიც ისწრაფვის შეინარჩუნოს გავლენა დასავლეთ ევროპულ მოკავშირეების პოლიტიკაზე. მათზე ვაშინგტონი გავლენის მოხდენას ახერხებს ჯერ კიდევ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური პროექტების დაგეგმარების სტადიაზე, როცა იგი ზღუდავს ევროკავშირის ავტონომიის „არასასურველ“ ასპექტებს საგარეო პოლიტიკის და თავდაცვის საკითხებში.<sup>25</sup>

ევროკავშირისა და ნატოს გაფართოების შემდეგ მათი მონაწილეები ძირითადად ერთი და იგივე ქვეყნები აღმოჩნდნენ. აქედან გამომდინარე, იმის განსაზღვრა თუ რომელია მათ შორის მთავარი ინსტიტუტი უსაფრთხოების პოლიტიკის საქმეში, მეტად პრინციპული მნიშვნელობის საკითხია. ვინაიდან საქმე ეხება აშშ-ის პოლიტიკურ ზემოქმედების ხარისხს ევროკავშირზე და პირიქით.<sup>26</sup> საერთაშორისო არენაზე ევროკავშირის ლიდერობის ამბიცია მისი საკუთარი სამხედრო სტრუქტურის სისუსტის გამო საეჭვოა მოხდეს აშშ-სა და ნატოსთან კავშირის გარეშე. ევროკავშირის ლიდერობის პოტენციალზე მკვეთრად ნეგატიურად მეტყველებს ის,

---

<sup>25</sup> Троицкий М.А. Концепция «программирующего лидерства» в евроатлантической стратегии США // Pro et Contra. Осень 2002. Т. 7. № 4. иб. ბმული: <http://www.carnegie.ru/ru/pubs/procontra/67074.htm>.

<sup>26</sup> Albright M.K. The Right Balance Will Secure NATO's Future // Financial Times. December 7, 1998.

რომ ამერიკელმა პოლიტოლოგმა კეიგანმა მას უწოდა აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის „სტრატეგიული კულტურების შეუთანხმებლობა“.<sup>27</sup>

ამერიკული სტრატეგიული კულტურა სრულიად სხვაა. ის ვერ მოითმენს გვერდით არსებულ საფრთხეებს და ცდილობს იპოვოს გარკვეული, გათვლილი გადაწყვეტილება საშროების თავიდან ასაცილებლად.<sup>28</sup>

საერთაშორისო მოლაპარაკებებს, საერთაშორისო კავშირებს, ეკონომიკურ დახმარებებს ვაშინგტონისათვის გააჩნიათ დიდი მნიშვნელობა. თუკი აშშ-ის ადმინისტრაცია საჭიროდ ჩათვლის, რომ მუქარაზე საჭიროა მკაცრი რეაქცია, მასიური ძალის გამოყენებაც კი, მაშინ მოკავშირეების აზრები მათ ვერ შეააცვლევინებენ გადაწყვეტილებას. ატლანტიკის ორი ნაპირის სტრატეგიული კულტურის განსხვავება და შეუთავსებლობა ინვესს ევროპელი და ზოგიერთი ამერიკელი პოლიტიკოსების შემოფოთებას.

ამერიკულ-ევროპული ურთიერთობები მოიცავს კონკურენციის მჭიდრო კავშირის ელემენტებს როგორც ეკონომიკის სფეროში, ასევე პოლიტიკაში. აშშ წარმოადგენს ევროკავშირის უმსხვილეს პარტნიორს ვაჭრობაში. ევროკავშირის საგარეო ვაჭრობის ბრუნვაზე აშშ-ის წილი 2002 წელს შეადგენდა 37,5%.<sup>29</sup> ვაჭრობაში აშშ-თან ევროკავშირის გააჩნია გარკვეული პროფიციტი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია

---

<sup>27</sup> Kagan R. Power and Weakness // Policy Review. June/July 2002. № 113. ჟურ. «Pro et Contra» (Осень 2002. Том 7. № 4. С. 127-157). Kagan R. Of Paradise and Power. America and Europe in the New World Order. New York: Alfred A. Knopf, 2003. P. Кейган, «America's Crisis of Legitimacy» (Foreign Affairs. March-April 2004. P. 65-101).

<sup>28</sup> A Secure Europe in a Better World. European Security Strategy. P. 7.

<sup>29</sup> Eurostat (COMEXT, CRONOS), IMF (DOTS) - იხ. ბმული: <http://trade-info.cec.eu.int>, дата посещения 25.03.2004). Eurostat news release. 19 February 2004.

მზარდი დეფიციტის დროს ბრიუსელისათვის.<sup>30</sup> ჩინეთთან ვაჭრობაში ბოლო 10 წლის განმავლობაში სტაბილური ეკონომიკური მაკავშირებელი ევროკავშირსა და აშშ-ს შორის კონკურენციაში განიცდის გამოცდას, როგორც ვაჭრობაში ასევე ფინანსებში. ხმამაღალი რეზონანსი გამოიწვია აშშ-სა და ევროკავშირს შორის იმპორტის შესახებ დავამ (ჰორმონალური საქონლის ხორცის საკითხი). ევროს შემოღებამაც თავისებური წინააღმდეგობები გამოიწვია ევროკავშირსა და ვაშინგტონს შორის.<sup>31</sup> ერთ-ერთი წინააღმდეგობა დაკავშირებულია აშშ-ის მიერ უარი კიოტის პროტოკოლის რატიფიცირებაზე სამრეწველო ნარჩენების ატმოსფეროში გაბნევის შემცირების შესახებ. ამ საკითხებში ევროკავშირს ამოძრავებს გარემოპირობებზე თანმიმდევრული ზრუნვა და მისწრაფება მიაღწიოს ბუნების დაცვის სტანდარტების ნორმებს მსოფლიოს ყველა ქვეყნის მიერ. ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი წარმატებული მიმართულებაა დაამტკიცოს თავისი ლიდერობა. ამასთანავე, ეკონომიკური კონფლიქტი ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებში წარმატებით გადაილახება ევროკავშირისა და აშშ-ის საბაზო დამოკიდებულების გაერთიანების ხარჯზე. მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის ფარგლებში, როცა ბრიუსელი და ვაშინგტონი არეგულირებს თავიანთი ვაჭრობის წინააღმდეგობების დიდი ნაწილს, ორივე მხარეს უჭირავს შესაბამისი პოზიცია მესამე ქვეყნების ბაზრების გახსნის საქმეში. მათი დამოკიდებულება ახლოა შრომის სტანდარტების ამაღლების სფეროში, გარემო პირობების დაცვაში.<sup>32</sup>

---

<sup>30</sup> Eurostat news release. 19 February, 2004.

<sup>31</sup> Буторина О.В. Международные валюты: интеграция и конкуренция. М., 2003. С. 227-228.

<sup>32</sup> Kagan R. America's Crisis of Legitimacy // Foreign Affairs. March/April 2004. P. 69.

ევროპელები იზიარებენ აშშ-ის ნუხილს მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. მაგრამ ევროკავშირი თავის დოკუმენტებში თავს იკავებს მძაფრი ფორმულირებისაგან. პირიქით, იგი გამოიჩინა შემრიგებლური ტონით. ევროკავშირის საბუთებში აღინიშნება ის, რომ უფრო პრაქტიკული საშუალება მუქარის წინააღმდეგ ბრძოლისას არის მოძველებული პრობლემების გადაწყვეტა რეგიონალური კონფლიქტების დროს.<sup>33</sup> ევროპელები არ მიისწრაფვიან იზოლირება გაუკეთონ ან ჩაახშონ საშიში რეჟიმები, პირიქით, გვთავაზობენ აღვზარდოთ ისინი და უზრუნველყოთ მათი ხელახალი ინტეგრაცია საერთაშორისო სარბიელზე.

თუკი აშშ დგას „პროფილაქტიკური ომის“ პოზიციაზე, მაშინ ევროკავშირისათვის უფრო მიზანშეწონილია „პროფილაქტიკური ჩაბმა“. აშშ მიიღტვის, რომ ერთი ხელის მოსმით დაამთავროს საშიშ რეჟიმთან საქმე მისი შეცვლის გზით. ევროკავშირი კი პოლიტიკური მეთოდებით ცდილობს დააყენოს ასეთი რეჟიმები „კეთილსინდისიერი მართვის“ გზაზე.<sup>34</sup>

აშშ-ის ცალმხრივი გადაწყვეტილება თავდაცვის პრობლემების სფეროში ნაწილობრივ ხელს აძლევს ევროპასაც, რომელიც ამ დროს აკრიტიკებს ამერიკის ადმინისტრაციის მოიერიშე პოლიტიკას. თეთრ სახლს შეუძლია და რაც მთავარია, მზადაა ჩამოაგდოს დიქტატორები ბალკანეთსა და ახლო აღმოსავლეთში, დააკავოს საერთაშორისო ტერორისტები და ა.შ.<sup>35</sup>

---

<sup>33</sup> A Secure Europe in a Better World. P. 5.

<sup>34</sup> Haine J.-Y. ESDP: an overview. P. 8. <http://www.iss-eu.org>.

<sup>35</sup> Prodi R. The European Union's role after enlargement. Speech at the High-Level Conference on the future of transatlantic relations. Brussels. March 3, 2004. - იხ. ბმული: <http://europa.eu.int/rapid/start/cgi/guesten.ksh>.

ევროკავშირის სტრატეგია მდგომარეობს მის „მფარველობაში“ მყოფი სახელმწიფოებისათვის გააფართოვოს ეკონომიკური მხარდაჭერა. 2003–2004 წლებში ევროკავშირმა დაიწყო მოლაპარაკებები შეთანხმების ხელმოწერაზე აფრიკულ სახელმწიფოებთან პარტნიორობის შესახებ, შემდეგ კარიბის გაერთიანებებთან. ეს მოლაპარაკებები ცნეს გრძელვადიან პროცესად. ევროკავშირი ცდილობს განავითაროს ეკონომიკა, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ინსტიტუტები ყველაზე ღარიბ ქვეყნებში.

„ევროპა არასდროს ყოფილა ისე აყვავებული, დაცული და თავისუფალი“ – ასეთი სიტყვებით იწყება „ევროკავშირის უსაფრთხოების სტრატეგია“, მიღებული 2003 წლის ივნისში.<sup>36</sup> იგი მოწმობს იმაზე, რომ ევროკავშირს აქვს მაღალი შეფასება. არ არის გასაკვირი ის, რომ ევროკავშირი მიიღტვის ლიდერობისაკენ, ის ამას იმსახურებს.

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური აქტივობა იზრდება მისი ინტეგრაციის სწრაფვასთან ერთად. ასევე საერთო საგარეო პოლიტიკა გახდა ევროკავშირისათვის მისი შეკავშირებისა და გაერთიანების ერთ-ერთი საშუალება. ევროპული საგარეო პოლიტიკური ინიციატივებისა და პრობლემების შედეგები, რომლებიც ხვდება ბრიუსელს თავისი საქმიანობის გზაზე, სტიმულს აძლევს ევროპულ ინტეგრაციას და ამავე დროს იგი გარემომცველ გარემოზეც ახდენს ზემოქმედებას. ევროკავშირი განსაზღვრავს ნაკლოვანებების აღმოფხვრის გზებს და ისახავს ახალ მიზნებს, ათვიცნობიერებს რა თავის „გლობალურ პასუხისმგებლობას“,<sup>37</sup> ევროკავშირი ახორციელებს საგარეო პოლიტიკას აშშ-თან თა-

---

<sup>36</sup> A Secure Europe in a Better World. P. 2.

<sup>37</sup> Activities of the European Union: External Relations. An Overview.

ნამშრომლობის გზით და ასევე „მცირე ძალის“ გამოყენებით სად და როდის არის ამისათვის ხელსაყრელი პირობები.

საერთაშორისო საზოგადოება მოიცავს რთულ სისტემას. ევროკავშირი ილტვის უზრუნველყოს მრავალმხრივი მოლაპარაკებების დაცვა, ასევე განამტკიცოს საერთაშორისო მოლაპარაკებების ბაზა. ევროკავშირის პოლიტიკის პირველსახოვანი მიზანია ქვეყნების ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში. ძალიან დიდია ევროკავშირის საერთო მოცულობა ფინანსური მხარდაჭერის სფეროში.<sup>38</sup>

ბოლო დროს, მკვეთრად იკვეთება ევროკავშირის მისწრაფება ითამაშოს ძირითადი როლი მსოფლიო პოლიტიკაში და ყველა იმ საჭირობოროტო საკითხის მოგვერაში, რომელიც ანუხებს კაცობრიობას. თავისი განვითარების დასაწყისში ევროკავშირი იყო რეგიონალური მოთამაშე, მაგრამ ყოველწლიურად იგი უფრო მეტი ძალისხმევით აცხადებს პრეტენდენტობას გლობალურ ლიდერობაზე, ისწრაფვის მონაწილეობა მიიღოს კონფლიქტების და სხვადასხვა პრობლემების გადანყვეტაში არა მარტო ევროპის ტერიტორიაზე, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ეს კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილი მაგალითებიდანაც. კერძოდ: ევროკავშირი ეხმარება სტაბილურობის შენარჩუნებას ბალკანეთში. ბალკანეთის შვიდი ქვეყანა იღებს ევროკავშირის დახმარებას, რაც მათ სტაბილური საზოგადოების მშენებლობაში ეხმარება. კოსოვოში ევროკავშირმა 1900–კაციანი სამართლის მისია და საპოლიციო ძალები განათავსა, რომლებიც ქვეყანას კანონის უზენაესობის უზრუნველყოფაში ეხმარებიან. დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნები უკვე ევროკავშირის გაფართოე-

---

<sup>38</sup> Betts R. Is Strategy an Illusion? // International Security. Fall 2000. Vol. 25. № 2. P. 5-50.

ბის პროექტში მოიაზრებიან და განეწვრიანების კანდიდატები თუ პოტენციური კანდიდატები არიან.

ე. ნ. „კვარტეტის“ ფორმატში, გაეროსთან, აშშ-თან და რუსეთთან ერთად, ევროკავშირი მუშაობს მშვიდობის მხარდაჭერაზე ახლო აღმოსავლეთში. არაბებსა და ისრაელს შორის არსებული კონფლიქტის მოგვარება ევროკავშირისთვის სტრატეგიული პრიორიტეტია. ევროკავშირის მიზანია ორი სახელმწიფოს თანაარსებობის მიღწევაა და ამ გზით პალესტინის დამოუკიდებელი, სიცოცხლისუნარიანი, დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა, რომელიც ისრაელთან და სხვა მეზობლებთან ერთად მშვიდობიანად განვითარდება.

„ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ ფარგლებში ევროკავშირი თავის მეზობლებს განსაკუთრებულ ურთიერთობებს სთავაზობს. ეს პოლიტიკა მიზნად ისახავს პარტნიორ ქვეყნებში კეთილდღეობის, უსაფრთხოების და სტაბილურობის განმტკიცებას და გაფართოებულ ევროკავშირსა და ხმელთაშუაზღვისპირეთის, აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის ახალი გამყოფი ხაზების წარმოშობის თავიდან აცილებას.

ევროკავშირი დიდ როლს ასრულებს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში და ამჟამად მის ტერიტორიაზე ნახშირორჟანგის გამონაბოლქვის შემცირების შესახებ კარგად ჩამოყალიბებული პოლიტიკით; ევროკავშირი ამ სფეროს უმნიშვნელოვანესი მოთამაშეა, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს პოპულარიზაცია გაუწიოს ცვლილებს. ევროკავშირი აქტიურად ცდილობს შექმნას კოალიცია კლიმატის ცვლილების შესახებ სავალდებულო შეთანხმების მისაღწევად.



მთელ რიგ საკითხებზე ევროკავშირი მჭიდროდ თანამშრომლობს გაეროსთან. ევროკავშირს სწამს მრავალფეროვნების, რაც ვლინდება მის ერთგულებაში შეთანხმებულ და შესასრულებლად სავალდებულო წესების მიმართ, რომლებიც ასე მკაფიოდაა აღწერილი ლისაბონის ხელშეკრულებაში. ევროკავშირი შეძლებისდაგვარად ცდილობს ჩაანაცვლოს ძალისმიერი პოლიტიკა წესებითა და ნორმებით და ამ გზით დაამსგავსოს საერთაშორისო ურთიერთობები თავის შიდა წყობას: უფრო მშვიდობიანს და გეგმაზომიერს.

ევროკავშირს ჰყავს სამხედრო, პოლიტიკური და სამოქალაქო მისიები, რომელთა მიზანია ევროპის, აფრიკის და ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ავღანეთი, დაეხმაროს მშვიდობისა და უსაფრთხოების მშვენიელობას.

ევროკავშირი ადამიანის უფლებების ერთგულია და ცდილობს ხელი შეუწყოს მათ დაცვას მთელს მსოფლიოში. ევროკავშირმა ადამიანის უფლებები საგარეო ურთიერთობების ქვაკუთხედად აქცია მესამე ქვეყნებთან პოლიტიკური დიალოგის პროცესში, ასევე, განვითარების პოლიტიკასა და დახმარებაში და ისეთი მრავალმხრივ ფორუმების ფარგლებში, როგორიცაა, მაგალითად, გაერო.

ერთიან მოთამაშედ გვევლინება ევროკავშირი საგარო ვაჭრობაში და მხარს უჭერს თავისუფალ და სამართლებრივ საერთაშორისო ვაჭრობას. ერთიანი მოთამაშის როლის გამო ის მართლაც რეალური გავლენით სარგებლობს. როგორც აღვნიშნეთ, ევროკავშირის 27 წევრი ქვეყნის წილი მსოფლიო იმპორტსა და ექსპორტში 19%-ია. ევროკავშირის ტექნიკური ნორმების მსოფლიოში ფართოდ გა-

მოყენების გამო, მას სადავო საკითხებში წამყვანი როლი აკისრია.

თავისი პარტნიორების სოციალური და ეკონომიკურ განვითარებასთვის ევროკავშირი მზად არის დაეხმაროს მათ კრიტიკულ სიტუაციაში. ევროკავშირი და მისი წევრი ქვეყნები განვითარებაზე მიმართული და ჰუმანიტარული დახმარების ყველაზე დიდი დონორები არიან მსოფლიოში. მათი წილი განვითარებაზე მიმართულ დახმარებაში მსოფლიო დახმარების 60% შეადგენს.

ევროკავშირი უმკლავდება და მართავს დღევანდელ საერთაშორისო ეკონომიკურ და ფინანსურ გამოწვევებს, როგორც ეს არის G-20-ის ფორმატში. ის მონაწილეობს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების – მსოფლიო ბანკის და სავალუტო ფონდი – რეფორმირების მიმდინარეობაში და საერთაშორისო ფინანსური სექტორის რეგულირებაში. ერთიანი ვალუტა, ევრო, ევროზონაზე და ევროპის ცენტრალურ ბანკზე ევროკავშირის დამატებითი გავლენის შესაძლებლობას იძლევა<sup>39</sup>.

კოსოვოს მოვლენებმა, ახალმა გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ, რომელიც სათავეს „ცივი ომის“ ბოლო წლებიდან იღებს, საერთაშორისო საქმეებში ევროკავშირის როლის ზრდასთან დაკავშირებით პოლიტიკური კავშირის შექმნის აუცილებლობამ განამტკიცეს ძლიერი ავტონომიური ევროპის სამომავლო პერსპექტივა<sup>40</sup>.

ამრიგად, ევროპის კავშირში მიმდინარეობს რთული და ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო ან სხვადასხვა მიმართუ-

---

<sup>39</sup> ინფორმაცია აღებული ბმულიდან - ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში - <http://eeas.europa.eu/delegations/georgia>.

<sup>40</sup> ფონტენი პასკალ, ევროპის გაერთიანების ახალი იდეა (შუმანის დეკლარაცია - 1950-2000).

ლების პროცესები. ერთის მხრივ, მისი შიდა ერთობის განმტკიცების მიღწევა ხდება ბრიუსელში ზენაციონალური ორგანოსათვის ახალი რწმუნებების გადაცემის ხარჯზე. მეორეს მხრივ, ჯერ კიდევ არაა სრულად ნათელი ევროკავშირის ქვეყნების თანამშრომლობის პრესპექტივა საგარეო პოლიტიკის, უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროებში. ევროკავშირის მასშტაბური გაფართოება მას ბევრად ფხვიერ და რთულადსამართავს ხდის. იქმნება დაჯგუფებათშორის წინააღმდეგობები. საგარეო ძალები (აშშ) ცდილობს ხელი შეუწყოს უთანხმოებებს კავშირის შიგნით, არ დაუშვას გარდაიქმნას ევროკავშირი ერთიან, ძლიერ მოთამაშედ საერთაშორისო არენაზე<sup>41</sup>.

2000 წლის დასაწყისიდან გაერთიანებული ევროპის განვითარებაში ახალი ეტაპი დადგა, რაც დაკავშირებული იყო გაფართოების გეოპოლიტიკური მოტივაციის გაძლიერებასთან. მისი მთავარი არსია ევროკავშირის მისწრაფება ჩამოყალიბდეს ძალთა ახალ მსოფლიო ცენტრად. ევროკავშირის გეოპოლიტიკური ინტერესების პრიორიტეტებს ბევრი რამე შეადგენს. ესაა რუსეთთან, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახელმწიფოსთან აუცილებელი ურთიერთობები, აშშ-ზე ორიენტაცია სამხედრო სფეროში და ეკონომიკური ჩამორჩენის დაძლევა, რომელიც განპირობებულია გარკვეულწოდ ფორსირებული გაფართოებით და ევროკავშირში შედარებით ნაკლებად განვითარებული, გარდამავალ ტადიაზე მყოფი ახალი წევრების მიღებით. ასევე საერთოევროპული იდენტურობაც ვითარდება აშშ-თან წინააღმდეგობებით, ხოლო ევროკავშირს სურს ჰქონ-

---

<sup>41</sup> Отношения России и Европейского союза: современная ситуация и перспективы». Доклад подготовлен на основе ситуационного анализа, под руководством С.А. КАРАГАНОВА, ДОКЛАД (КРАТКОЕ ИЗЛОЖЕНИЕ), ВЫВОДЫ И РЕКОМЕНДАЦИИ, МОСКВА, 2005 г. გვ. 7. იხ. ბმული [http://www.brussels-bc.com/upload/news/ru/50\\_5.pdf](http://www.brussels-bc.com/upload/news/ru/50_5.pdf).

დეს საკუთარი პოლიტიკური ამბიცია, რომელიც ფლობს კონსტიტუციური სახელმწიფოს ნიშნებს.

## **2. ევროკავშირი, როგორც საერთაშორისო აქტორი**

ბიპოლარული საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის მოშლის შემდეგ აქტუალური გახდა მსჯელობა თუ როგორი იქნება ახალი საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა. მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ ახალი საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა მრავალცენტრის-ტული ან მრავალპოლარული იქნება. თუმცა, მკვლევართა მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აშშ, რომელიც დარჩა მსოფლიოს ერთადერთ ზესახელმწიფოდ, კიდევ კარგა ხანს შეინარჩუნებს ამ პოზიციას. საფუძველს მოკლებული არ არის იმ მკვლევართა მოსაზრება, რომ ახალი საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა რაღაცით მსაგვსი იქნება იმ სისტემის რომელიც არსებობდა მე-19 საუკუნეში ე.ი. მულტიპოლარული, თანაც ამ სისტემის ბირთვი ევროპული სახელმწიფოები იყო. ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო ურთიერთობებში გლობალურ და რეგიონალურ დონეზე აშკარად იკვეთება ახალი ცენტრების ჩამოყალიბების ტენდენცია. ამასთან დაკავშირებით ევროკავშირის, როგორც გლობალურ დონეზე მნიშვნელოვანი მოთამაშე სუბიექტის პოტენციალი საკმაოდ მაღალია. ევროკავშირი განიხილება ასევე აშშ ალტერნატივად. აღსანიშნავია მისი უნიკალური პოლიტიკური ბუნება, გეოპოლიტიკური სპეციფიკა და ევროკავშირის განსაკუთრებული ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მას გამოარჩევს თავის უპირატესობებით აშშ-ის სტრატეგიისაგან. ევროკავშირი აყალიბებს თავისი ლიდე-

რობის სტრატეგიას, რომელიც დაფუძნებულია ე.წ. „რბილი ძალის“ პრინციპზე. ეს სტილი ბევრად თავშეკავებული და დიპლომატიურია. და მიუხედავად იმისა, რომ იგი ორიენტირებულია გრძელვადიან პერსპექტივაზე, შეიძლება ბევრად ეფექტური იყოს აშშ-ის აგრესიულ სტრატეგიაზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში ევროკავშირის, როგორც გლობალური აქტორის პოტენციალის შეფასების კრიტერიუმი ძალიან მაღალია. მართალია, ამ კუთხით მასში მოტანილია ბევრი დამაჯერებელი არგუმენტი, მაგრამ არსებობს გარკვეული გადაჭარბებაც. თუნდაც ის რად ღირს, რომ არ სურთ საკითხის შესწავლაში გამოიყენონ კრიტიკული და ანალიტიკური მეთოდოლოგია. თუმცა ევროკავშირის საერთაშორისო როლის შემსწავლელი ბევრი სამეცნიერო ნაშრომი საკითხს სწორედ ამ მიმართებით განიხილავს. მართებულია მოსაზრება, რომ ევროკავშირი განვიხილოთ გლობალური ლიდერობის კონტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა სრულად „ინტეგრირებულ სუბიექტად“.

ევროკავშირის, როგორც საერთაშორისო აქტორის შესახებ დასავლურ პოლიტიკურ და საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო თეორიებში არსებობს რამდენიმე მიდგომა. ერთ-ერთი ქოლისტიკური (აქცენტის გაკეთება როგორც ერთ მთლიანზე) მიმართულების თანახმად, ევროკავშირი საერთაშორისო არენაზე უკვე გამოდის როგორც ერთიანი მოთამაშე, აქტორი (მართალია, არ არის სახელმწიფო, მაგრამ ფაქტობრივად ანალოგიურია) და ყურადღება გამახვილებულია მის საერთაშორისო საქმიანობაზე.

მეორე მიმართულება - ინსტიტუციონალისტები აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ ევროკავშირი წარმოადგენს არა ერთიან უნიტარულ ერთობას, არამედ ის შედგება მრავალმხრივი რეალობისაგან, რომლებიც გამოდიან არა დამოუკი-

დებელი სუბიექტები, არამედ, როგორც საერთაშორისო ინსტიტუტების ან სხვა ფუნქციები, რომლებშიც ისინი შედიან.

ზემოხსენებული მიმართულებები წარმოადგენენ იმის მაგალითს, თუ როგორ შეიძლება გაიყოს და აქცენტი გაკეთდეს პოლიტიკური მოქმედების ორი განუყოფელი კომპონენტიდან ერთ-ერთზე - ან როგორც აგენტზე და ან როგორც სტრუქტურაზე, რომელშიც ის არსებობს.

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის კონსტრუქტივიზმის მიმართულება კი ამტკიცებს, რომ ევროკავშირი უკვე პასუხებს იმ ხუთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს, რომელიც საშუალებას იძლევა იგი ჩაითვალოს, როგორც საერთაშორისო აქტორი. კერძოდ, წევრი სახელმწიფოებისაგან მას აქვს ლეგიტიმურობა საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაზე; ეფექტურად შეუძლია აწარმოოს მოლაპარაკებები საერთაშორისო ურთიერთობების სხვა აქტორებთან და შესაბამისად, ამისთვის გააჩნია საჭირო ინსტრუმენტები და საშუალებები; შეუძლია განსაზღვროს პოლიტიკური პრიორიტეტები და ჩამოაყალიბოს ერთიანი პოლიტიკა; წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ჩამოაყალიბდნენ საერთო ფასეულებებსა და ღირებულებებზე<sup>42</sup>.

ბევრი დასავლელი მკვლევარი თვლის, რომ ევროკავშირი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც „არამთლიანად კონსტრუირებული“ საერთაშორისო აქტორი, რომელიც მეტნაკლებად დიდ გავლენას ახდენს მსოფლიო არენაზე სავაჭრო პოლიტიკის სფეროში, არსებით გავლენას კი გარემოს დაცვის განვითარების სფეროსა და ზოგიერთ სხვა სფეროშიც, განსაკუთრებით კი, აღსანიშნავია საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართულებით.

---

<sup>42</sup> Bretherton, C. And Volgert, J. The European Union as a Global Actor . - London : Routledge, 1999.

რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ მიუხედავად ევროკავშირის მრავალხმრივი პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და შექმნილი ინსტიტუტებისა, მან ჯერ კიდევ ვერ შექმნა ძალთა ახალი რეალური პოლუსი „Realpolitik“-ის ტრადიციული გაგებით.<sup>43</sup> თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს ევროკავშირის გავლენის ზრდა მსოფლიო პოლიტიკაში და ეკონომიკაში, რასაც ბევრი დასავლეთელი მეცნიერიც იზიარებს. რ. რეიდი თავის წიგნში „ევროპის შეერთებული შტატები: ახალი ზესახელმწიფო და ამერიკის უპირატესობის დასასრული“ აღნიშნავს, რომ ევროკავშირის ლიდერები და ხალხები მკაფიოდ ცდილობენ შეცვალონ მსოფლიო, რომელშიც დომინირებსაშშ, მოჰყავთ დამაჯარებელი არგუმენტები 2002 წელს ამერიკელი მკვლევარის რ. ქეიჰამონის მიერ წამოყენებული კონცეფციის „აშშ ძალები და ევროპის სუსუსტე“ საწინააღმდეგოდ.<sup>44</sup>

ზოგიერთი პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის შესწავლა დღეისათვის დგას თეორიამდელ დონეზე, რაც უფლებას იძლევა მრავალფეროვანი შეხედულებების არსებობაზე. გარდა ამისა, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში ასე თუ ისე მონაწილეობას ღებულობს მრავალი ორგანიზაცია და აქტორი – ევროკავშირის არანევრი ქვეყნები, არაევროპული სახელმწიფოები (აშშ), რომლებიც ექცევიან ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ორბიტაში.

თუმცა, ერთი რამ ნათელია, ევროპის ქვეყნებს ინტეგრაციული დაახლოების მიღწეული დონე იძლევა იმის საფუძველს, რომ ევროპის კავშირი განხილული იქნეს არა რო-

---

<sup>43</sup>Бордачев Т.В. В объятияхcivilian power. ProetContra. Том 8. №1. Европейский союз в российской политике. М. 2003 С.47-48.

<sup>44</sup> Reid T.R. The United States of Europe : The New Superpower and the End of American Supremacy. New York: The Penguin Press. 2004. P 6.

გორც დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ნაწილი სუვერენული სახელმწიფოების „რიგითი“ გაერთიანება, არამედ როგორც რაღაც პროტოსახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომელიც ფლობს „ჩვეულებრივი“ სახელმწიფოს ბევრ ნიშანს. ევროკავშირის, როგორც გლობალური სუბიექტის საერთაშორისო როლი, დღეისათვის შესაბამისად განიხილება გლობალური ლიდერობის პრობლემის კონტექსტში, მაშინ როდესაც ინტეგრირებული სუბიექტი ევროკავშირი, როგორც საერთაშორისო-პოლიტიკური მოთამაშე ბოლომდე ჯერ ჩამოყალიბებული არ არის.<sup>45</sup>

ევროკავშირის აქვს ეკონომიკური, ორგანიზაციული, ეკოლოგიური, ღიაობის და კულტურულ-პოლიტიკური გავლენის რესურსები, რას მას აძლევს საშუალებას ჩამოყალიბდეს გლობალურ საერთაშორისო აქტორად.

პირველი ეს არის ეკონომიკური პოტენციალი, ევროკავშირი არის მსოფლიო ვაჭრობაში ერთ-ერთი მსხვილი მოთამაშე, ეკონომიკური ზრდით ის ჩამოუვარდება აშშ-ს და ჩინეთს. თუმცა ერთიანი ევროპული ვალუტის და ახალი გაფართოების გზით ის ცდილობს ამ მიმართულები ცვლილება მოახდინოს. ევრო ხდება გლობალური ეკონომიკური გავლენის ფაქტორი და ევროკავშირს საშუალება ექნება ბევრად დამოუკიდებელი საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკა გაატაროს აშშ-გან დამოუკიდებლად.

მეორე, ორგანიზაციული რესურსი, სწორედ ორგანიზაციული რესურსია ევროკავშირის ე.წ. „რბილი ძალის“ სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი. ის არის ყველა საერთაშორისო მნიშვნელობის ორგანიზაციის, ფორმის, რეჟიმის და ა.შ. წევრი და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს მათ მუშაობაში.

---

<sup>45</sup> Троицкий М. Европейский союз в мировой политике. Международные процессы. Том 2. №2(5). Май-август 2004. С.43.



მესამე, ეკოლოგიური, სწორედ ევროკავშირია პირველი გაერთიანება ვინც დანარჩენ მსოფლიოს აძლევს მაგალითს კლიმატის ცვლილბასთან და ატმოსფეროში მანენე გამონაბოლქვების შემცირების შესახებ კომპლექსური ღონისძიებების გატარებაზე.

მეოთხე, ევროკავშირის ღიაობის პრინციპი, რომელიც გამოიხატება „გლობალური ევროპა უნდა იყოს ღია ევროპა“ გამოქმაში. ევროკავშირმა შეიმუშავა უპრეცედენტო პოლიტიკა ახლო და შორეულ მეზობლებთან ურთიერთობებში. ევროკავშირი ახდენს იდეების, ინვესტიციების და ვაჭრობის გახსნილობას და ახლი საზოგადოებების ინტეგრირებას მის წიაღში.

მეხუთე, კულტურულ-პოლიტიკური გავლენა, დღეს ევროკავშირს სერიოზული გავლენა აქვს მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონზე. კონფლიქტური სიტუაციების და დევების მშვიდობიანი გადაწყვეტის, ადამინის და ეთნიკური უმცირესობების თავისუფლების და უფლების დაცვის, ადამიანის კეთილდღეობის ზრდის საფუძვლზე ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნების უზრუნველყოფის, საზოგადოებრივი სოლიდრობის უზრუნველყოფის მიმართულებით ევროკავშირი მაგალითის მიმცემია დანარჩენი მსოფლიოსათვის.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან შემუშავდა ევროკავშირის მრავალმხრივი მართვის კონცეფცია, რომელიც წარმოადგენს სისტემური თეორიების მრავალსახეობას და რომლებიც აპელირებენ საშინაო და საგარეო პოლიტიკას შორის არსებული ადრეული დაყოფის დაძლევის შესახებ წარმოდგენაზე. მოცემული კონცეფციის თანახმად, მართვის სხვადასხვა დონეებს შორის (ზენაციონალური, ნაციონალური და სუბნაციონალური) არსებობს სხვადასხვა ურთიერთმოქმედების არხები და ურთიერთაკავშირები,

რომლებიც ახდენენ მონოპოლიის ლიკვიდაციას მართვაზე და მნიშვნელოვანწილად ასუსტებს მთავრობის უფლებამოსილებას პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. ამასთანავე, ძლიერდება ნაციონალური აქტორების უფლებამოსილება (ევროკომისია, ევროპარლამენტი და ევროკავშირის სასამართლო), ისინი ახდენენ დამოუკიდებელ გავლენას პოლიტიკურ პროცესებსა და მათ შედეგებზე, ასევე რეგიონალურ და ადგილობრივ ხელისუფლებაზე.<sup>46</sup>

მრავალდონიანი ევროკავშირი ასევე ითვალისწინებს მრავალმხრივი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკებს, რომლებსაც ახასიათებთ გარკვეული სისუტე და რომელიც გამომდინარეობს გადაწყვეტილების მიღების მრავალცენტრისტულობიდან და სახელმწიფოების და სხვადასხვა ინტერესების ჯგუფების პრიორიტეტების კონკურენციიდან.

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა მისი ახლანდელი მდგომარეობით, მართალია, არ არის ერთიანი, მაგრამ წარმოადგენს ზოგადს. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა შეიძლება წარმოდგენილი იქნას, როგორც სამი ქვესისტემის - ევროგაერთიანების, ევროკავშირისა და მათში შემავალი სახელმწიფოების პოლიტიკის - შეხამება, რომლებიც მჭიდროდ ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან, როგორც ჩამოყალიბების დონეზე, ასევე მათი რეალიზაციის მსვლელობისას.

ევროკავშირის, როგორც ევროპული და მსოფლიო პოლიტიკის აქტორის ზემოთმოცემული კონცეპტუალიზაცია გულისხმობს ევროკავშირის, როგორც პროექტის დაუსრულებლობას და მისი საგარეო პოლიტიკური განზომილების ფუნქციონალური დონეების ფრაგმენტაციას, რომლებიც რჩება მის სამ გამყოფს შორის: ევროპულ თანამეგობრობას/საზოგადოებას, ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლი-

---

<sup>46</sup> Nugent, Neill. The Government and Politics of the European Union. 5th ed. - Durham : Duke University Press, 2003. P. 473-474.

ტიკებს, რომლებიც ასევე გულისხმობს უშიშროებისა და თავდაცვის ევროპულ პოლიტიკას და იუსტიციის და შინაგანი საქმეების სფეროში თანამშრომლობას. ამავე დროს იუსტიციის და შინაგანი საქმეების საკითხები იყოფა პირველ (იმიგრაცია, საგარეო საზღვრების დაცვა/სავიზო პოლიტიკა და პოლიტიკური თავშესაფარის მიცემა) და მესამე მხარეებს შორის. თუმცა როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ყველა ნიშნის არსებობის მიუხედავად, მას არ გააჩნია საკმარისი პოლიტიკური ლიდერობა და შეთანხმებული პოლიტიკური ნება<sup>47</sup>.

ევროკავშირის საკონსტიტუციო კრიზისი მეტყველებს, რომ უახლოეს მომავალშიც კი არ იქნება შესაძლებელი მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება, რათა მოხდეს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მექანიზმის შემდგომი სრულყოფა.

რადგანაც ევროკავშირი არ არის ერთიანი სახელმწიფო, მასზე ვერ გავრცელდება ნაციონალური უსაფრთხოების ტრადიციული მახასიათებლები. ევროკავშირის უსაფრთხოება ნიშნავს მასში შემავალი ქვეყნების უსაფრთხოების ჯამს, რომელთა ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება იმდენად ძლიერია, რომ ერთ-ერთი წევრის სერიოზული პრობლემები მოქმედებს მეორის და მთლიანად კავშირის სტაბილურობაზე. საგარეო მოვლენები, როგორც საერთო უშიშროების საფრთხე, რომელიც ემუქრება კავშირის წევრების ერთიანობას და აბრკოლებს მის შემდგომ პროგრესს, განხილულ უნდა იქნეს კავშირის საერთო და არა ცალკე მისი წევრების პოზიციებიდან. ამრიგად, წევრების მიერ უსაფრთხოების დაცვის ინდივიდუალურ შემთხვევაშიც კი

---

<sup>47</sup> Ortega, Martin (Ed.). Global views on the European Union. Chaillot Papers No.72. Paris : European Union Institute for Security Studies. November 2004. P.120.

შეიძლება საფრთხის ქვეშ დადგეს მთლიანობაში ევროკავშირის უსაფრთხოება.

ევროკავშირი არ მიეკუთვნება არც საერთაშორისო ორგანიზაციების და არც უნიტარული სახელმწიფოების რიცხვს, ეს სპეციფიკა კი გარკვეულ გავლენას ახდენს საერთო ევროპული უსაფრთხოების შედეგებზე. როგორც საერთაშორისო ურთიერთობების თეორეტიკოსი ოლე უივერი თვლის, ევროკავშირი ეს არის განსაკუთრებული სტრუქტურა უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. უივერი, ისევე როგორც სხვა ავტორები, ადგენს ერთმნიშვნელოვან კავშირს ევროკავშირის გაფართოების მოტივაციასა და ევროპული უსაფრთხოების უზრუნველყოფას შორის და გამოყოფს სამ მნიშვნელოვან დონეს, ევროკავშირის იმ ფუნქციის შესაბამისად, რომელსაც ეს უკანასკნელი გამოიყენებს უსაფრთხოების მიღწევისათვის ევროპაში:

1. „ბირთვის“ მთლიანობის შენარჩუნება და იმის უზრუნველყოფა, რომ დასავლეთ ევროპაში დარჩეს მხოლოდ ერთი ინტეგრაციული ცენტრი და არ წარმოიშვას ახლები.

2. ახლო საზღვარგარეთთან ურთიერთობებში შეუქმნეველი „მადისციპლინირებელი ძალის“ და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისათვის „უხილავი და თავაზიანი მაგნიტის“ როლის თამაში.

3. პოტენციური როლი, რომელიც ითვალისწინებს პირდაპირ ჩარევას სპეციფიკურ კონფლიქტში.

ამრიგად, ევროკავშირი საკუთრივ ინტეგრაციის პოლიტიკის შედეგად, წარმოდგება ნამყვან აქტორად ევროპული უსაფრთხოების საქმეში. რაც შეეხება სტარტეგიულ განსხვავებას ევროკავშირის უსაფრთხოების სამ დონეს შორის, მაშინ ნათელია, რომ „ბირთვი“ (წევრი სახელმწიფოები) წარმოადგენს უსაფრთხოების საზოგადოებას (ისევე, როგორც ნატო), რომელთა წევრებს შორის სამხედრო კონფლიქტი

სტრუქტურულად და კონცეპტუალურად შეუძლებელია. ამავე დროს ევროკავშირის სამხედრო-პოლიტიკური შესაძლებლობების გამოყენება „შორეულ აღმოსავლეთში“ გლობალურ დონეზე (მაგ., აზია და აფრიკა) სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს.

2003 წლის დეკემბერში ევროკავშირის ისტორიაში პირველად ევროკომისიამ დაამტკიცა უსაფრთხოების სტრატეგია. მისი განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ:

1. მოცემულ დოკუმენტში პირველად ჩამოყალიბდა ის საფრთხეები, რომელიც კავშირს აქვს და ექნება.

2. სტრატეგია აგებულია ევროკავშირის მიერ ჩამოყალიბებული ნორმების ერთობლიობისა და იდენტიურობაზე უსაფრთხოების სფეროში. მასში მოცემულია სამი ძირითადი ამოცანა: ევროპაში უსაფრთხოების ზონის გაფართოება, საერთაშორისო წესრიგის განმტკიცება და ბრძოლა ისეთ საფრთხეებთან, როგორცაა ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, რეგიონალური კონფლიქტები, სახელმწიფოების კოლაფსი და ორგანიზებული დანაშაულებები.<sup>48</sup>

მოცემული სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია ევროკავშირის „კეთილმეზობლობის პოლიტიკა“, რომელიც დაიწყო მისი გაფართოების შემდეგ. იგი სათავეს იღებს „დიდი ევროპის“ კონცეფციიდან და იმ სრულმამულობიანი დოქტრინებიდან, რომლებიც განმტკიცებულია მთელი რიგი პროგრამული დოკუმენტებით და რომელმაც მიიღო ოფიციალური სახელწოდება „ევროპის სამეზობლო

---

<sup>48</sup> Solana, Javier. (December 2003), A secure Europe in a better world. Document adopted at the European Council in Brussels, 12 December 2003. Paris: The EU Institute for Security Studies.

პოლიტიკის“ სახით.<sup>49</sup> იგი მიმართულია მეზობელ სახელმწიფოებში მმართველობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობისკენ დახმარების პროგრამების წარდგენის და დასაბუთებულ სავაჭრო-ეკონომიკური ღონისძიებების მიმართვის მეშვეობით. ამავე დროს, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ევროკავშირის ყველაზე საუკეთესო საშუალება არის ის საერთაშორისო გარემო, რომელიც შედგება ისეთი დემოკრატიული სახელმწიფოებისაგან, რომლებსაც გააჩნიათ მართვის ხარისხიანი სისტემა.<sup>50</sup>

სტრატეგია ბაზირებულია ორ კონცეფციაზე - კრიზისულ სიტუაციებში „პრევენციულ მონაწილობაზე“ და „ეფექტურ მულიტილატერალიზმზე“. პირველი გულისხმობს სტაბილურობის შენარჩუნებას და ინსტრუმენტების (ჰუმანიტარული, ეკონომიკური და დმინისტრაციული) ფართო ნაკრების, ასევე პოლიციის და სწრაფი რეაგირების ძალების გამოყენების შესაძლებლობას. მეორე კი, გამომდინარეობს კავშირის უსაფრთხოების კულტურიდან, რომელიც ბაზირებულია სამართალსა და გაეროს წესდებაზე, რომელიც განსაზღვრავს საერთაშორისო ურთიერთობების წესებს.

საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიზნები გულისხმობს:

1. კავშირის საერთო ფასეულობების, ძირითადი ინტერესების, დამოუკიდებლობის და ერთობლიობის დაცვას გაეროს წესების პრინციპების შესაბამისად.

2. კავშირის სრულმასშტაბიანი უსაფრთხოების განმტკიცება.

3. მშვიდობის შენარჩუნება და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცება გაეროს პრინციპების შესაბამისად,

---

<sup>49</sup> European Neighbourhood Policy Strategy Paper. Communication from the Commission, Brussels , 12/05/04 .

<sup>50</sup> Solana, Javier. ( December 2003). p. 16

ასევე ჰელსინკის დასკვნითი აქტის და პარიზის ქარტიის მიზნებიდან გამომდინარე, იმ ნაწილებთან ერთად, რომელიც ეხება საზღვრების საკითხს.

4. საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთობლივი მოქმედება.

5. დემოკრატიის კონსოლიდაცია და განვითარება, ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლების პატივისცემა.

6. ნევრი ქვეყნები აქტიურად და უსიტყვოდ უჭერენ მხარს ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას, რომელიც განმსჭვალულია ლოიალურობითა და სოლიდარობის სულისკვეთებით. ერთობლივად აღწევენ მათი სოლიდარობის განვითარებას და განმტკიცებას და თავს იკავებენ ნებისმიერი იმ ქმედებისაგან, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის კავშირის ინტერესთან ან შეიძლება დაასუსტოს მისი მოქმედება, როგორც შეკრული ძალების საერთაშორისო ურთიერთობებში.

კავშირის აღნიშნული მიზნების რეალიზაცია ხდება შემდეგი გზებით:

1. ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკების პრინციპების და ორიენტირების განსაზღვრა.

2. გადანყვეტილების მიღება, რომელიც ეხება საერთო სტრატეგიას.

3. ერთიანი მოქმედების მონონება.

4. მათი პოლიტიკის გატარებისას სისტემატიური თანამშრომლობის განმტკიცება ნევრ ქვეყნებს შორის.

5. საერთო პოზიციების მონონება.

ევროკავშირი დაფუძნებულია ისეთ ფასეულობებზე, როგორცაა ადამიანის ღირსების პატივისცემა, თავისუფლება, დემოკრატია, თანასწორობა, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებების და უმცირესობების დაცვა, გენდერუ-

ლი თანახმობა. ევროკავშირს, როგორც სტრატეგიულ აქტორს თავისი ფასეულობისა და ინტერესების დაცვის სფეროში გააჩნია რიგი ამოცანები.<sup>51</sup>

ევროკავშირის ინსტიტუტის ის სამუშაო ჯგუფი, რომელიც იკვლევს ევროპის უსაფრთხოების პრობლემებს თავდაცვის პრობლემებთან მიმართებით, აღნიშნავენ, რომ კავშირს როგორც სტრატეგიულ აქტორს, საკუთარი ინტერესების და ფასეულობების დასაცავად აქვს რიგი მთავარი ამოცანები:

<b>ცხოვრებისეული ინტერესი</b>	<b>ამოცანები</b>
წვერი ქვეყნების მთლიანობა	ტერიტორიების დაცვა და შედეგების ნეიტრალიზაცია
ეკონომიკური გადარჩენა	სტაბილურობის შენარჩუნება სავაჭრო გზების დაცვის მიზნით და ნედლეულის შეუფერხებლად მიღება
სოციალური და პოლიტიკური უსაფრთხოება	ბრძოლა ორგანიზებულ დანაშაულებებთან და სტაბილურობის შენარჩუნება ლტოლვილთა მასიური მოზღვავების აღმოფხვრის მიზნით
<b>ფასეულობათა ინტერესი</b>	<b>ამოცანები</b>
საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება	სტაბილურობის დაცვა საერთაშორისო სამართლის დაცვის და ბატონობის განმტკიცების მიზნით
ნორმების და ფასეულობების უნივერსალურად აღიარება	სტაბილურობის დაცვა ფუნდამენტალური ნორმების და თავისუფლების დაცვის მიზნით, ჰუმანიტარული დახმარება, მშვიდობა და აღმშენებლობა.

<sup>51</sup> Консолидированная версия Договора о Европейском союзе и Договора, учреждающего Европейское сообщество, исправленных и дополненных в соответствии с Единым европейским актом, Маастрихтским договором, Амстердамским договором и некоторыми другими актами. – М.: «Интердиалект+», 2001. Ст. 11-12.



კონსტრუირებული ევროკავშირი, როგორც უსაფრთხოების აქტორი საგარეო საფრთხეების წინაშე გულისხმობს დისკურსიულ პრაქტიკას, რომელშიც კონსტრუირებულია მათი აღქმის 3 ძირითადი ელემენტი:

1. სპეციფიკური პრობლემების, გამოწვევების ან საშიშროების იდენტიფიკაცია და აღიარება;

2. აუცილებლობის აღქმა და ამ პრობლემების გადანყვეტის გზების მოძიების უფლება ევროკავშირის დონეზე ან ევროპული დონის მართვის არსებული სტრუქტურების განსაზღვრული შეცვლა მათი გადანყვეტის მიზნით.

3. ძირითად პოლიტიკურ აქტორებს შორის კონსესუსის ჩამოყალიბება რეგიონალური სივრცის ორგანიზაციის კონკრეტული კონცეფციის მიხედვით.

ევროკავშირის ჩამოყალიბების სტადიაზე მყოფი უსაფრთხოების პოლიტიკა შეიცავს ყოვლისმომცველი, კოოპერატიული და მრავალმხვრივი მოდელის ელემენტებს და მონოდებულია კონფლიქტების აღკვეთაზე პრევენტიული ღონისძიებების დახმარებით ძირითად მიზეზებთან მიმართებით. ასევე, ის გულისხმობს უსაფრთხოების სტრუქტურების განმტკიცებას, რომელიც მოიცავს სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ფაქტორების ფართო სპექტრს. ამის გარდა ის ითვალისწინებს ძალისხმევას გაძლიერებას, რომ დაძლეულ იქნეს კავშირების ორგანოების ინსტიტუციონალური და ფუნქციური ფრაგმენტაცია და ხელი შეუწყოს მის უსაფრთხოების საგარეო და საშინაო განზომილების მეტ თანხვედრას და მთლიანობას.

ფრანსუა დიუშენის პუბლიკაციაში, რომელიც ეხებოდა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკას და უსაფრთხოების პოლიტიკას, ევროკავშირი აღწერილია როგორც „სამოქალაქო ძალა“. რაც გამომდინარეობს კავშირის პოლიტიკის სამშვიდობო, „მსუბუქი“ პოლიტიკის ნიშან-თვისებიდან - დარ-

ნმუნება, დიალოგი, საერთაშორისო ხელშეკრულება, პოზიტიური სტიმული, ეკონომიკური სანქციები და ა.შ.

სამოქალაქო ძალა გულისხმობს:

1. საერთაშორისო არენაზე მიზნის მისაღწევად მრავალმხრივი თანამშრომლობის აღიარების აუცილებლობა.

2. მიზნის მისაღწევად აქცენტის აღება არასამხედრო, უპირატესად ეკონომიკური საშუალებების გამოყენებაზე, ვიდრე სამხედრო ძალა არ იქნება უკანასკნელი საშუალება, რომელიც პირველ რიგში გამოიყენება სხვა საშუალებების დასაცავად საერთაშორისო ურთიერთობებში.

3. ზენაციონალური სტრუქტურების განვითარებისათვის მზადყოფნა საერთაშორისო კრიტიკული პრობლემების მართვის საქმეში.

ამ დროს პოლიტიკა ატარებს არა კონკრეტულ მიზნობრივ ხასიათს, მიუხედავად კავშირის საერთო ინტერესებისა, არამედ სტრუქტურულს, რომელიც მიმართულია მისაღები, სასურველი საერთაშორისო გარემოს ჩამოყალიბებისათვის, როგორც ევროპული, ისე გლობალური მასშტაბით.

„სამოქალაქო ძალის“ კონცეფციის კორექტირება არა ერთხელ იდგა კითხვის ნიშნის ქვეშ. მაგ., ბრიტანელი პოლიტოლოგი, იან მენნერსი თვლის, რომ ევროკავშირი არ წარმოადგენს არც სამხედრო და არც სამოქალაქო ძალას და არც სამთავრობათშორის სტრუქტურას, მაგრამ წარმოადგენს „ნორმატიულ ძალას“, რომელსაც გააჩნია „იდეაციური“ ანუ იდეალური ბუნება, რომელიც დაფუძნებულია საერთო პრინციპებზე. მისი აზრით, ევროკავშირი ბოლო წლებში უფრო ხშირად იყენებს „ნორმატიულ ძალას“ წევრი ქვეყნების საერთო ინტერესების სფეროში, კარძოდ, საერთაშორისო ნორმების თავის ნიმუშით ფორმირების მისწრაფების დროს. ამ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს ევროპარლამენტის განსაკუთრებული როლი, რომელსაც უწოდებენ „ევროპის სინ-

დისს“. კერძოდ კი, მის მიერ მიღებული რეზოლუციები აქტუალური საერთშორისო პრობლემების შესახებ და ის რეკომენდაციები, რომლებსაც შეიმუშავებს ევროპის კომისა და ევროპის საბჭოსათვის.

უკანასკნელ წლებში ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის პრაქტიკული შევსების მიხედვით, ეს „სამოქალაქო ძალა“ იწყებს ძალისმიერი - პოლიციური, სამხედრო და სამხედრო-სამრეწველო კომპეტენციების შექმნას. ბოლო დროს აქტიურად მუშაობს აზრი, რომ ევროკავშირმა დაკარგა თავისი ძველი იმიჯი და ჰუმანიტარული, პოსტმოდერნისტული სტატუსი და თანამედროვე ეპოქაში იმყოფება რაღაც „გადაცემის წერტილში“ „სამოქალაქო ძალიდან“ ტრადიციული ძალისკენ, რომელსაც გააჩნია სამხედრო ძალოვანი პოტენციალი.<sup>52</sup>

---

<sup>52</sup> Duchene, Francois. Europe's Role in World Peace // Richard Mayne (ed.) Europe Tomorrow: Sixteen Europeans Look Ahead . – London : Fontana , 1972.

## თავი II

### ევროკავშირის პოლიტიკა უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებში

#### 1. ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში სახელწოდება „ევროპამ“ შეიძინა ახალი, ბევრად ფართო მნიშვნელობა და შინაარსი. ევროპულმა ინტეგრაციამ ევროპა გარდაქმნა გეოგრაფიული ცნებიდან პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაგებად და საერთაშორისო ურთიერთობების ერთიან სუბიექტად. თანამედროვე ევროპულ აზროვნებაში ტერმინი „ევროპა“ ბევრად უფრო იდენტიფიცირდება ევროპის კავშირად და ევროპის თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს „ევროპული იდენტიფიკაციის“ ძიება, როგორც მთელი ევროპული ცხოვრების გამაერთიანებელი ელემენტის თავისებური სახე<sup>53</sup>. ამ საკითხთან დაკავშირებით ევროპის უსაფრთხოება ევროპელების დიდი უმარგლესობისათვის გაიგიავებულია ევროპის კავშირის უსაფრთხოების საკითხთან. მაგრამ სინამდვილეში ევროპული უსაფრთხოების პრობლემა გაცილებით ფართოა, ვინაიდან იგი აერთიანებს ევროკავშირის უსაფრთხოების მრავალსპექტს. რის გამოც იგი იმთავითვე დაუკავშირდა ევროკავშირის ერთიან საგარეო, თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკებს.

---

<sup>53</sup> Нестеров А.Г., Европуйская безопасность..., с. 7

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მიმდინარე დაპირისპირებამ ახალი მსოფლიო ომის საშიშროება წარმოქმნა. 1947 წლის 24 აპრილის მოსკოვის კონფერენციის (რომელიც გერმანულ საკითხებს ეხებოდა) წარუმატებლობამ დაარწმუნა დასავლეთი, რომ საბჭოთა კავშირი, ერთ-ერთი მოკავშირე ნაციზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, სულ მალე დასავლეთის დემოკრატიისთვის საფრთხის წყარო გახდებოდა. 1947 წლის ოქტომბერში კომინფორმის, მსოფლიოს კომუნისტური პარტიების კოალიციის, ჩამოყალიბებამ, 1948 წლის 25 თებერვალს მომხდარმა, ჩეხოსლოვაკიაში კომუნისტების დომინირების განმაპირობებელმა პრადის სახელმწიფო გადატრიალებამ, შემდეგ კი 1948 წლის ბერლინის ბლოკადამ, რომელიც გერმანიის ორად გაყოფის მიმანიშნებელი იყო, კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია. 1949 წლის 4 აპრილს ამერიკის შეერთებულ შტატებთან ატლანტიკური პაქტის ხელმოწერით დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა საფუძველი ჩაუყარეს თავიანთ კოლექტიურ უსაფრთხოებას. მაგრამ 1949 წლის სექტემბერში აფეთქებული პირველმა საბჭოთა ატომურმა ბომბმა და კრემლის ლიდერების მხრიდან მუქარის სწრაფმა ზრდამ ხელი შეუწყო დაძაბულობისა და საყოველთაო შიშის კლიმატის გავრცელებას, რაც „ცივი ომის“ სახელით არის ცნობილი<sup>54</sup>.

„ცივი ომის“ პერიოდში ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ძირითადად, ამერიკის შეერთებულ შტატებთან მჭიდრო თანამშრომლობით ხდებოდა, თავდაცვის თვალსაზრისით ყველაზე დიდი ფუნქცია კი ნატო-ს ეკისრა. ცივი ომის დასრულების შემდეგ ვითარება შეიცვალა.

---

<sup>54</sup> ფონტენი პასკალ, ევროპის გაერთიანების ახალი იდეა (შუმანის დეკლარაცია - 1950-2000).

თანამედროვე ეტაპზე, მართალია, ევროპას აღარ ემუქრება ჩვეულებრივი თუ ატომური იარაღით მასობრივი იერიშის საშიშროება. სამაგიეროდ, როგორც ბალკანეთის მოვლენებმა ცხადყო, ევროკავშირის წინაშე მრავალი ისეთი საფრთხე დგას, რომელიც შეიძლება დაემუქროს სტაბილურობას ევროპაში და არა მის არსებობას. ცხადია, ამერიკის შეერთებულ შტატებს არ უნდა ევროპის კონტინენტზე ყოველ რეგიონულ კრიზისში ჩარევა. ზოგ შემთხვევაში თავად ევროპელებს უფრო შეჰფერით ინიციატივის გამოჩენა. ევროკავშირის ნევრები მზარდ მზადყოფნას ამჟღავნებენ, შეიარაღდნენ იმ საშუალებებით, რომლებიც საჭიროა საერთო ფასეულობათა დასამკვიდრებლად და მათი ინტერესების დასაცავად<sup>55</sup>.

ყველა ეს პროცესი თუნდაც გეოპოლიტიკურ პერსპექტივაში გავლენას ახდენს არსებულ განსხვავებულ შეხედულებებზე იმ საერთოევროპული სტრუქტურების როლზე, რომლებიც მონოდებულია დაიცვას რეგიონი ნებისმიერი საფრთხისაგან ან ძალის გამოყენებისაგან. ასეთი ორგანიზაციებია ნატო, ეუთო და ევროკავშირი. მათ შორის ნატო და ეუთო სერიოზული პოტენციალია კონფლიქტების და კონფლიქტისწინა სიტუაციების გადანყვეტისათვის<sup>56</sup>.

თუმცა საინტერესოა რა ადგილი უნდა დაიკავოს ეუთომ ფორმირების პროცესში მყოფი ევროპის უსაფრთხოების სისტემაში და რა სახით უნდა მოხდეს მისი მოქმედების კოორდინირება გაეროსთან, ნატოსთან და დეკ-თან. ბალკანეთის და ლიბიის მოვლენებმა აჩვენა, რომ ევროპის სახელმწიფოები მზად არიან გადაწყვიტონ რეგიონალური პრობლემები ნატოს ძალების გამოყენებით გაეროს მონაწილეო-

---

<sup>55</sup> ევროკავშირი და მსოფლიო, თბ., 2002.

<sup>56</sup> Нестеров А.Г., Европейская безопасность..., 33. 10

ბით, იმავე დროს ეუთო გამოიყენება როგორც გავლენის მომხდენი ინსტრუმენტი და არა როგორც ერთადერთი და ამავე დროს როგორც არასრულყოფილი ორგანო, რომელიც სპეციალურად შეიქმნა წინააღმდეგობების აღკვეთისა და გადანყვეტისათვის<sup>57</sup>.

ევროკავშირის ფარგლებში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა ერთიანი საგარეო პოლიტიკის, უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა. მოცემული მიმართულების განვითარების სპეციფიკას განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი, მათ შორის წევრი სახელმწიფოების ნაციონალური ინტერესების სიძლიერე და ნატოს ფაქტორი. ეს უკანასკნელი უკვე დიდი ხანია განსაზღვრავს ევროპის უსაფრთხოებას.

საგარეო პოლიტიკის და თავდაცვის საკითხები სახელმწიფოს სუვერენიტეტის ყველაზე მნიშვნელოვანი და მგრძობიარე ნაწილია. ამიტომაც ამ სფეროში საერთო ევროპული მიდგომების შემუშავება ძალიან რთულია. მიუხედავად ამისა 1998 წლის სენ-მალის ფრანგულ-ბრიტანული სამიტის შემდეგ ამ კუთხით მნიშვნელოვანი წინსვლა მოხდა. ამ სფეროს დამახიასიათებელი თავისებურებაა შინაგანი რთული კონფიგურაცია და ურთიერთობების განსხვავებული ფორმების გამოყენება, რომელიც ბევრად განაპირობებს გარკვეულ განსხვავებებს ამ მიმართულებებით.

როგორც აღვნიშნეთ, ევროკავშირის ერთიანი თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება ინტეგრაციულ პროცესთან ერთად მიმდინერეობს მნიშვნელოვანი სირთულეებით. როგორც ცნობილია, ამ კუთხით ინტეგრაციის პირველი მცდელობა მოხდა 1952 წელს, როცა საფრანგეთმა, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, იტალიამ, ბელგიამ, ნიდერლანდებმა და ლუქსემბურგმა ხელი მოაწერეს ხელ-

---

<sup>57</sup> იქვე, გვ. 11

შეკრულებას ევროპის თავდაცვის გაერთიანების შექმნის შესახებ, მაგრამ საფრანგეთის პარლამენტმა დაბლოკა მისი შექმნის იდეა. აშკარა იყო, რომ ინტეგრაციის განვითარებამ იმთავითვე ეკონომიკურიდან პოლიტიკური მიმართულებით აიღო გეზი. ვინაიდან, მანამდე, 1951 წლის 18 აპრილს 50 წლით მოენერა ხელი ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც დაარსდა ევროპის ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანება (ECSC)<sup>58</sup>. ხელშეკრულება რატიფიცირებული იქნა ექვსი ხელისმომწერი ქვეყნის მიერ და 1952 წლის 10 აგვისტოს უმაღლესმა ორგანომ ჟან მონეს ხელმძღვანელობით ბინა დაიდო ლუქსემბურგში.

პროცესი, რომელიც 1950 წელს დაიწყო, აღარ შეჩერებულა. ევროპის თავდაცვის გაერთიანების პროექტს, რომელმაც მარცხი განიცადა 1954 წლის 30 აგვისტოს, 1952 წლის 27 მაისს საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის მიერ ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარის თქმის შემდეგ, არ დაუკარგავს თავდაპირველი იმპულსი. ბენელუქსის ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეებმა, პოლ ჰენრი სპააკმა, იან ბეიენმა და ჯოზეფ ბეჩმა, შეძლეს პროცესის გადატანა მესინაში 1955 წლის ივნისისათვის. მიზანმიმართული მოძრაობა რომის ხელშეკრულებისაკენ, რომელსაც ხელი მოენერა 1957 წლის 25 მარტს და რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა და „ევრატომი“, კიდევ უფრო გაამძაფრა საერთაშორისო მოვლენებმა: სუეცის კრიზისმა და უნგრეთში გატარებულმა რეპრესიებმა მიანიშნეს ევროპას, რომ აუცილებელი იყო გაერთიანება. ევროპუ-

---

<sup>58</sup> Treaty on European Coal and Steel Community, Paris, 18 April 1951. - Luxembourg : Office for Official Publications, Book 1, 1995. P. 74 - 81.



ლი გაერთიანებები, რომლებმაც ბინა დაიდეს ბრიუსელსა და ლუქსემბურგში, თანდათანობით გაიზარდნენ როგორც აზრობრივი, ისე მონაწილეთა რაოდენობის თვალსაზრისით<sup>59</sup>.

ასევე მოხდა საერთო ბაზრების გაერთიანება საერთო პოლიტიკის საფუძველზე სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობაში, რეგიონულ და სოციალურ საკითხებში, კვლევაში, გარემოს დაცვაში, განათლებასა და მესამე სამყაროსთან თანამშრომლობაში. 1972 წელს თანამეგობრობას შემოუერთდნენ გაერთიანებული სამეფო, ირლანდია და დანია, მოგვიანებით კი საბერძნეთი, ესპანეთი და პორტუგალია, რითაც გაიზარდა ხმელთაშუა ზღვის რეგიონის მონაწილეობა თანამეგობრობაში. 1955 წელს გაერთიანებაში შევიდნენ ავსტრია, ფინეთი და შვედეთი; ევროპის თანამეგობრობა ახლა უკვე თხუთმეტი სახელმწიფოსაგან შედგებოდა<sup>60</sup>.

1974 წელს სახელმწიფოთა მეთაურების და მთავრობების დონეზე დაარსდა ევროსაბჭო, რომელმაც მიიღო რეკომენდაცია პოლიტიკური კავშირის შექმნის შესახებ. 1985 წელს მილანში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა კოლმა და საფრანგათის პრეზიდენტმა მიტერანმა წამოაყენეს ერთობლივი პროექტი ევროკავშირის ხელშეკრულების შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა შეთანხმებულ საგარეო და თავდაცვით პილიტიკას.

1992 წლის ივნისში ბონში გამართულ თათბირზე დასავლეთ ევროპულმა კავშირმა<sup>61</sup> მიიღო დეკლარაცია, რომე-

---

<sup>59</sup> ფონტენი პასკალ, ევროპის გაერთიანების ახალი იდეა (შუმანის დეკლარაცია - 1950-2000)

<sup>60</sup> იქვე.

<sup>61</sup> დასავლეთ ევროპის კავშირი 1948 წელს კოლექტიური თავდაცვის მიზნით დააარსეს ბელგიამ, საფრანგეთმა, ლუქსემბურგმა, ნიდერლანდებმა და გაერთიანებულმა სამეფომ. დასავლეთ ევროპის კავშირში შედის 28 ქვეყანა, რომლებისთვისაც იგი წარმოადგენს ფორუმს დიალოგისა და

ლიც ეხებოდა დასავლეთ ევროპულ კავშირს (დეკ), ევროკავშირს და ნატოს შორის ურთიერთობებს<sup>62</sup>. დეკლარაცია გულისხმობდა დეკ-ის ფუნქციების გაფართოებას. ის უნდა ყოფილიყო არა მარტო მონაწილე ქვეყნების ტერიტორიის დაცვის გარანტი, არამედ ენარმოებინა ჰუმანიტარული და სამაშველო ოპერაციები, სამშვიდობო მისიები, ასევე შეესრულებინა კრიზისების მართვის ამოცანები და ემოქმედა ნატოსთან ერთად. მოგვიანებით კი, ამსტერდამის ხელშეკრულების საფუძველზე დეკ-ი შეუერთდა ევროკავშირს.

1992 წლის დეკემბრში ევროკავშირის შექმნის შესახებ მაასტრიხტის ხელშეკრულებამ<sup>63</sup> ნევრ ქვეყნებს დიდი გეგმები დაუსახა: მონეტარული ერთიანობა 1999 წლისათვის, ახალი საერთო პოლიტიკის ჩამოყალიბება, ევროპის მოქალაქეობის დადგენა, საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის შემუშავება და შიდა უსაფრთხოება. მაასტრიხტის ხელშეკრულების შესწორებულმა მუხლმა ნევრ ქვეყნებს უკარნახა მოლაპარაკების გამართვა ახალ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომელსაც ხელი 1997 წლის 2 ოქტომბერს მოეწერა ამსტერდამში.

---

თანამშრომლობისათვის უსაფრთხოებასთან და თავდაცვასთან დაკავშირებულ საკითხებში. კავშირის წევრი ათი ქვეყანა ამავე დროს ევროკავშირის წევრი სახელ-მნიფოა და ხელი აქვს მოწერილი ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულებებზე. ევროკავშირის ხუთ სახელმწიფოს (დანია, ირლანდია, ავსტრია, ფინეთი და შვედეთი, რომლებიც არ შედიან ნატო-ში) აქვს დამკვირვებლის სტატუსი. ნატო-ს ევროპული წევრები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ევროკავშირს (ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასთან ერთად) და რომლებმაც ხელი მოაწერეს ევროპულ შეთანხმებებს კავშირთან, წარმოადგენენ დასავლეთ ევროპის კავშირის წევრებს, როგორც ასოცირებული წევრები ან ასოცირებული პარტნიორები.

<sup>62</sup> Декларация о Западноевропейском союзе // Документы Европейского Союза. М.: Право, 1994

<sup>63</sup> Treaty on European Union, Maastricht, 7 February 1992. Luxembourg : Office for Official Publications, Book 1,1995

როგორც აღვნიშნეთ მაასტრიხტის ხელშეკრულები ხელმოწერის შედეგად ევროპის სახელმწიფოთა მეთაურები ასევე შეთანხმდნენ თანდათანობით განვიითარებინათ ერთიანი თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკა. შემდგომი ეკონომიკური ინტეგრაციის გარდა, იგი ითვალისწინებდა საგარეო პოლიტიკური ინტეგრაციის განხორციელებას და იმ საკითხების ერთობლივად გადანყვეტას, რომელიც ეხებოდა კავშირის უსაფრთხოებას, მათ შორის ერთიანი თავდაცვითი პოლიტიკის ფორმირებას, რომელიც შეიძლება თავის დროზე გარდაქმნილიყო ერთიან თავდაცვად<sup>64</sup>.

მაასტრიხტის ხელშეკრულების ხელმოწერამდე სახელმწიფოების მოქმედების კოორდინაცია საგარეო პოლიტიკის სფეროში ხორციელდებოდა 1970 წელს შექმნილი ევროპული პოლიტიკური თანამშრომლობის (ეპთ) პროგრამის ფარგლებში. მისი მიზანი იყო ნევრ-სახელმწიფოებს შორის ურთიერთგაგების გაუმჯობესება საგარეო პოლიტიკის ყველა საჭირობო საკითხის გარშემო და თანხმობის გზით ერთიანი მიდგომის შემუშავების შესაძლებლობა. ამავე დროს, ყველა გადანყვეტილება უნდა მიღებულიყო ერთხმად, ხოლო დისკუსიები უსაფრთხოების საკითხების შესახებ შემოიფარგლებოდა პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტებით. ეპთ-ის საქმიანობა ნაკლებად ეფექტური იყო. ვინაიდან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ნევრ-სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური კოორდინაცია მიმდინარეობდა განსაზღვრული საერთო კრიტერიუმებით წარმოქმნილი სახელმწიფოების ოფიციალურად აღიარებისათვის. სახელმწიფოები ხშირად მიმართავდნენ ცალმხრივ მოქმედებებს და არ ითვალისწინებდნენ საერთო ევროპულ ინტერესებს. უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკის სფეროებში იყო მიმართულებები, სადაც ნევრი სახელმწიფოები უფრო იცავდნენ თავი-

---

<sup>64</sup> Treaty on European union // Europe. N 1759/60. 07.02.1992. P. 31.

ანთ სუვერენიტეტს. საერთო ინტერესების შეთანხმება ძნელდებოდა იმის გამოც, რომ მხოლოდ ორი ქვეყანა, საფრანგეთი და გაერთიანებული სამეფო ფლობდა ბირთვულ პოტენციალს. ამის გარდა ყველა სახელმწიფო არ შედის თავდაცვის კავშირში. ნატოს წევრ სახელმწიფოებს არ წარმოადგენენ ირლანდია, შვეცია, ავსტრია, ფინეთი. ხოლო დანია, ირლანდია და საბერძნეთი არ შედიან დასავლეთ ევროპულ კავშირის შემადგენლობაში<sup>65</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, მასტრიხტის ხელშეკრულება ითვალისწინებდა შემდგომ ეკონომიკურ ინტეგრაციასთან ერთად საგარეო პოლიტიკური ინტეგრაციის განხორციელებას, ამასთანავე, ერთობლივ გადაწყვეტილებას კავშირის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. ეს ეხებოდა ერთიანი თავდაცვითი პოლიტიკის ფორმირებას, რომელიც დროთა განმავლობაში განვითარდებოდა და სრულყოფილ სახეს მიიღებდა. მასტრიხტის ხელშეკრულებამ სისტემის სახე მისცა და გააძლიერა დიპლომატიური ურთიერთობის წესები და გამოცდილება, რომლებიც უკვე გამოიყენებოდა ევროპის ქვეყნებს შორის. ხელშეკრულების მიზანი განსაზღვრულია მე-5 თავში: „საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ევროკავშირის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. ყოველივე ეს გულისხმობს საბოლოოდ თავდაცვის ერთიანი პოლიტიკის ჩამოყალიბებას, რამაც, დროთა განმავლობაში, შეიძლება საერთო თავდაცვამდე მიგვიყვანოს.“

როგორც აღვნიშნეთ, ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას საფუძვლი ჩაუყრა 1992 წელს მასტრიხტის ხელშეკრულებამ, მაგრამ იგი შემდგომში

---

<sup>65</sup> Л. Хухлындина, Политика Европейского союза в области безопасности и обороны, журнал международного права и международных отношений –1998. №4

კიდევ უფრო გამოიკვეთა და დაიხვენა 1999 წლის 1 მაისს ამოქმედებულ ამსტერდამის ხელშეკრულებით<sup>66</sup>. ევროპის ქვეყნების ტრადიციულ საგარეო მოღვაწეობასთან შესაბამისობის გაძლიერებით ამსტერდამის ხელშეკრულება საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას ამდიდრებს ახალი ინსტრუმენტებით. ამჟამად ევროკავშირს აქვს ისეთი პოლიტიკური და ადმინისტრაციული სტრუქტურები, რომლებიც მას აძლევს საერთაშორისო პოლიტიკაში ყველა ნევრის სახელით „ერთი ხმით“ ლაპარაკის საშუალებას. საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მაღალი რანგის წარმომადგენელი ისევე, როგორც მინისტრთა საბჭოს გენერალური მდივანი, მოქმედებს ევროპული საბჭოს უფლებამოსილებისა და კომისიასთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე და განუხრელად იცავს კავშირის დიპლომატიურ ხაზს. ევროკავშირის მიზანია, მსოფლიო მასშტაბით აამოქმედოს მის მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობები. მან ყურადღება უნდა მიაქციოს საერთო ფასეულობების, ფუნდამენტური ინტერესების, კავშირის დამოუკიდებლობის, ერთიანობისა და უსაფრთხოების დაცვას. თავისი მოქმედებით ევროკავშირი ცდილობს მშვიდობის შენარჩუნებას, დემოკრატიისა და კანონის უზენაესი ძალის განმტკიცებას<sup>67</sup>. ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკების მიზნები მდგომარეობდა შემდეგში:

- ევროკავშირის საერთო ფასეულობების, ძირითადი ინტერესებისა და დამოუკიდებლობის დაცვა;

---

<sup>66</sup> Treaty of Amsterdam amending the Treaty on European Union. — Amsterdam. - 1997

<sup>67</sup> ფონტენი პასკალ, ევროპის გაერთიანების ახალი იდეა (შუმანის დეკლარაცია - 1950-2000)

-ევროკავშირის და მისი წევრი ქვეყნების უსაფრთხოების გაძლიერება და განმტკიცება;

-მშვიდობის განმტკიცება და საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერება;

- საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა და გაძლიერება;

- დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემის განმტკიცება;

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპების, ეუთოს 1975 წლის დასკვნითი აქტის და 1990 წლის პარიზის ქარტიის შესაბამისად მშვიდობის შენარჩუნება და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცება;

საერთაშორისო თანამშრომლობის; დემოკრატიის განმტკიცება და განვითარება, ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლების დაცვა;

ერთობლივი მოქმედებების პერსპექტიულ მიმართულებებად დასახელდა ეუთოს პროცესი, განიარაღება და შეიარაღებაზე კონტროლი ევროპაში, ბირთვული იარაღის გაუფრცვლელობა, მესამე ქვეყნებისათვის იარაღის გადაცემასა და ვაჭრობაზე კონტროლი<sup>68</sup>.

ამ სრულიად ახალმა მიდგომამ წამოჭრა რიგი სხვა სამხედრო-პოლიტიკური წესრიგის საკითხები ევროკავშირისათვის, რომელიც ადრე არ იყო მისთვის დამახასიათებელი.<sup>69</sup>

ამსტერდამის ხელშეკრულების საფუძველზე გაუმჯობესდა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმი.

<sup>68</sup> Европейская интеграция. М., 1996. С. 78—82.

<sup>69</sup> Л. Хухлындина, Политика Европейского союза в области безопасности и обороны, журнал международного права и международных отношений –1998. №4

ხელშეკრულებამ უზრუნველყო საერთო სტრატეგია იმ სფეროებში, რომლებშიც წევრ სახელმწიფოებს საერთო მნიშვნელოვანი ინტერესები აქვთ, დაამკვიდრა პოლიტიკის უფრო მიზანმიმართული ფორმულირება და მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიტიკური ჯგუფის დაარსებით შემოიღო ადრეულ ეტაპზე გაფრთხილების მექანიზმი. ამას დაემატა დროებითი პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტისა და, პარალელურად, სამხედრო კომიტეტის დაარსება, რაც მიზნად ისახავდა მთავრობებისთვის კონსულტაციის განევას კრიზისული სიტუაციების მართვის საკითხებში.

ამსტერდამის ხელშეკრულების ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მიღწევა იყო საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში უმაღლესი წარმომადგენლის ინსტიტუტის დაარსება. ეს ინსტიტუტი მჭიდროდ თანამშრომლობს ევროკომისიასა და წევრ სახელმწიფოებთან, მათ შორის, ამ სახელმწიფოების უზარმაზარ დიპლომატიურ სისტემებთან და ევროკომისიის დეგელეგაციებთან, და თავისი მოღვაწეობით ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის თანმიმდევრულობას და ეფექტიანობას უზრუნველყოფს<sup>70</sup>. ამსტერდამის ხელშეკრულება სახავს დასავლეთ ევროპის კავშირის ევროკავშირთან სრული ინტეგრაციის საშუალებას.

ამსტერდამის ხელშეკრულებაში ხელახლა იქნა ფორმულირებული ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიზნები - დაისახა რთულ ვითარებაში როგორც სამხედრო, ისე არასამხედრო შესაძლებლობათა გამოყენების პერსპექტივა. სახელდობრ, ეს არის ეგრეთ წოდებული პეტერსბერგის ამოცანები, რომლებიც მოიცავს საშუალებათა

---

<sup>70</sup> ევროკავშირი და მსოფლიო, თბ., 2002

ფართო სპექტრს, დაწყებული კვლევითა და მამველთა სამსახურებით, დამთავრებული სამშვიდობო ოპერაციებით<sup>71</sup>.

ამის შემდეგ საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხების ახლებურად გადაწყვეტის საქმეში ევროკავშირი ხდებოდა ევროპის ცენტრი.

ერთიანი საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაცია ძირითადად დაიწყო 1993 წლის ბოლოსათვის, როდესაც ევროკავშირში შემავალი ყველა ქვეყნის პარლამენტმა მოახდინა მასტრიხტის ხელშეკრულების რატიფიკაცია. მაგრამ წარმატებები ამ კუთხით უფრო ატარებდა ერთგვაროვან ხასიათს, რომელიც ეხებოდა არა კავშირის ინტერესებს მთლიანობაში, რამდენადაც ინტერესების პრესტიჟს. მსგავსი სახის მოქმედებად შეიძლება ჩაითვალოს 1995 წლის 21 მარტს პარიზში მიღებული პაქტი სტაბილურობის შესახებ ევროპაში. საფრანგეთის წინადადების მიხედვით იგი მიმართული იყო საზღვრების ურღვეობის პრინციპის განმტკიცებისა და ეროვნული უმცირესობის საკითხის დარეგულირებაზე. ამ მიზნით დაფუძნდა სპეციალური ევროკავშირის ადმინისტრაცია ქ. მოსტარში (ბოსნია და ჰერცეგოვინა). წარმატებებს შორის ასევე შეიძლება დავასახელოთ 1996 წელს ევროკავშირის მიერ დაფიქსირებული საერთო პოზიცია ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებასთან დამოკიდებულება.

1996 წელს ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების პროცესში გამოვლინდა რიგი ნეგატიური ფაქტორები, რომელიც აფერხებდა მის რეალიზაციას: პოლიტიკური ნების არ ქონა, გადაწყვეტილების მიღების მექანიზმის სირთულე, საბიუჯეტო პროცედურების სირთულე და ა.შ.

---

<sup>71</sup> იქვე.



დიდი სიმძაფრით დადგა საკითხი ევროკავშირსა და მის სამხედრო კომპონენტთან დასავლეთ ევროპულ კავშირთან ურთიერთობის შესახებ. რადგანაც მაასტრიხტის ხელშეკრულებამ აქცია დასავლეთ ევროპული კავშირი ევროკავშირის განვითარების განუყოფელ ნაწილად, ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო დასავლეთ ევროპული კავშირის ადგილის დაზუსტება, როგორც ნატოს ძალისმიერი ევროპული კავშირის და ევროკავშირის დამოუკიდებელი თავდაცვითი კომპონენტის. ვინაიდან უწინდებურად გაურკვეველი იყო მისი სამხედრო მექანიზმი.

ევროკავშირის სახელმწიფოებმა ვერ შეძლეს მიეღწიათ კონსენსუსისათვის უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროში საერთო პოლიტიკის საინსტიტუციო ჩარჩოს შექმნაზე, რომელზეც საუბარია მაასტრიხტის ხელშეკრულებაში.

დრო, რომელიც წილად ხვდა ევროკავშირის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკას განხორციელებისათვის არც ისე იოლი ხასიათისა იყო, რაც რეალურად არის მთავარი მიზეზი მისი რეალიზაციის გართულებაში. სოციალისტური სისტემის ნგრევამ, ვარშავის ხელშეკრულების ლიკვიდაციამ, ნატოს სტრუქტურულმა ცვლილებებმა გამოიწვია ადრე სამხედრო-პოლიტიკური და იდეოლოგიური კონფრონტაციის შეცვლა პარტნიორული ურთიერთობებით. შეიქმნა ჩრდილოეთატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამა. რამაც გააძლიერა „ატლანტიკური“ მიდგომის და ნატოს გაძლიერება ევროპულ საქმეებში. ეს უკანასკნელი სამხედრო ბლოკიდან ტრანსფორმირდა სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციად, რომელსაც გაუჩნდა პრეტენზია საერთო ევროპული უსაფრთხოების სისტემის უზრუნველყოფაზე.

კოსოვოს მოვლენებმა გამოავლინა ევროპაში არსებული ეროვნული და კოლექტიური სამხედრო შესაძლებლობე-

ბი და ხაზი გაუსვა ევროპული სტრატეგიული თავდაცვის პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობას. საფუძველი ამ პოლიტიკას ჩაეყარა 1999 წლის დეკემბერში ჰელსინკის სამიტზე ევროკავშირის სახელმწიფოთა მეთაურების მიერ, რომლებიც შეთანხმდნენ, დაეარსებინათ სწრაფი რეაგირების შენაერთი და შეემუშავებინათ გამჭვირვალე პროცედურები ნატო-სთან და არაევროპულ ქვეყნებთან კონსულტაციისა და თანამშრომლობისთვის. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ნატო კვლავაც წარმოადგენს მისი წევრების კოლექტიური თავდაცვის საყრდენს და რომ ევროკავშირს მოქმედება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ნატო არ ღებულობს პროცესში მონაწილეობას. ლიბიის სამხედრო ოპერაციის მსვლელობაში ეს აშკარად გამოჩნდა<sup>72</sup>.

ევროკავშირის პასუხისმგებლობაზე შეიქმნა აზრთა სხვადასხვაობა. ინგლისი და საფრანგეთი ძველებურად ინარჩუნებენ განცდას გასული დიდების შესახებ. ინგლისი ცდილობს შეავსოს ეს განცდა თავისი განსაკუთრებული დამოკიდებულებით აშშ-თან. საფრანგეთი კი ცდილობს აჯობოს აშშ-ს, აქციოს ევროკავშირი უდიდეს ზესახელმწიფოდ. დანარჩენ ქვეყნებს ამ საკითხებისადმი უფრო ზერელე დამოკიდებულება ჰქონდათ.

1997 წლის ამსტერდამის ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა მექანიზმი, რომელიც ევროკავშირის ქვეყნების ჯგუფს (და არა ყველას) საშუალებას აძლევდა სურვილის და არსებული შესაძლებლობის ფარგლებში მოეხდინათ ურთიერთობების ცალკეულ სფეროებში წინ წაენიათ ინტეგრაცია, ისე რომ ამაში აუცილებელი არ იყო მისი ყველა წევრის მონაწილეობა. ამ მექანიზმა წინწანეული თანამშრომლობის მექანიზმის სახელწოდება მიიღო. სამწუხაროს ეს მექანიზმი

---

<sup>72</sup> ევროკავშირი და მსოფლიო, თბ., 2002

არ შეეხო სწორედ ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას, ვინაიდან აქ გათვალისწინებული იქნა კონსტრუქტიული თავშეკავების შესაძლებლობა. მაგრამ მოგვიანებით 2000 წლის ნიცის ხელშეკრულების საფუძვლზე წინნაწეული თანამშრომლობის მექანიზმი გავრცელდა საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების სფეროზეც. თუმცა იგი შეიზღუდა ერთობლივი მოქმედებით და საერთო პოზიციის გათვალისწინებით<sup>73</sup>. მაგრამ ეს მექანიზმი არ ვრცელდებოდა სამხედრო და თავდაცვითი თანამშრომლობის სფეროზე.

ერაყის კრიზისის დროს 2003 წლის აპრილში გერმანიამ, საფრანგეთმა, ბელგიამ და ლუქსემბურგმა მხარი არ დაუჭირა აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის სამხედრო ოპერაციას და წინადადება წამოაყენეს შეექმნათ საკუთარი სამხედრო დანაყოფები ევროკავშირის ეგიდით. დეკლარაციაში გაცხადებული იყო შეექმნათ უსაფრთხოების და თავდაცვის ევროპული კავშირი, სწორედ წინნაწეული თანამშრომლობის პრინციპზე, რომელშიც შევიდოდნენ ის სახელმწიფოები რომლებიც მზად იყვნენ ამ სფეროში თანამშრომლობის წინნაწევით<sup>74</sup>. მაგრამ ევროპის ოთხი სახელმწიფოს ამ ინიციატივას მკვეთრად მწვავე გამოხმაურება მოჰყვა აშშ-ის და საკუთრივ ევროპული ქვეყნების მხრიდანაც. ვინაიდან ბევრი ევროპული ქვეყნა მხარს უჭერდა აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის ოპერაციას ერაყში. ამავე დროს სახელმწიფოების ნაწილმა (ირლანდია, ფინეთი, ავსტრია, შვეცია) ნეიტრალური პოზიცია დააფიქსირა ოთხი სახელმწიფოს ინიციატივაზე. რაც განპირობებული იყო სურვილით, რომ ამ სფეროში არ

---

<sup>73</sup>Consolidated Versions of The Treaty on European Union and The Treaty Establishing the European Community. 2002. TEU. Art.27b.

<sup>74</sup> Conclusions of the Meeting of the Heads of State and Government of Germany, France, Luxembourg and Belgium on European Defence. Brussels, 23 April 2003

მომხდარიყო ფორსირება და სახელმწიფოებს შორის არსებული განსხვავებული შეხედულებების გაღრმავებით<sup>75</sup>.

ცხადია ვერ იქნა შემუშავებული ერთიანი უსაფრთხოების სისტემის შექმნა. ფინურ-შვედური ვარიანტი ითვალისწინებდა, რომ ევროკავშირს ნათლად აქვს განსაზღვრული თავდაცვითი მიზნები, რომელიც ამავე დროს მოიცავს ჰუმანიტარულ ოპერაციებს (მოსახლეობის ევაკუაცია, სამშვიდობო ოპერაციები, კრიზისების მართვა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით).

ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოს, ასევე ნეიტრალურ სახელმწიფოებს შეუძლიათ ჰქონდეთ თანაბარი უფლებები გადანყვეტილების მიღებისა და ამ ოპერაციებში მონაწილეობის საქმეში. ნატო კი არის გარანტი ამ ქვეყნებისათვის რეალური მუქარის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში მთავარი დანიშნულება დასავლეთ ევროპული სახელმწიფოებისათვის არის ევროკავშირის გადანყვეტილებების შესრულება.

ფრანგულ-გერმანული პოზიცია ატარებს კომპრომისულ ხასიათს, რომელიც მოიცავს ფინურ-შვედურ მიდგომას. ის ითვალისწინებს, რომ ნატოს ბლოკს შეუძლია და ვალდებულია გამოყენებულ იქნეს ჰუმანიტარული გეგმის ამოცანების შესასრულებლად. ეს ვარიანტი ითვალისწინებს დასავლეთ ევროპული კავშირისა და ევროკავშირის გაერთიანებას, იმისათვის, რომ ევროკავშირს შეეძლოს მთლიანად შეასრულოს ევროპაში თავდაცვის ფუნქცია. ეს კი უფლებას აძლევს ევროსაბჭოს გამოსცეს დირექტივები ევროპის სამხედრო ოპერაციების შესახებ.

დიდმა ბრიტანეთმა შეიმუშავა მესამე სცენარი ევროპის თავდაცვისათვის. ბრიტანული გეგმა ითვალისწინებს

---

<sup>75</sup>Журкин В.В. Европейский союз в 21 веке- Европейская политика безопасности и обороны, 2005, №170, с. 53

არსებული ინსტიტუტების შენარჩუნებას. ეს ნიშნავს, რომ ევროკავშირს შეუძლია ითხოვოს დასავლეთ ევროპულ კავშირისაგან იმოქმედოს ევროკავშირის პოლიტიკური გადანყვეტილებების მხარდაჭერისათვის. საბოლოო გადანყვეტილება ამ მოთხოვნების რეალიზაციისათვის შეუძლიათ მიიღონ მხოლოდ დასავლეთ ევროპული კავშირის წევრებმა. ნატოს ევროპულმა წევრებმა, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრები, უნდა მიიღონ ასეთივე მონაწილეობა გადანყვეტილებათა მიღების საქმეში. დასავლეთ ევროპულ კავშირს შეუძლია გამოიყენოს ნატოს მრავალეროვანი ტაქტიკური ძალა, რომლის გამოც შესაძლებელი ხდება იმის აუცილებლობა, რომ შეიქმნას საკუთარი შეიარაღებული ძალები. დიდი ბრიტანეთი, რომელსაც მხარს უჭერს ნიდერლანდები და პორტუგალია, მიუთითებენ, რომ შეიძლება სწრაფად მოხდეს დეკ-ის გაძლიერება, რომელიც გახდება ევროკავშირის თავდაცვის ნაწილი, რაც შეარყევს „ატლანტიკურ სოლიდარობას“ და დაასუსტებს ნატოს.

ასევე არსებობს იმის ვარაუდი, რომ ნატოს სტრუქტურებს გადაეცეს სამხედრო თავდაცვის ძირითადი საკითხების შესრულების შესაძლებლობა.<sup>76</sup>

დასავლეთ ევროპულ კავშირსა და ევროკავშირს შორის შემდგომი ურთიერთკავშირების შესახებ მადრიდის შეხვედრაზე წამოიჭრა ორი სხვადასხვა მიდგომა. პირველი – საფრანგეთი, გერმანია და რიგი კონტინენტური ევროპის სხვა სახელმწიფოები იძლეოდნენ რჩევებს იმ პროცედურების შესასრულებლად, სადაც მოხდებოდა დასავლეთ ევროპული კავშირისა და ევროკავშირის თანდათანობითი შერწყმა შემდეგ ვარიანტებთან.

---

<sup>76</sup> Чернега В. Западноевропейский союз в тени НАТО // Международная жизнь. 1998. № 8. С. 58

1. ევროკავშირი პირდაპირ აკონტროლებს დასავლეთ ევროპულ კავშირს, რომელიც ბრიუსელის 1998 წლის ხელშეკრულების შემდეგ გახდა ევროკავშირის განუყოფელი ნაწილი.<sup>77</sup>

2. ევროკავშირი შეძლებისდაგვარად ავალებს დასავლეთ ევროპულ კავშირს ამა თუ იმ საკითხების გადანყვეტას სამხედრო დარგში, ანუ ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას სამხედრო პოლიტიკის დარგში.

მეორე მხრივ, ინგლისი მკაცრად იდგა იმ პოზიციაზე, რომ დასავლეთ ევროპული კავშირი დარჩებოდა ავტონომიურ ორგანიზაციად. თავისი ევროკავშირთან ურთიერთობებით ის არ არის ვალდებული იხელმძღვანელოს ევროკავშირის საბჭოს დირექტივებით, რომელსაც არ გააჩნია არც პრაქტიკული გამოცდილება, არც კვალიფიცირებული პერსონალი სამხედრო დარგში. კონკრეტული გადანყვეტილებები სამხედრო უსაფრთხოებისა და თავდაცვის საქმეში უნდა მიიღონ თვით დასავლეთ ევროპული კავშირის წევრმა სახელმწიფოებმა სამთავრობოთაშორისო დონეზე. ამასთანავე, დასავლეთ ევროპულმა კავშირმა უნდა განაგრძოს ახალი ფორმების აქტიური ძებნა ევროკავშირთან და ნატოსთან ერთად თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში, ასეთ პოზიციას კი შეეძლო ეჭვის ქვეშ დაეყენებინა მიზანმიმართულება იმ თეზისისა, რომელიც მოიცავს ერთიანი სამხედრო თავდაცვის საკითხებს.

ინგლისის მიდგომამ თითქმის სინთეზი გაუკეთა ორ ძირითად საკითხს. პირველი, მსოფლიოში ევროკავშირის დადებით და მშვიდობისმოყვარე იმიჯს შეიძლება „დენტის დარტყმა“ მიეღო, ვინაიდან მოხდებოდა მისი მაკომპრიმენტირება სამხედრო ასპექტში ნატოსთან დეკ-ის დაკავშირე-

---

<sup>77</sup> Western European Union. Brussels Treaty: Texts of the Treaty and the Protocols. WEU, Brussels, March 1995. P. 6.

ბის გამო. ასევე, გამოენვია ნეგატიური რეაქცია აღმოსავლეთიდან, ისეთივე, როგორც ჰქონდა და აქვს ნატოს გაფართოების საკითხს. მეორე, დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკური სტრუქტურა (ნატო და ევროკავშირი+დეკ-ი), განსაკუთრებით კი, ნეიტრალური ქვეყნების (შვეცია, ავსტრია, ფინეთი) ხარჯზე ევროკავშირის გაფართოებასთან მიმართებით, ახლა შეიძლება გამხდარიყო ექვსეულის სისტემა, რომელიც ბევრ ადგილას უბრალოდ ერთანეთს არ უკავშირდება. ევროკავშირის სამი ზემოთ ხსენებული ქვეყანა არ არის ნატოს და დეკ-ის წევრი. ნატოს წევრი ქვეყნები ისლანდია, ნორვეგია და თურქეთი არ არის ევროკავშირის წევრი და არიან მხოლოდ დეკ-ის ასოცირებული წევრები (ე.ი. შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა მის მუშაობაში, მაგრამ არ შეუძლიათ დაბლოკონ სრულუფლებიანი წევრების კონსესუსი გადაწყვეტილებები). დანია არის ნატოს და ევროკავშირის წევრი, ხოლო ირლანდია არის ნატოს წევრი, მაგრამ არ არის ევროკავშირის, არის მხოლოდ დამკვირვებელი დეკ-ში (შეიძლია მიიღოს მის მუშაობაში მონაწილეობა მხოლოდ).

ასეთ პირობებში დასავლეთ ევროპული კავშირის სრული ინტეგრაცია ევროკავშირში შეიძლება გამხდარიყო 1998 წლეს ბრიუსელის ხელშეკრულების დენონსაციის და მისი ფუნქციების ევროკავშირის ახალი თავდაცვითი სტრუქტურის გადაცემის საფუძველი.

1997 წელს ბრიუსელში განიხილეს ევროპის უსაფრთხოების საკითხები ნატოს და ევროკავშირის გაფართოების ქრილში. აშშ-ის ელჩმა ნატოში (რობერტ ჰანტიერი) თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ თუ კი ეს პრინციპები ურთიერთშეთანხმებით არ იქნება გაძლიერებული, მაშინ არავითარი შედეგი არ იქნება მიღწეული. მან დაადასტურა რომ

აშშ-ი საკუთარ თავს განიხილავს „ევროპულ ზესახელმწიფოდ“.<sup>78</sup>

ამრიგად, ევროკავშირის სახელმწიფოთაშორისო კონფერენციას 1996–1997 წ. ან უნდა შეემუშაებინა დამატებითი პროტოკოლი თავდაცვის საკითხების მიხედვით ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებისთვის დაინტერესებული სახელმწიფოების მიერ მისი ხელმოწერისათვის, ან ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების გადახედვით ტექსტში ჩაერთო დებულება საერთო თავდაცვის შესახებ არადაინტერესებული ქვეყნებისათვის ჩართვის შესაძლებლობით. ეს კი შესაძლებელს გახდიდა საერთო თავდაცვითი პოლიტიკის შემუშავება მომხდარიყო.

იმავე პერიოდში ინგლისმა გამოიყენა რა თავისი მდგომარეობა (როგორც თავმჯდომარე ქვეყნისა), აქტიურად ცდილობდა დაერწმუნებინა ევროპარტნიორები და პიველ რიგში კი საფრანგეთი, რომ მომხდარიყო დასავლეთ ევროპული კავშირისათვის ავტონომიური სტრუქტურის სტატუსის განმტკიცება დეკ-ის უსაფრთხოების სისტემის და არა ევროკავშირის ფარგლებში. ლონდონის ეს მცდელობა არ შეიძლება უტოპიად ჩაითვალოს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1996 წლის დასაწყისში საფრანგეთმა მიიღო გადაწყვეტილება 30 წლიანი შესვენების შემდეგ დაბრუნებულიყო ნატოს სამხედრო სტრუქტურის ბევრ კომიტეტში და მისი წინადადებით ნატოში მის მოკავშირეებთან ერთად დაენყო პოლიტიკური დიალოგი ევროპული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ბირთვული იარაღის როლის შესახებ. ეს მას შემდეგ, როგორც კი გენერალმა შარლ დე გოლმა 1966 წელს გასცა განკარგულება ნატოს სამხედრო ორგანიზაციიდან საფრანგეთის გამოსვლის შესახებ და მას შემდეგ არც

---

<sup>78</sup> Atlantic News. N 2887, 24 January 1997. P. 3.



ერთ ფრანგ ხელისუფალს ბრიუსელში აღარ განუხილავს საკითხი ბირთვული ძალების შესახებ.

პარიზი არ აპირებს განაცხადოს უარი თავისი წამყვანი როლის შესახებ დასავლეთ ევროპულ კავშირში. უბრალოდ ის მიხვდა, რომ ატლანტიკური და ევროპული თავდაცვა უნდა მოქმედებდნენ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი, ევროპის მხარეს მკვეთრი გადახრა გამოიწვევს აშშ-სა და კანადას შორის გახლეჩას, რაც გამოიწვევს ნატოს დასუსტებას და მთლიანად დასავლეთ ევროპული სისტემისას. ამჟამად ფრანგების პოზიცია ასეთია, დამოუკიდებელი ევროპული თავდაცვითი პოლიტიკის შექმნა უნდა მოხდეს ნატოს თვითგანახლების პროცესის პარალელურად.

1996 წლის კონფერენციაზე საფრანგეთმა, გერმანიამ, იტალიამ, ბელგიამ და ლუქსემბურგმა წარმოადგინეს პროექტი ევროკავშირში დასავლეთ ევროპული კავშირის თანმიმდევრული ინტეგრაციის შესახებ. ის მიზნად ისახავდა ამ ორგანიზაციების ეტაპობრივ (10 წლის განმავლობაში) სრულმამუშაობიან შერწყმას. პროექტს უარი ეთქვა დიდი ბრიტანეთის მხრიდან უკუქმედების გამო.<sup>79</sup> ინგლისის პრემიერის, ტონი ბლერის აზრით, ასეთი იდეა დაასუსტებს ევროპის თავდაცვით სისტემას, ხელს შეუშლის ნატოს ფარგლებში თავდაცვით კავშირს აშშ-სა და ევროპას შორის. ამსტერდამის სამიტზე მიიღეს გადაწყვეტილება დასავლეთ ევროპული კავშირის ავტონომიის შენარჩუნების შესახებ დასავლეთ ევროპული კავშირის ევროკავშირში ინტეგრაციის პერსპექტივის შენარჩუნებით. თანაც სპეციალურ პროტოკოლში იქნა შეტანილი საკითხი იმის შესახებ, რომ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან (1997 წლის 2 ოქტომბერი) 1 წლის განმავლობაში ევროკავშირსა და დასავლეთ ევროპულ კავშირ-

---

<sup>79</sup> Минеев А. Амстердамский саммит ЕС и споры вокруг интеграции // Компас. 1997. № 27. С. 21.

ში მიიღებენ ზომებს ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცებისათვის.

ასეთივე გადაწყვეტილება ამ დროისათვის უკვე მიიღო თვით დასავლეთ ევროპულმა კავშირმა. დასავლეთ ევროპული კავშირის ბრიუსელის დეკლარაციაში, რომელიც იქნა მიღებული 1997 წლის ივლისში, შეტანილ იქნა ევროკავშირის უფლება დაევალებინა დასავლეთ ევროპული კავშირისათვის შეემუშავებინა და გენეხორციელებინა ცხოვრებაში არსებული თავდაცვითი ასპექტები.<sup>80</sup> გერმანიისა და საფრანგეთის მხრიდან მოთხოვნის გამო ამსტერდამის ხელშეკრულებაში შეტანილ იქნა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ევროკავშირს შეუძლია ახალი სახელისუფლებო კონფერენციის მოწვევის გარეშე შეიმუშავოს ახალი პოლიტიკა თავდაცვის დარგში.<sup>81</sup>

1999 წლის ივნისში კიოლნის სამიტზე ევროკავშირის ქვეყნებმა მიიღეს გადაწყვეტილება სამხედრო პოლიტიკის კოორდინაციის და თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში საერთო პოლიტიკის გატარებზე გადასვლის შესახებ. შემოღებულ იქნა თანამდებობა სამხედრო პოლიტიკის და უშიშროების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის შესახებ. მის ხელში მოიყარა უფლებამ, რომელიც ითვალისწინებდა ევროკავშირის სამხედრო-პოლიტიკური ინტესების წარდგინებას მის საგარეო პარტნიორებთან.

თუმცა, ევროკავშირის ინტეგრაცია გარესამყაროსთან ურთიერთდამოკიდებულების სფეროში სრულდებოდა პირველ ყოვლისა სახელისუფლებო კოორდინაციის მეშვეობით

---

<sup>80</sup> Чернега В. Чернега В. Западноевропейский союз в тени НАТО // Международная жизнь. 1998. № 8. С. 59.

<sup>81</sup> Internationale Politik. 1997. № 11. С. 24.

და ნაკლებად – უფლებამოსილების დელეგირების საშუალებით ინტეგრაციული გაერთიანების დონეზე.

ისეთ ადგილებში შექმნილმა გამოცდილებამ, როგორც ბალკანეთი და აღმოსავლეთ ტიმორია, ცხადყო, რომ ევროკავშირი მზად უნდა იყოს საჭიროების შემთხვევაში სწრაფი და ეფექტიანი რეაგირებისთვის. სწორედ ეს მოთხოვნა დაედო საფუძვლად ჰელსინკიში ნაკისრ ვალდებულებას, 2003 წლისათვის შესაძლებელი გამხდარიყო 60 დღის განმავლობაში 60 000 შენაერთის მობილიზება ე.წ. სწრაფი რეაგირების კორპუსი და მათი ერთი წლის განმავლობაში შენახვა პეტერსბერგის სხვადასხვა ამოცანის შესასრულებლად. ცხადია, ძალის გამოყენება ყოველთვის უკანასკნელი საშუალება უნდა იყოს.

გადაწყდა, რომ ევროკომისიამ სრული მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ პროცესში, თუმცა პროცესის ორგანიზება უფრო მთავრობათაშორის საფუძველზე ხდება (და არა ევროკავშირის თითქმის მთელ მოღვაწეობაში გამოყენებული პროცედურების შესაბამისად). მიუხედავად იმისა, რომ ევროკომისია არ არის კომპეტენტური სამხედრო საკითხებში, მას აქვს საშუალებები და გამოცდილება, რომლებიც საჭიროა არასამხედრო საკითხებში მნიშვნელოვანი წვლილის შესატანად. ამგვარი წვლილის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია სიცოცხლისუნარიანი ეკონომიკის ხელშეწყობა, ეკონომიკას კი დიდი დახმარების განევა შეუძლია ევროპული თავდაცვის კონკურენტუნარიანი და ღია სანარმოო და ტექნოლოგიური საფუძვლის განვითარებაში.

გარდა ამისა, ევროკომისიამ და ევროკავშირმა თავისი როლი უნდა ითამაშონ კონფლიქტების თავიდან აცილებასა და კრიზისული სიტუაციების მართვაში. ეს გულისხმობს ისეთ სფეროებს, როგორც არის ჰუმანიტარული დახმარე-

ბა, რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია, აგრეთვე, უფრო არაპირდაპირ საშუალებებს, მაგალითად, მართლწესრიგის დამყარებაში დახმარებას, ინსტიტუციურ შესაძლებლობათა განვითარებას და სავაჭრო პოლიტიკას. ამ ბოლო ხანს წამოწყებული იქნა რამდენიმე ინიციატივა, რომლებიც მიმართული იყო ბოსნიაში ნაღმების უვნებელყოფისკენ, ალბანეთში სათანადო პოლიციის დაარსებისკენ და კოსოვოში რეკონსტრუქციისა და შერიგების ხელშეწყობისკენ<sup>82</sup>.

2000 წლიდან ფუნქციონირებს ევროკავშირის ახალი სტრუქტურები – უსაფრთხოებისა და პოლიტიკის კომიტეტი და სამხედრო კომიტეტი.

2003 წელს ევროკავშირმა მოახდინა საკუთარი შეხედულებების კოდიფიცირება უსაფრთხოების შესახებ დოკუმენტებში „უსაფრთხოების ევროპული სტრატეგია“. 2001 წლის 11 სექტემბრის შემთხვევამ საერთაშორისო გაერთიანება დააყენა ახალი მუქარის წინაშე, რამაც ევროკავშირის ქვეყნებს უზიძგა შეეტანათ ტერორიზმთან ბრძოლის საკითხები თავიანთ პროგრამაში. ამავე დროს ევროკავშირის ქვეყნებს შორის უთანხმოებამ ირანის კრიზისთან დაკავშირებით გამოავლინა ის ფაქტი, რომ ევროკავშირი ჯერ კიდევ არ იყო მზად გაელაშქრა ერთიანი ფრონტით საგარეო პოლიტიკის სფეროში. ამ ფონზე ევროპული უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავება გახდა გარკვეული მიღწევა საერთაშორისო საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების პოლიტიკის საქმიანობაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწრაფი რეაგირების ძალების შექმნა დაგეგმილი იყო 2003 წლისათვის. ამ სამხედრო კონტიგენტის რაოდენობა შეადგენს 50–100 ათას ადამიანს. მისი პირადი შემადგენლობა დაკომპლექტდება ნევრი

---

<sup>82</sup> ევროკავშირი და მსოფლიო, თბ., 2002

სახელმწიფოების სამხედროებისაგან. სწრაფი რეაგირების ძალების ხელმძღვანელად ევროკავშირის საბჭოს სტრუქტურაში 2001 წელს დაარსდა სპეციალური ორგანოები: უსაფრთხოების პოლიტიკის კომიტეტი, სამხედრო კომიტეტი და ევროკავშირის სამხედრო შტაბი.

საერთო საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების პოლიტიკის სტრატეგიულ მიზანს შეადგენს საერთო თავდაცვითი სტრუქტურის შემუშავება. თანამედროვე ეპოქაში საერთო საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოების პოლიტიკა კონცენტრირდება სწრაფი რეაგირების ძალების დაფუძნებისათვის, რომლებიც შეასრულებენ მშვიდობისმყოფელ ოპერაციებს ევროპასა და შესაძლოა, სხვა რეგიონებშიც.<sup>83</sup>

## **2. ევროკავშირისა და ნატოს ურთიერთდამოკიდებულება**

ევროკავშირის გეოპოლიტიკური პრიორიტეტების ერთობა მოცემულია მის საგარეო პოლიტიკურ ინტერესებში. ევროკავშირის შემდგომი გაფართოების გეგმებში, რომელიც დაკავშირებულია სამხედრო-პოლიტიკურ ინტეგრაციის შესაძლებლობასთან, განიხილება ნატოსა და ევროკავშირის მიზნების თითქმის სრული თანხვედრა, რაც ქმნის ევროკავშირის, როგორც ნატოს დასავლეთევროპული საყრდენის გამოყენების საფუძველს. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის შიგნით არის სოციალურ-ეკონომიკური დისპროპორცია, რაც მის გაფართოებასთან არის დაკავშირებული, მისი ახალი წევრები იწონებენ ევროკავშირის და ნატოს ერთგვარი დაახლოების სტრატეგიას.

---

<sup>83</sup> Основы права Европейского Союза / под ред. проф. Кашкина С.Ю. М.: Белые альфы, 1997.

ევროპული პოლიტიკის პროცესის ფორმირების განვითარება უსაფრთხოებისა და თავდაცვის დარგში ეჭვგარეშეა, რომ იქცა ევროპაში უსაფრთხოების მთავარ ფაქტორად. ევროკავშირის მიზანია ევროპაში უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში მიმდინარე საკითხების გადაწყვეტა მოხდეს ნატოს უშუალო მანაწილეობის გარეშე. არსებული რესურსები ევროკავშირს აძლევს საშუალებას დამოუკიდებლად და ეფექტურად გადაწყვიტოს ბევრი პრობლემა და იმოქმედოს მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის გატარებით, ასევე, ჰუმანიტარული დახმარება აღმოუჩინოს ქვეყნებს და მართოს კრიზისები.

ამ კუთხით ნამდვილი პროგრესი მიღწეულ იქნა 20-ე საუკუნის ბოლოს. საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის სფეროში ახალი გეგმებისა და ამოცანების შესახებ შეთავაზებები გააკეთეს. 1999 წელს ევროკავშირმა კელნში განსაზღვრა შემოთავაზებული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი და გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები.<sup>84</sup>

1992 წელს, იენისში დასავლეთ ევროპული კავშირის შტაბ-ბინაში თათბირზე მიიღეს პეტერსბერგის დეკლარაცია, რომელიც ეხებოდა დასავლეთ ევროპულ კავშირს, ევროკავშირისა და ნატოს ურთიერთდამოკიდებულებებს. ის არა მარტო უნდა ყოფილიყო წევრი ქვეყნების საზღვრების დაცვის გარანტი, არამედ უნდა უზრუნველყო ჰუმანიტარული და სამაშველო ოპერაციები, მშვიდობისმოყვარე მისია, ასევე, უნდა გადაეწყვიტათ საკითხები კრიზისის მართვის საქმეში.

ამ საკითხების წარმოქმნა იყო ძირითადად მასტრიხტის გადაწყვეტილებების გაგრძელება. მაგრამ ნატოსა და ევროკავშირს ზოგიერთ საკითხებზე შეთანხმებამ და ურთი-

---

<sup>84</sup> Митропольский А.Б. Россия и европейская интеграция. М., 2001. С.189.

ერთმოქმედებამ დიდად შეაშფოთა რუსეთი. ამ შეთანხმებებმა კი, რა თქმა უნდა, უნდა იმოქმედოს ევროკავშირის პოლიტიკური ზემოქმედების განმტკიცებაზე, უნდა შესძინოს ევროკავშირს დიდი პოლიტიკური წონა. ვიდრე საუბარი დაიწყება ევროკავშირის პოლიტიკური ზემოქმედების ახალი ცენტრის წარმოქმნაზე, აუცილებელია განისაზღვროს, როგორ ეთანხმება მისი საქმიანობა უკვე არსებულ პოლიტიკურ ცენტრს ნატოს სახით.

თვით ევროკავშირში არის მიდგომა ამ კუთხით, ერთი მხრივ, საფრანგეთი, რომელიც თანახმაა მრავალპოლარული მშვიდობისა. საფრანგეთი დიდი ხანია ილტვის მიაღწიოს ერთიანი ევროპული საგარეო პოლიტიკის განმტკიცებას, პირველი რიგში იმისათვის, რომ შემდეგში ეს ყველაფერი გამოიყენოს საკუთარი ქვეყნის ინტერესებისათვის. მეორეს მხრივ, ევროკავშირში უსიტყვოდ დომინირებს საფრანგეთის ადმინისტრაციისაგან განსხვავებული მსოფლმხედველობა. ყველაზე უფრო აქტიური პოზიცია უჭირავს ბრიტანულ ხელმძღვანელობას, რომელმაც 1998 წელს მხარი დაუჭირა საკუთარი ევროპული თავდაცვითი ძალების შექმნის იდეას და ამასთანავე, კატეგორიულად წინააღმდეგი იყო ნატოს საპირისპიროდ ახალი ევროპული სტრუქტურების შექმნისა და ევროპაში ალიანსის პოზიციების დაქვეითების.

ევროპის თავდაცვითი სტრუქტურების შექმნა დამოკიდებულია არა მარტო ევროკავშირის წევრი ქვეყნების პოლიტიკურ სურვილებზე, არამედ ევროკავშირის სამხედრო პოლიტიკურ რეალურ პოტენციალზე.<sup>85</sup>

ევროკავშირის საზღვრებთან სამხედრო ოპერაციების წარმოება მას სერიოზული დილემის წინაშე აყენებს. ან უნდა დაემორჩილოს ნატოს მცდელობებს ცალმხრივად, გაეროს

---

<sup>85</sup> Европейская интеграция: современное состояние и перспективы / Под. ред. Д.В. Пан

უშიშროების სანქციის გარეშე გამოიყენოს ძალა, ან შეიმუშავოს მისი საკუთარი, დამოუკიდებელი პოლიტიკური კურსი, რაც თავის მხრივ გააძლიერებს წინააღმდეგობებს ტრანსატლანტიკურ კავშირში. ასე რომ მოცემული დილემა გადანყდება ევროკავშირის გეოპოლიტიკური ინტერესების სასარგებლოდ, რომელშიც ნატო თამაშობს მისი შემადგენელი ნაწილის როლს.<sup>86</sup>

ევროკავშირის ახალი პოლიტიკა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში ვითარდება ნატოს რესურსების მხარდაჭერით. 1999 წლის დეკემბერში ჰელსინკში აღიარეს ნატოს კონსულტაციების აუცილებლობა. 1999 წლის აპრილში ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ნატოს მიერ ევროკავშირის მხარდაჭერის შესახებ. ხოლო 2002 წლის 20 სექტემბერს პირველად ჩატარდა გაერთიანებული თათბირი ჩრდილო ატლანტიკურ საბჭოსა და Copsi-ს შორის (ეს არის პოლიტიკის და უსაფრთხოების დროებითი კომიტეტი, ორგანო, რომელიც პასუხს აგებს ევროკავშირის პოლიტიკის განვითარებაზე უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში). მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მუშა ჯგუფების შექმნაზე, რომლებიც იმუშავებდნენ შემდეგ საკითხებზე:

1. ევროკავშირისა და ნატოს ოფიციალური დოკუმენტების ტექსტის შეთანხმებაზე, რომლის მიხედვითაც მოხდებოდა ინფორმაციის გაცვლა და ევროკავშირის წარმომადგენელთა დაშვება ნატოს სტრუქტურებში.

2. ძირითადი ამოცანების განსაზღვრა ევროპის კონტინენტისათვის.

---

<sup>86</sup>Фоминых Ф. И., РАСШИРЕНИЕ ЕВРОПЕЙСКОГО СОЮЗА НА ВОСТОК: СТРАТЕГИЯ, ПРОБЛЕМЫ, ПОСЛЕДСТВИЯ ДЛЯ РОССИИ, АВТОРЕФЕРАТ, ДИССЕРТАЦИИ НА СОИСКАНИЕ УЧЕНОЙ СТЕПЕНИ, КАНДИДАТА ПОЛИТИЧЕСКИХ НАУК, Москва – 2008



3. ევროკავშირის შესაბამისი სტრუქტურების დაშვების ორგანიზება ნატოს სამხედრო რესურსებთან.

4. ევროკავშირისა და ნატოს შორის მუდმივი ურთიერთობისათვის მუდმივმოქმედი ორგანოების შექმნა.

ნათელია, რომ ევროპელები მიზნად ისახავენ ნატოსთან თანამშრომლობას და აქტიურს ხდიან თავიანთ მოქმედებებს უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში.

უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში ევროპოლიტიკის მიმდინარე განმტკიცება ნაკლებად თუ შეუწყობს ხელს არსებული მრავალპოლარულობის ფორმირებას. ევროკავშირისა და ნატოს ურთიერთკავშირის გათვალისწინებით, ნატოსა და ევროკავშირის დაახლოების ტენდენციის არსებობამ შეიძლება გამოიწვიოს რუსეთის აღშფოთება.

დასავლეთის ფუნქციონალური ინსტიტუტებიდან, რომლებმაც საგრძნობლად გაამძაფრეს ხმელთაშუაზღვისპირეთის აქტივობა 90-იან წლებში (21-ე ს.) ევროკავშირთან ერთად შესამჩნევია ნატოც. ნატოს ინტერესებში დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ჩაბმის პრობლემა განიხილებოდა ჯერ ჩრდილოატლანტიკურ ასამბლეის დონეზე და შემდეგ კი იქცა ხელმძღვანელ ორგანოებში სამხედრო პოლიტიკური კავშირის განხილვის საგნად.

ნატოსათვის ხმელთაშუაზღვისპირეთის მნიშვნელობის შესახებ საკითხები განიხილებოდა ათენში 1993 წელს. ამ მოსამზადებელი სამუშაოს შედეგები იყო ნატოს გადაწყვეტილება ხმელთაშუაზღვისპირეთის საკითხების წინაპლანზე წამოწევის ინიციატივით, რომელიც ნიშნავდა ჩანაფიქრს, ნატოს გადაედგა ახალი ნაბიჯები რეგიონში წინსვლისათვის. ეს ინიციატივა ძირითადად ვრცელდებოდა ხმელთაშუაზღვისპირეთის 5 ქვეყანაზე – ეგვიპტე, ისრაელი, მავრიტანია, მოროკო და ტუნისი, რომლებთანაც ნატომ გადაწყვიტა დიალოგის გამართვა. ასეთი დიალოგი დაიწყო ნატოს გენე-

რალურ მდივანთან და შესაბამისი ქვეყნების ელჩებთან 1995 წლის თებერვალში. მისი მსვლელობის დროს წინა პლანზე წამოწეულ იქნა რიგი წინადადებები, ზოგიერთ მათგანს მიეცა საჯაროობა. იტალიამ წამოაყენა იდეა განევითარებინათ პროგრამა „ხმელთაშუაზღვისპირეთის პარტნიორობის“ შესახებ ანალოგიურად პროგრამისა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“. იტალიის თავდაცვის მინისტრი ამ ყველაფრის არგუმენტირებას ახდენდა იმით, რომ ხმელთაშუაზღვისპირეთის სახელმწიფოები უფრო საჭიროებენ ასეთივე პროგრამას, ვიდრე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები.

ნატოს ქვეყნებს აქვს ძირითადი პასუხისმგებლობა იმაზე, რომ 20–ე საუკუნის 90–იან წლებში ხმელთაშუაზღვისპირეთი არის რეგიონი, რომელიც გადატვირთულია სხვადასხვა სახის შეიარაღებით. ნატოს წევრი ქვეყნები (ხმელთაშუაზღვისპირეთიდან) კვლავაც განაგრძობენ შეიარაღების შევსებას. მიუხედავად იმისა, რომ მშვიდობისმოყვარე საზოგადოება განაგრძობდა ბრძოლას გამოეცხადებინათ ხმელთაშუაზღვისპირეთი არაბირთვულ ზონად, ბირთვული იარაღი დღემდე არსებობს იქ. ნატოს დღევანდელ საქმიანობას თუ დავაკვირდებით, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ნატოს არეალი იზრდება.

ნატოს სამხედრო–პოლიტიკური აქტივობის გაზრდამ და ასევე, დასავლეთ ევროპული კავშირის აქტივობამ მოახდინა დიდი გავლენა მთელ რიგ ქვეყნებზე, ააფორიაქა ზოგიერთები – განსაკურებით კი, რუსეთი.

არსებობს ძალიან ბევრი ხელშეკრულება ხმელთაშუაზღვისპირეთის შესახებ, მაგრამ ამ ხელშეკრულებების რეალიზაცია მდორედ მიმდინარეობს, რაც გამოიწვია რიგმა ფაქტორებმა და მათ შორის მთავარია საერთაშორისო კონიუქტურა.

რუსეთი მხარს უჭერდა ისეთი თათბირის ჩატარებას, რომელიც წარმატების შემთხვევაში რეგიონის ისტორიაში გახდებოდა გარდამტეხი, მას ექნებოდა ზემოქმედების უნარი სამომავლოდ. ასეთი თათბირის ჩატარების შესახებ წინადადება შეტანილ იქნა 1991 წელს საფრანგეთის, იტალიის, პორტუგალიის და ესპანეთის ერთობლივი განცხადების საფუძველზე, რომელსაც მხარი დაუჭირეს მოკავშირეებმა ნატოსა და ევროკავშირის მხრიდან. ამასთანავე გათვალისწინებული იყო მასში მონაწილეობა მიელო სსრკ-ს. მაგრამ მისი დაშლის შემდეგ თათბირის ჩატარების ინიციატორებმა აღარ ჩათვალეს საჭიროდ რუსეთის მონაწილეობის აუცილებლობა და მონაწილეობის შესახებ წინადადებაზე უარი უთხრეს. მაგრამ ასეთი შეკრების ჩატარების ინტერესი კვლავაც არსებობს.

უკვე ჩატარებულ კონფერენციებზე მილანში 1992 წელს და ვალეტეში 1995 წელს – შეიმუშავეს ისეთი კონცეფცია, რომ თათბირის ჩატარების შემთხვევაში უსაფრთხოებისა და ხმელთაშუაზღვისპირეთში თანამშრომლობის შესახებ ასოცირებულ მონაწილეთა „ხარისხით“ მონაწილეობის მიღება შეუძლიათ რუსეთს, დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ს.

1999 წლის 11 დეკემბერს გამართულმა ჰელსინკის ევროპული საბჭოს შეხვედრამ ასევე დასახა შემდგომი ნაბიჯები ევროპული ინდივიდუალობის შექმნის საქმეში, რაც დაკავშირებული იყო უსაფრთხოებასა და თავდაცვასთან. პრინციპი, რომელიც გულისხმობს ევროკავშირის მითითების საფუძველზე სამხედრო ოპერაციების დაწყებისა და წარმართვის ავტონომიურ შესაძლებლობას, მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია ევროპის პოლიტიკური როლის განმტკიცების საქმეში. 1999 წლის 24 აპრილს ვაშინგტონში გამართული შეხვედრა, რომელმაც თავი მოუყარა ნატო-ს ქვეყნების მთავრო-

ბათა ხელმძღვანელებს, მიესალმა „ამსტერდამის ხელშეკრულების ახალ ძალისხმევას, როელიც მიმართული იყო ევროპის საერთო პოლიტიკის გაძლიერებისკენ უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებში.“ იქვე ხაზგასმით იქნა აღნიშნული, რომ „ევროპის უფრო გაზრდილი როლი დიდ წვლილს შეიტანს ჩვენი თანამშრომლობის განვითარების საქმეში, რაც ასე ძლიერ გვჭირდება XXI საუკუნეში. თანამშრომლობა კი, თავის მხრივ, წარმოადგენს კოლექტიური თავდაცვის საფუძველს ნევრი ქვეყნებისათვის.“<sup>87</sup>

ჰელსინკის ევროპულმა საბჭომ, შესაბამისად, გამოიტანა დასკვნები ევროკავშირის პოლიტიკურ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, აიღოს ავტონომიური როლი ევროპის მიერ ალიანსის საზღვრებში განხორციელებულ მოქმედებებში. საბჭოზე გადაწყდა, რომ „ნევრ ქვეყნებს, რომლებიც მოხალისეობის პრინციპით თანამშრომლობდნენ ევროკავშირის მიერ წარმოებულ ოპერაციებში, 2003 წლისათვის უნდა შეეძლოთ სამხედრო ძალების (დაახლოებით 50 000 - 60 000 ადამიანის) გაშლა 60 დღეში და მათი შენახვა, სულ მცირე, ერთი წლის განმავლობაში.“ ამ ძალებს ერთობლივად უნდა შეეძლოთ „ჰუმანიტარული და სავაჭურადაც, მშვიდობის დაცვის და საბრძოლო მისიების შესრულება კრიზისის მართვის და მშვიდობის აღდგენის მიზნით,“ როგორც ეს გათვალისწინებულია ამსტერდამის ხელშეკრულების საფუძველზე შესწორებულ ევროკავშირის შექმნის შესახებ ხელშეკრულების მე-17 მუხლში. პოლიტიკური, უსაფრთხოებისა და სამხედრო კომიტეტებისა და საერთო შტაბბინის შექმნა ევროკავშირის მისცემს სამოქმედო ინსტრუმენტებს, რომლებიც აუცილებელია ამგვარი მისიის განსახორციელებლად.

---

<sup>87</sup> ევროკავშირი და მსოფლიო, თბ., 2002

## თავი III

### ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი

1992 წლის დეკემბერში ევროკავშირის შექმნის შესახებ მასტრიხტის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგად, ევროპის სახელმწიფოთა მეთაურები ასევე შეთანხმდნენ თანდათანობით განევითარებინათ ერთიანი საგარეო პოლიტიკა. მანამდე ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინაცია ხორციელდებოდა 1970 წელს ევროპოლიტიკის თანამშრომლობის შესახებ შექმნილი მოხსენების საფუძველზე. ერთიანი ევროპული აქტის საფუძველზე ის გაფართოვდა და სრულყოფილ იქნა. ევროპოლიტიკური თანამშრომლობის მიზანია სახელმწიფოთა შორის ურთიერთგაგების გაუმჯობესება. სახელმწიფოები ხშირად მიმართავდნენ ცალმხრივ მოქმედებებს და არ ითვალისწინებდნენ საერთო ევროპულ ინტერესებს. საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოების პოლიტიკა ყოველთვის წარმოადგენდნენ იმ თემებს, რომლებშიც წევრი სახელმწიფოები იცავდნენ თავიანთ სუვერენიტეტს.

#### 1. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მიმართულება

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა არის ღონისძიებათა სისტემა, რომელსაც იგი ატარებს იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებიც არ შედიან მის შემადგენლობაში.

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა ითვალისწინებს:

1. ადგენს საერთო საგარეო პოლიტიკის პრინციპებსა და ორიენტირებს, რომელსაც უნდა დაეყრდნონ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები.

2. აყალიბებს საერთო სტრატეგიებს – საპროგრამო დოკუმენტებს, რომლებშიც ფიქსირდება კავშირის პრიორიტეტული მიმართულება ცალკეულ ქვეყნებთან და გეოგრაფიულ რეგიონებთან მიმართებაში.

3. შეიმუშავებს საერთო პოზიციებს, რომლებიც განსაზღვრავენ კავშირის მიდგომას საერთო საგარეო პოლიტიკის პრობლემებთან მიმართებაში.

4. ამტკიცებს საერთო აქციებს, რომელთა საფუძველზეც სრულდება ოპერატიული მოქმედებები საერთაშორისო არენაზე.

5. გამოსცემს გადაწყვეტილებებს, მათ შორის საორგანიზაციო საკითხების შესახებ.

6. შეუძლია დადოს ხელშეკრულებები უცხო ქვეყნებთან.

საერთო საგარეო პოლიტიკის განხორციელებისას ევროკავშირის ოფიციალურ წარმომადგენლად ითვლება წევრი ქვეყანა, რომელიც თავმჯდომარეობს კავშირს მიმდინარე ეტაპზე. მისი სახელით გამოდის იმ ქვეყნის ხელმძღვანელი და საგარეო საქმეთა მინისტრი.

1999 წელს ევროკავშირს გააჩნდა მუდმივი თავმჯდომარის თანამდებობა. ეს თანამდებობა შეთავსებული იყო კავშირის გენერალური მდივნის თანამდებობასთან.

საერთაშორისო შეხვედრებზე ევროკავშირი წარმოდგენილია ე.წ. სამეულის სახით, ესაა კავშირის თავმჯდომარე, გენერალური მდივანი და ევროკომისიის თავმჯდომარე.

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის საგანს პირველ რიგში წარმოადგენს მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების საკითხები პლანეტაზე. უცხო ქვეყნებთან სოცია-

ლურ ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები შედის ევროგაერთიანების კომპეტენციებში, რომელიც გათვალისწინებულია ევროკავშირის დაარსების შესახებ 1957 წლის ხელშეკრულებით.

ევროკავშირი საერთო საგარეო პოლიტიკის ჩარჩოებში:

ადგენს პრინციპებსა და საერთო ორიენტირებს, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს ყველა წევრმა სახელმწიფომ და კავშირის ინსტიტუტებმა.

ღებულობენ პროგრამული დოკუმენტების საერთო სტრატეგიას, რომლებშიც ფიქსირდება კავშირის პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებაში ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების მიმართ.

შეიმუშავენ საერთო პოზიციებს, რომლებიც განსაზღვრავენ კავშირის კონკრეტულ შიდა პოლიტიკურ პრობლემებს.

აფუძნებს საერთო აქციებს, რომელთა საფუძველზეც სრულდება საერთაშორისო არენაზე ოპერატიული მოქმედებები.

გამოსცემს გადაწყვეტილებებს, მათ შორის საორგანიზაციო საკითხების შესახებ. მაგალითად, გადაწყვეტილება „ევროკავშირის სამხედრო კომიტეტის“ დაფუძნების შესახებ.

შეუძლია დადოს საერთაშორისო შეთანხმებები სხვა სახელმწიფოებთან.

1999 წლიდან ევროკავშირში არსებობს თანამდებობა – მუდმივი წარმომადგენელი საგარეო პოლიტიკის საკითხებში. ეს თანამდებობა შეთანხმებულია კავშირის გენერალური მდივნის პოსტთან. ევროკავშირის საბჭოს გენერალური მდივანი ეს არის უმაღლესი წარმომადგენელი საერთო საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში.

## 2. ევროკავშირი და რუსეთი

რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობების განხილვას და შეფასებას სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ადგილი უკავია. ეს განპირობებულია მათ შორის როგორც სტრატეგიული თანამშრომლობის, ასევე სტარტეგიული წინააღმდეგობების გამო. ერთის მხრივ, რუსეთი დღეს არის საერთაშორისო პოლიტიკის ინსტიტუციონალური სუბიექტი, რომელმაც 2007 წლის დეკემბერში ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების მიერ ხელმოწერილი ლისაბონის ახალი საბაზო ხელშეკრულებით განამტკიცა მისი კონსტიტუციური საფუძვლები. მეორეს მხრივ, კრიტიკულ საერთაშორისო სიტუაციებში ევროკავშირი ცდილობს აშშ-თან მიმართებით წინდახედულად იმოქმედოს.

ევროკავშირი და რუსეთის ურთიერთობები ფართოდ არის განხილული თანამედროვე რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში ავტორების - ს. აფონცევის, მ. ბაიკოვის, ტ. ბორდაჩევის, ვ. გუტნიკის, ა. ლოგვინცევის, ა. მოშეს, ვ. პანკოვის, ტ. რომანოვის, ა. რადიგინის, ს. ჩებანოვის, ი. შიშკოვის მიერ.<sup>88</sup>

---

<sup>88</sup>БордачевТ., Мошес А. Конец европеизации? Россия в глобальной политике. М.2004.Т.2.№2.Март-апрель; Логвинец А.И. Между Россией и Европейским союзом либо в России или же в Европейском союзе: будущее Беларуси в контексте расширения Европейского союза. В кн. 50-летие европейских сообществ и Россия: прошлое, настоящее, будущее. Изд-во С.-Петербургского университета; Паньков В. Общеввропейское экономическое пространство: возможности и перспективы //Мировая экономика и международные отношения. №3.2003; Чебанов С.Восточноевропейский Давос-2000.//Мировая экономика и международные отношения. №1.2001; Байков М. Актуальные проблемы экономических отношений Россия-ЕС. Мировая экономика и международные отношения. №6.2007; Шишков Ю.В. Евросоюз-главный экономический партнер России. В кн. Россия и Европа: отношения на рубеже веков. М.2001; Гутник В. От партнерства к ассоциации? ProetContra. Европейский союз в российской политике. Зима.2003; Афонцев С. Россия и



ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაში რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ეს ურთიერთობები ორმხვრივი ინტერესითაა განპირობებული. ევროკავშირი მნიშვნელოვან როლს თამაშობს რუსეთის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობებში, თავის მხრივ რუსეთის ენერგომატარებლებს დიდი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირის ქვეყნების ენერგეტიკულ უზრუნველყოფაში. თუმცა ევროკავშირის და რუსეთის ფედერაციის ურთიერთობები ხასიათდება წინააღმდეგობებითაც, როგორც პოლიტიკურ ისე ეკონომიკურ სფეროში. ევროკავშირს სურს რუსეთს „ასწავლოს სტრატეგიული თანამშრომლობის“ წესები და ნორმები. თუმცა საკუთრივ რუსეთის საგარეო პოლიტიკა ევროპის მიმართულებით არის ის რომ მას „არ გააჩნია საერთოევროპულ კონტექსტში საკუთარი ადგილის შესახებ სტრატეგიული ხედვა“.<sup>89</sup>

ევროკავშირი ატარებს საკუთარი ინტერესების შესაბამის ერთიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას. ამ კუთხით გადადგმული ნაბიჯები და მისი მიმდინარე და მოსალოდნელი გაფართოება აღმოსავლეთის მიმართულებით გახდა კონტინენტზე ახალი სტრატეგიული რეალობის შექმნის საფუძველი. მისი პრინციპული თავისებურება მდგომარეობს დიდი ევროპის უშუალო მეზობლობაში იმ ქვეყნებ-

---

«новый ЕС» ProetContra. Европейский союз в российской политике. Зима.2003; Романова Т. Общее европейское экономическое пространство: стратегия участия России. ProetContra. Том 8. №1; Радыгин А. Нормы корпоративного управления в России и ЕС: перспективы унификации // Мировая экономика и международные отношения. №4. 2004; Каныгин П. Энергетическая безопасность Европы и интересы России // Мировая экономика и международные отношения. №5. 2007.

<sup>89</sup> Отношения России и Европейского союза: современная ситуация и перспективы. Доклад подготовлен на основе ситуационного анализа под руководством С.А. КАРАГАНОВА, ДОКЛАД (КРАТКОЕ ИЗЛОЖЕНИЕ), ВЫВОДЫ И РЕКОМЕНДАЦИИ, МОСКВА, 2005 г. გვ. 4. იხ. ბმული [http://www.brussels-bc.com/uploader/news/ru/50\\_5.pdf](http://www.brussels-bc.com/uploader/news/ru/50_5.pdf)

თან, რომლებიც უახლოესი ისტორიული პერსპექტივის მანძილზეც კი ვერ გახდებიან ევროკავშირის კანდიდატები. მათ შორის თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით და პოტენცი- ალით არის რუსეთი. ამ უკანასკნელისათვის კი ევროკავში- რის გაფართოება აღმოსავლეთით და მისი „მილიტარიზა- ცია“ არის ახალი მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური ფაქტორი. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია იბადება კით- ხვა თუ რა პერსპექტივა აქვს ევროკავშირ-რუსეთის სამო- მავლო ურთიერთობებს ევროკავშირ-აშშ-ს, ევროკავშირ-ნა- ტოს, ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრხთოების პოლიტიკის განხორციელებისა და აღმოსავლეთით მისი გა- ფართოების ქრილში?

რუსეთისათვის აქტუალურს წარმოადგენდა ის საკით- ხი, თუ როგორი იქნება მისი ახალი მეზობელი დასავლეთით და ურთიერთობის როგორი მოდელი სურს რომ მან წარმო- ადგინოს მისთვის. მოსკოვს ანუხებს აზრი იმის შესახებაც, რომ ასეთი ევროპული იდენტიურობა ხომ არ გამოიწვევს კონტინენტის ისეთ ფაქტობრივ გაყოფას, როცა რუსეთი, უკრაინა და ბელორუსია დარჩებიან დიდი ევროპის საზ- ღვრებს გარეთ, მისგან გამომდინარე დამოუკიდებელ პრო- ცესებისაგან.

ევროკავშირს რუსეთის მიმართ ინტერესი გააჩნია და იგი მიისწრაფვის ნათლად გამოკვეთოს თავისი დამოკიდე- ბულება აღნიშნული არსებული პრობლემების ღიად გადან- ყვეტის შესახებ.

ევროკავშირის ძალების საქმიანობის გეოგრაფიული სფერო ასევე წარმოშობს ბევრ კითხვას. ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ფაქტიურად ომების სერიის დამთავრე- ბის შემდეგ თითქმის არ არსებობს პოტენციური კერები მწვავე შეიარაღებული კონფლიქტების გაჩაღების. ახლა უკ- ვე არასტაბილურობის ზონა გავრცელდა ევრაზიის კონტი-

ნენტის აღმოსავლეთით, დსთ-ს სივრცეში, სადაც ახლო მომავალში საექვოა მონანილეობა მიიღოს დასავლეთმა, როგორც მშვიდობისმყოფელმა მხარემ და ეს ნაკლებმოსალოდნელია მაშინაც კი, თუ მოხდება აშშ-ის მონანილეობა მასში. ეს საკითხიც რუსეთის ინტერესების სფეროშია მოქცეული და ამ კუთხითაც იკვეთება რუსეთ-ევროკავშირის ინტერესთა კონფლიქტი.

აღმოსავლეთით ევროკავშირის გაფართოების პროცესი და ევროპული თავდაცვის პოლიტიკის ფორმირება ფაქტიურად ხდება პარალელურად. თვით კავშირის გაფართოების პროცესი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც საერთო საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ასპექტი. ასე რომ, ევროკავშირი გაფართოების პოლიტიკით პრაქტიკულად ახდენს საერთო საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების პოლიტიკის რეალიზებას. თუმცა, ევროკავშირის გაფართოებამ შეიძლება შექმნას გარკვეული რისკი ახლად ჩამოყალიბებული საერთო საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების პოლიტიკის საქმეში რუსეთთან მიმართებით.

ევროკავშირ-რუსეთის ურთიერთობებში ასევე გარკვეული ადგილი დაიჭირა ევროპის ერთიანი თავდაცვის სისტემის ჩამოყალიბების საკითხმაც. ოფიციალური რუსეთის პოზიცია გამოიხატება იმაში, რომ თავდაცვის მსგავსი გაფართოება და ჩამოყალიბება არის ევროკავშირის შიდა საქმე და იგი უარყოფითად არ უნდა მოქმედებდეს რუსეთზე. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რაიმე ნეგატიური შედეგები, რუსეთმა და ევროკავშირმა აქტიურად უნდა გამოიყენონ თანამშრომლობის აქტიური საშუალებები, როგორცაა პარტნიორობის საბჭო და რუსეთის თანამშრომლობა – ევროკავშირთან კონსულტაციის ორმხრივი მექანიზმი მოსკოვსა და კანდიდატ ქვეყნებს შორის.

გარდა ამისა, არსებობს პრობლემა რუსეთის ევროპაში თვითდამკვიდრების შესახებ. განვითარებული ევროპის კოლექტიური თავდაცვა შეიძლება გახდეს რუსეთისათვის პერსპექტიული პარტნიორი. ევროპა არ იწვევს რუსეთის სამხედროების და პოლიტიკოსების გალიზიანებას ისე, როგორც ეს ნატოსთან მიმართებით არის. ევროკავშირთან მიმართებით რუსეთი მიდრეკილია პოზიტიური თანამშრომლობისათვის.

ევროკავშირთან მიმართებით რუსეთის სამხედრო უსაფრთხოების პრობლემების სიმწვავე განისაზღვრება წარმოქმნილი საშიშროების არსებობითა და ხასიათით. მათ შორისაა – ნატოს გაფართოება აღმოსავლეთით, ტერორიზმის გავრცელება და აქტივიზაცია კავკასიასადა ჩრდილო აზიაში. სამხედრო უსაფრთხოების მთელი რიგი პრობლემები უნდა გადაწყდეს ევროკავშირთან შეთანხმებით: პირველ რიგში, ტერორიზმთან ბრძოლა, სამშვიდობო მოქმედებების ეფექტურობის ამაღლება კოსოვოში და სხვა.

აშშ-ს ევროპასთან აკავშირებს მჭიდრო თანამშრომლობის დიდი ხნის ისტორია ნატოს ბლოკში. ეს არც არის გასაკვირი. ეხლა კი თანამედროვე ევროპული უსაფრთხოების სისტემა ემყარება ევროატლანტიკურ პარტნიორობას. დაანესა რა ევროკავშირმა თავისი სამხედრო პოლიტიკური ზღვარი, აშშ-ის წინაშე დააყენა მთელი რიგი რთული საკითხები: საქმე ეხება აშშ-ს შერწყმას და მის ზემოქმედებას ევროპულ საქმეებზე. რაც ასევე ახდენს გავლენას რუსეთ-ევროკავშირის მოქმედებებზე.

სამხედრო-პოლიტიკურმა მოქმედებებმა ბალკანეთში აჩვენეს, რომ ევროკავშირს კვლავინდებურად არ ძალუძს უზრუნველყოს ევროპის უსაფრთხოება დამოუკიდებლად და მისთვის აშშ-ის დახმარება რიგ შემთხვევებში აუცილებელიცაა. ცალკე პრობლემაა – ამერიკელების დამოკიდებულება

ევროპულ თავდაცვით ინიციატივებზე. მაშინ, როცა ამერიკის დემოკრატიული ადმინისტრაცია ლიბერალურად ეკიდება ნატოს მოკავშირეების სამხედრო-პოლიტიკურ ინიციატივებს, ძნელია გავითვალისწინოთ, რომ აშშ დაუშვებს რეალურად გადასცეს თავისი საშუალების მართვა ევროპელ ოფიცრებს.

ნატოსათვის ევროპის თავდაცვის იდენტიურობის პრობლემასთან ერთად პრობლემას წარმოადგენს რუსეთთან ურთიერთკავშირი. ნატოს თვალსაზრისით ბლოკს გააჩნია რუსეთთან საკმარისი ინსტიტუციური და სამართლებრივი ბაზა თანამშრომლობის გაფართოებისათვის.

ამისათვის საფუძველს იძლევა რუსეთის მონაწილეობა პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის“. ასევე აღსანიშნავი, რომ რუსეთს არ გააჩნია სტრატეგია ალიანსთან დაკავშირებით. ასეთი ნაკლი კი სტრატეგიაში არ აძლევს მოსკოვს საშუალებას სწორად ჩამოაყალიბოს პრიორიტეტების სისტემა პოლიტიკაში. რუსი ექსპერტების აზრით კი ნატოს ბლოკი თვითონ არ იძლევა საშუალებას მოაწესრიგონ ურთიერთობა მოსკოვთან.

ეკონომიკური ურთიერთობები არის ის რაც ევროკავშირს და რუსეთს „აიძულებს“ ურთიერთანამშრომლობის გაღრმავებაზე იფიქრონ. თანამედროვე ეტაპზე, რუსეთის საგარეო ვაჭრობის 48,6% მოდის ევროკავშირზე. ამავე დროს რუსეთის ექსპორტის დიდი ნაწილი მოდის ბუნებრივ ენერგორესურსებზე და მათი პირველადი დამუშავების პროდუქტებზე. თვით ევროკავშირში რუსეთის წილი მოდის 7,6% ერთობლივ იმპორტზე და 4,4% ერთობლივ ექსპორტზე. მთლიანობაში რუსეთი იკავებს მეხუთე ადგილს ევროკავში-

რის სავაჭრო პრტნიორებს შორის აშშ, ჩინეთის, შვეიცარიის და იაპონიის შემდეგ.<sup>90</sup>

ამჟამად ევროკავშირის ბაზარზე რუსეთის ექსპორტის სტრუქტურა სრულად გამოხატავს რუსული პროდუქციის რეალურ კონკურენტუნარიანობას. უფრო მეტიც, რუსული ნავთობის და გაზის ექსპორტსევროკავშირის ქვეყნებში აქვს ტრადიციული ხასიათი და იგი რუსეთისთვის ქმნის თავისებურ „უსაფრთხოების ბალიშს“ გაუთვლელი რთული პოლიტიკური სიტუაციების სანინაალმდეგოდ<sup>91</sup>.

ევროპის ახალი არქიტექტურა მხოლოდ ევროატლანტიკურ საზოგადოების საფუძველზე რუსეთის ფედერაციის გარეშე შეუძლებელია განხორციელდეს სტაბილურად. ამასთან დაკავშირებით არ უნდა დაგვავინყდეს ის რომ ევროკავშირში ახალი ფორმატით ევროცენტრიზმის ტენდენცია შენარჩუნებულია და ხშირად იგი პრეველაირებას ახდენს ცალმხრივ ტრანსატლანტიკურ ორიენტაციაზე.

ურთიერთობებში ცალკეული საკითხები დამოკიდებულია მესამე ქვეყნებთან რუსეთისა და ევროკავშირის ურთიერთკავშირის პერსპექტივებზე.

### **3. ევროკავშირის ხმელთაშუაზღვისპირეთის პოლიტიკა**

თავიდანვე ევროპულ ეკონომიური გაერთიანების და შემდგომში ევროკავშირის დამაარსებლები თვლიდნენ, რომ ინტეგრაციის საქმიანობაში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებისადმი. პირველ

---

<sup>90</sup> Отношения России и Европейского союза..., გვ. 10.

<sup>91</sup> იქვე, გვ. 11.

რიგში გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში შედის რიგი სამხრეთ ევროპის ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნები და მეორეც, ევროპისათვის ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონი მიმზიდველი იყო თავისი გრანდიოზული ეკონომიური პოტენციალით. შედეგად ევროკავშირის კურსმა ხმელთაშუაზღვისპირეთთან მიმართებაში განვითარების რამდენიმე ეტაპი განვლო და, საბოლოოდ, 1992 წელს მიიღო „ახალი ხმელთაშუაზღვისპირეთის პოლიტიკის“ სახელწოდება.

ევროკავშირის ურთიერთობების განვითარებას სამხრეთხმელთაშუაზღვის ქვეყნებთან დიდი ხნის ისტორია აქვს. ევროკავშირის პარტნიორი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება მაროკო, ალჟირი, ტუნისი, ლიბია, სირია, ისრაელი, თურქეთი, იორდანია, პალესტინის ნაციონალური ავტონომია, ხოლო ევროკავშირში განეწიანებამდე, ასევე კვიპროსი და მალტაც. ლიბიას და მავრიატნიას ჰქონდათ დამკვირვებლის სტატუსი, ხოლო იორდანიას, რომელსაც არ აქვს ხმელთაშუა ზღვაზე გასასვლელი ჩართული იქნა ამ ქვეყნების ჯგუფში, რადგანაც აქვს ისტორიულად ჩამოყალიბებული ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები ევროკავშირთან. გეოგრაფიული სიახლოვემ, სტრატეგიულმა მნიშვნელობამ და ტრადიციულმა კავშირებმა, ასევე რეგიონის ეკონომიკურმა, ენერგეტიკულმა და შრომითმა რსურსებმა, რომელიც ევროპისათვის მნიშვნელოვანია ხელი შეუწყო ორ რეგიონს შორის თანამშრომლობის განვითარებას. ევროკავშირი არის სამხრეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ქვეყნების ძირითადი სავაჭრო პარტნიორი, მათი მსხვილი ინვესტორ და დონორი. ევროკავშირზე მოდის რეგიონის იმპორტისა და ექსპორტის თითქმის 50%, საიდანაც ასევე ხდება ევროპისათვის ნავთობისა და გაზის მიწოდება. ევროკავშირისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების რეგიონში უკვე შეინიშნება მნიშვნელოვანი ეკონომიკური გაცვლა-

გამოცვლა. ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების იმპორტი ევროკავშირიდან ამჟამად 30 მილიარდ ევროზე მეტს შეადგენს (მთელი იმპორტის დაახლოებით 47%), ხოლო ექსპორტის მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია - 63 მილიარდ ევროს (52%) შეადგენს<sup>92</sup>.

90-იანი წლების შუა პერიოდში ხმელთაშუაზღვისპირეთის პოლიტიკა გახდა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება ევროკავშირის საქმიანობაში. ბარსელონის პროცესი, ე.ი. ევროკავშირის წევრი ქვეყნების თანამშრომლობის გაფართოება ე.წ. „მესამე“ ქვეყნების ხარჯზე წარმოადგენს არსებულ ფაქტს, რომელიც გავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაზე. ევროკავშირის მოთხოვნაა, რომელიც თავისი საქმიანობის სპექტრში მოიცავს ხმელთაშუაზღვისპირეთის მიმართულებას, განპირობებულია რიგი როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური ხასიათის მიზეზებით.

ობიექტურ მიზეზებს შეიძლება მივაკუთვნოთ უპირველეს ყოვლისა გეოგრაფიული და მასთან დაკავშირებული ხმელთაშუაზღვისპირეთის გეოპოლიტიკური მდგომარეობა. ამისაგან გამომდინარეობს მისი როლი ევროპის კონტინენტის უსაფრთხოების სფეროში.

ევროკავშირის ხმელთაშუაზღვის პირეთის მიმართულებით დაინტერესება გააქტიურდა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან, როცა ევროპული ზესახელმწიფოები, რომლებიც ადგენენ ინტეგრაციისა და ორგანიზებული დაახლოების გზას, აღმოჩნდნენ თავიანთი კოლონიური იმპერიების დაშლის პირისპირ და ეძებდნენ თავიანთ ყოფილ კოლონიებთან ურთიერთობის ახალ ფორმებს. ეს მკაფიოდ

---

<sup>92</sup> О.Е. Трофимова, Эволюция средиземноморской политики Евросоюза: путь от сотрудничества к интеграции. – М.: ИМЭМО РАН, 2011, с. 4



გამომჟღავნდა რომის ხელშეკრულებაში (1957 წლის 25 მარტი),<sup>93</sup> რომელსაც ხელი მოაწერეს გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, ბელგიამ, საფრანგეთმა, იტალიამ, ლუქსემბურგმა და ნიდერლანდებმა.

ხელშეკრულების დადებასთან ერთად გაერთიანება ითვალისწინებდა ქვეყნების ასოციაციის შექმნას ვაჭრობის გაზრდის სფეროში და ერთიან ურთიერთობას ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის.<sup>94</sup> უნდა აღინიშნოს, რომ საკითხი ასოციაციის შესახებ განხილულ იქნა ხელშეკრულებაში დეტალურად. მასში გამოკვეთილი იყო საჭირო რეჟიმის ხასიათის განსაზღვრა, ისეთ პრობლემებზე მიდგომის, როგორცაა კაპიტალდაბანდების, მოქალაქეობის უფლებებისა და ეკონომიური საქმიანობისა, საბაჟო გადასახადისა, შემდგომი შეთანხმების მომზადების განრიგი და კონკრეტული პირობებისა და პროცედურების, როგორც აუცილებლობის არსებობა გაერთიანებაში მყოფი ქვეყნებისა.

აღსანიშნავია ხელშეკრულების ფორმულირება ლიბიასთან მიმართებაში. დეკლარაციაში „იტალიისა და ლიბიის სამეფოს შორის ეკონომიკური კავშირების“ შესახებ ნაჩვენებია იყო მისწრაფება „მხარდაჭერა ტრადიციული ვაჭრობისათვის სახელმწიფოებს შორის“. ის ხელს შეუწყობდა ლიბიის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. ამასთან ერთად აღინიშნებოდა მზადყოფნა შეეთავაზებინა ლიბიის სამეფოსათვის მოლაპარაკების დაწყება ეკონომიური ასოციაციის კონვენციისათვის.

1969 წლის სექტემბრის რევოლუციის შემდეგ, მონარქიის დამხობის და ხელისუფლებაში მ. კადაფის მოსვლის

---

<sup>93</sup> «Договоры, учреждающие Европейские Сообщества» М., 1994 г. 387

<sup>94</sup> стр. 101

შემდეგ ევროკავშირსა და ლიბიას შორის ურთიერთობა გამძაფრდა და საკითხები დარჩა განუხორციელებელი.

ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვა ტერიტორიებიდან, რომელთა შესახებაც ლაპარაკი იყო რომის ხელშეკრულებაში, მაგრამ საპირისპირო მნიშვნელობით, მოიხსენიებოდა დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოსა და ჩრდილო ირლანდიის „სუვერენული ზონები“. მათზე არ ვრცელდებოდა სუვერენული ხელშეკრულების მდგომარეობა.

რომის ხელშეკრულებაში:

1. ჩამოყალიბებულ იქნა ძირითადი მიზნები და ამოცანები ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონებისათვის.

2. ხმელთაშუაზღვის პირეთის მიმართებაში ჩადებულია მოქმედების პროგრამის საფუძველი.

3. ევროკავშირის ნევრი ქვეყნების აქტიური ზრდის სტიმული ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონებში.

პირველი სავაჭრო ხელშეკრულებები სამხრეთ ხმელთაშუაზღვის პირეთთან ხელმოწერილ იქნა 1969 წელს. მათ მოჰყვა შესაბამისი ხელშეკრულებები მალტასთან 1970 წელს, კვიპროსთან 1972 წელს და 1975 წელს ევრიკაშირმა დადო ხელშეკრულება ისრაელთან ურთიერთობის შესახებ.

20-ე საუკუნის 70-იან წლებში ხდება ხელშეკრულების დადება მაროკოსთან, ალჟირთან, ტუნისთან, ეგვიპტესთან, იორდანიასთან, ლიბანთან და სირიასთან, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიურ და ფინანსურ თანამშრომლობას, რომელსაც საფუძველად უდევს ევროკავშირის რეგიონების გაერთიანების ინტეგრაციის პოლიტიკა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ევროკავშირის ახალი პოლიტიკა რეგიონთან მიმართებით 90-იანი წლების დასაწყისიდან შემუშავდა და მისი გამოხატულება იყო ბარსელონას 1995 წლის კონფერენცია საგარეო საქმეთა მინისტრების

დონეზე, რომელსაც წინ უსწრებდა დიდი შრომატევადი მოსამზადებელი საქმიანობა. კონფერენციის მონაწილეებმა პირველ რიგში ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ის შემოფარგლული იყო ევროკავშირის 15 ქვეყნის წარმომადგენლობის და ხმელთაშუაზღვისპირეთის აუზის 12 ქვეყნის წარმომადგენლისაგან (კვიპროსი, მალტა, თურქეთი, პალესტინა, ისრაელი, იორდანია, სირია, ლიბანი, ეგვიპტე, მაროკო, ტუნისი და ალჟირი), მაგრამ დღის წესრიგი ასევე მოიცავდა სხვა ქვეყნების პრობლემებსაც.

დეკლარაციის ხელისმომწერებმა იკისრეს ვალდებულება, დაეარსებინათ მშვიდობიანი და საერთო კეთილდღეობით გაერთიანებული ტერიტორია და გაეუმჯობესებინათ თავთავიანთ ხალხებს შორის ურთიერთგაგება. ამას მოჰყვა ევროკავშირისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების ახალი „მშვიდობისა და სტაბილურობის ქარტია,“ რომელიც მიზნად ისახავს პოლიტიკური და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული თანამშრომლობის გაღრმავებას ისეთ სფეროებში, როგორც არის ნარკოტიკებით ვაჭრობა, ტერორიზმი, იმიგრაცია, კონფლიქტების თავიდან აცილება და ადამიანის უფლებები<sup>95</sup>.

მავრიტანიას, როგორც ქვეყანას, რომელსაც დიდი დახმარებას უწევდა ევროკავშირი, უფლება მისცეს დასწრებოდა კონფერენციის ყველა სხდომას, მაგრამ დეკლარაციაზე ხელის მოწერის გარეშე. ლიბიას არ მისცეს უფლება მონაწილეობა მიეღო კონფერენციის მსვლელობაში, რადგანაც მას არ გააჩნდა ევროკავშირთან სახელშეკრულებო ურთიერთობა. კონფერენციაზე ასევე არ მიიწვიეს აშშ და რუსეთი.

ასეთი დამოკიდებულება აშშ-ის მიმართ მიუთითებდა ევროკავშირის დამოკიდებულებას ამერიკისადმი, როგორც

---

<sup>95</sup> ევროკავშირი და მსოფლიო, თბ., 2002

ამერიკასა და დასავლეთ ევროპელებს შორის კონკურენტული ბრძოლა. ხოლო რუსეთისადმი დამოკიდებულება მიუთითებდა მის თანდათანობით განდევნას ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონიდან, აშშ-ისაგან განსხვავებით რუსეთი არ ფლობდა ამ რეგიონში სამხედრო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას. ამიტომაც თუკი, ის რაც დაგეგმილი იყო ბარსელონის კონფერენციის ინიციატორების მიერ, მიიღებდა განვითარებას, რუსეთი აღმოჩნდებოდა აუტსაიდერის პოზიციაში და შემდგომისათვის ამას მოჰყვებოდა სერიოზული შედეგები.

იმის დასამტკიცებლად, რომ ბარსელონის კონფერენციას შეეძლო გარკვეული ზემოქმედება მოეხდინა ძალთა შემდგომი ბალანსირების საქმეში, უნდა ვიმსჯელოთ ამ კონფერენციაზე მიღებული დეკლარაციის საფუძველზე. მასში აღნიშნულია ამოცანა ევრო-ხმელთაშუაზღვისპირეთის ასოციაციის შექმნის შესახებ, ხოლო 2010 წლისათვის თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის შესახებ ევროკავშირსა და კონფერენციაში მონაწილე ქვეყნებს შორის.

ევროკავშირის ჰქონდა მისწრაფება არ შემოფარგლულიყო მხოლოდ სახელისუფლებო დონეზე გადანყვეტილებების მიღებით, არამედ ჩაერთო ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნების ფართო საზოგადოება და ჩაეტარებინა ხმელთაშუაზღვისპირეთის წარმომადგენელთა ფორუმი იქვე ბარსელონაში.

1995 წლის ბარსელონის დეკლარაცია „ევრო-ხმელთაშუაზღვისპირეთის პარტნიორობის“ განვითარების შესახებ იყო პირველი დეტალიზირებული და ყოვლისმომცველი ევროკავშირის სტრატეგია ამ რეგიონთან მიმართებით. იგი დაფუძნებული იყო თანამშრომლობის ახალ მექანიზმებსა და ინსტიტუციონალური ბაზის განვითარებაზე. დეკლარაცია გულისხმობდა პოლიტიკურ თანამშრომლობასაც უსაფრთხოების სფეროში ამ არასტაბილურ რეგიონში. ასევე ფი-

ნასურ, ეკონომიკურ, სოციალურ-კულტურული და ჰუმანიტარულ სფეროებში პარტნიორობასაც. თუმცა ევროკავშირის ხმელთაშუაზრვისპირეთის პოლიტიკამ მის ახალ რეგიონალურ ფორმატში ვერ მიიღო პრაქტიკული დინამიკური განვითარება მის ყველა მიმართულებაში. 2004 წლის ევროკავშირის მორიგმა განფართოებამ იგი ახალი სამეზობლო პოლიტიკის წინაშე დააყენა, რომელმაც მოიცვა არა მარტო ხმელთაშუაზღვის მიმართულება, არამედ მოიცვა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიც. სამეზობლო პოლიტიკის ეს ორი განზომილება არა მხოლოდ ავსებენ ერთმანეთს არამედ კონკურენციასაც იწვევს მათ შორის<sup>96</sup>.

„ბარსელონის პროცესი“ - ერთადერთი ფორუმი, რომელზეც ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე სამშვიდობო პროცესისთვის მძიმე პერიოდებშიც კი ხდებოდა მინისტრთა შეხვედრები ყველა 27 პარტნიორის მონაწილეობით - მიზნად ისახავს 2010 წლისათვის ევროკავშირისა და ხმელთაშუაზღვის აუზის ქვეყნების თავისუფალი სავაჭრო ზონის დაარსებას<sup>97</sup>.

2008 წელს ევროკავშირის ხმელთაშუაზღვის პირეთის სტრატეგია გარდაიქმნა ახალ რეგიონალურ ინიციატივად – კავშირი ხმელთაშუაზღვის პირეთისათვის (UfM), რომელშიც შევიდნენ ევროკავშირის ყველა ქვეყანა და სამხრეთ ხმელთაშუაზღვის პირეთის და ახლო აღმოსავლეთის 11 ქვეყანა (ალჟირი, ეგვიპტე, იორდანია, ისრაელი, ლიბია, მავრიტანია, მაროკო, სირია, ტუნისი, თურქეთი, პალესტინის ავტონომია), ასევე ხუთი ევროპული ხმელთაშუაზღვის პირეთის სახელმწიფო, რომლებიც არ შედიან ევროკავშირში (ალ-

---

<sup>96</sup> О.Е. Трофимова, Эволюция средиземноморской политики Евросоюза: путь от сотрудничества к интеграции. – М.: ИМЭМО РАН, 2011, с. 4

<sup>97</sup> ევროკავშირი და მსოფლიო, თბ., 2002

ბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მონაკო, ჩერნიგორია და ხორვატია).

ამრიგად, ევროკავშირის ურთიერთობები რეგიონის ქვეყნებთან რეგულირდება სამი ურთიერთდაკავშირებული ინიციატივით, რომელიც ითვალისწინებს ორმხრივი და მრავალმხრივ მიმართულებებს. ესენია ბარსელონის პროცესი, სამეზობლო პოლიტიკა და კავშირი ხმელთაშუაზღვის პირეთთან, რომლებიც ითვალისწინებს ორი რეგიონის ურთიერთობების თანდათანობით გადასვლას თანამშრომლობიდან ინტეგრაციისკენ.

იმისათვის, რომ დაეხმაროს ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებს თავისუფალი ვაჭრობით ნამოჭრილი პრობლემების გადალახვაში, ევროკავშირის პროგრამა „MEDA” გასცემს ყოველწლიურად დაახლოებით 1 მილიარდ ევროს გრანტების საშუალებით, რასაც ემატება ყოველწლიურად დაახლოებით 1 მილიარდი ევრო ევროპის ინვესტირების ბანკის მიერ გაცემული სესხების სახით<sup>98</sup>.

ევროკავშირმა ასევე სასწრაფოდ მიჰყო ხელი იმ გადამწყვეტილებათა და ხელშეკრულებათა სასწრაფო რეალიზაციას, რომელიც მიღებულ იქნა ბარსელონაში. და რომელი მიმართულებანი იყო განმსაზღვრელი ამ საქმიანობაში? ძირითადი ყურადღება ეთმობოდა უსაფრთხოების საკითხებს, მონაწილე ქვეყნებს შორის დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებას, გაფრთხილებას და ბრძოლას ტერორიზმთან.

ბევრი საკითხი და ღონისძიება იქნა გატარებული ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში. დაფუძნდა ეკონომიკური და სოციალური კომიტეტების მუშა ჯგუფი ევროკავშირის წარმომადგენელი ქვეყნებისაგან. მათ ამოცანას წარმოადგენს უზრუნველყოს ევრო-ხმელთაშუაზღვისპირეთის მონა-

---

<sup>98</sup> ევროკავშირი და მსოფლიო, თბ., 2002

ნილეთა შორის მჭიდრო კონტაქტი, მოამზადოს შესაბამისი შეხვედრები, მოანესრიგოს პრობლემების შესწავლისა და განხილვის საქმე.

ცალკე საკითხი იყო ენერგეტიკის საკითხი. ევროკავშირმა და მონაწილე სახელმწიფოებმა რიგ შეხვედრებზე გაარკვია ერთიანი პოლიტიკის კონტურები, რომელიც გახდა ერთ-ერთი ძირითადი განსახილველი საკითხი ენერგეტიკის განხრით ჩატარებული კონფერენციებისა (ტრიესტრში).

ევროკავშირის კომისიის წინადადებით მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება ევრო-ხმელთაშუაზღვისპირეთის ენერგეტიკის ფორუმის შექმნის შესახებ, რომელსაც უნდა უზრუნველყო ურთიერთთანამშრომლობა და ხელი შეეწყოს მისი განვითარებისათვის 5 წლიანი გეგმის საფუძველზე.

ასეთი თანამშრომლობა განვითარდება ევროკავშირის ენერგეტიკული პარტიის პრინციპებით. ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნები იღებენ ვალდებულებას ჰუმანიტარული გახადონ ნაციონალური კანონმდებლობა.

ევრო-ხმელთაშუაზღვისპირეთის თანამშრომლობა გამოიხატება კონფერენციის მოწვევაში 27 სახელმწიფოს მრეწველობის მინისტრთა მონაწილეობით (ბრიუსელში), რომლებმაც დეკლარაციებში აღნიშნეს მრეწველობის განვითარების მნიშვნელობა.

2010 წლისათვის სავაჭრო ზონის შექმნის სფეროში მოხდა პილოტური პროექტების განხილვა ინვესტიციების მოზიდვის უზრუნველსაყოფად, განავითარონ საჭირო ინფრასტრუქტურა, ჩამოაყალიბონ სამრეწველო რაიონები. საორგანიზაციო ღონისძიებათა აღსრულება და მათი დაფინანსება თავზე აიღო ევროკავშირმა და ევროპულმა საინვესტიციო ბანკმა, რომელმაც ამ მიზნისათვის გამოყო „მესამე ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებისათვის“ ოთხი მილიარდი ევროპული ვალუტა.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თანამშრომლობას ეკოლოგიის სფეროში. ჩატარდა შეხვედრა ხმელთაშუაზღვისპირეთთან ახლომდებარე 17 ქვეყანას შორის, რომელზეც მონაწილეები შეთანხმდნენ ხელი მოეწერათ თანამშრომლობის პროტოკოლზე. ამ საკითხების მოგვარებაში ხელმძღვანელობა ითავა ევროკავშირმა.

მართალია ევრო-ხმელთაშუაზღვისპირეთის თანამშრომლობის სისტემა ჩამოყალიბდა არა საგარეო ბრძოლის გარეშე, მაგრამ იგი გაიშალა ჯერ კიდევ ბარსელონის კონფერენციამდე და უშუალოდ ამ კონფერენციაზე. მისი დასრულების შემდეგ საბერძნეთმა დაიწყო ევროკავშირის მიერ ხმელთაშუაზღვისპირეთის პოლიტიკის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების დაბლოკვა.

თურქეთსა და ევროკავშირის ნევრ საბერძნეთს შორის კონფრონტაციული დამოკიდებულება ეგეოსის ზღვის კუნძულების და კვიპროსის თაობაზე სერიოზულად ართულებენ ევროკავშირის საქმიანობას ხმელთაშუაზღვისპირეთში.

თავის დროზე ევროკავშირის ახალი ხმელთაშუაზღვისპირეთის პოლიტიკა ითვალისწინებდა არა მარტო ევრო-ხმელთაშუაზღვისპირეთის თანამშრომლობას, არამედ ასევე ევროკავშირზე მალტისა და კვიპროსის მიერთებას.

აშკარაა საქმე ეხება ახალი რეგიონალური დაჯგუფებების ფორმალურ დაფუძნებას. მაგრამ, მასზე არის მოსაზრება, როგორც ჩაკეტილი დაჯგუფებაზე. ასეთ ფონზე, ბუნებრივია იმ ქვეყნების შემოფოთებაც, რომლებიც ასეთი შემთხვევების მიმდინარეობისას შეიძლება აღმოჩნდნენ განდევნილნი რეგიონალური ბაზრებიდან და რომლებსაც წაერთმევათ უფლებები უსაფრთხოების პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობისაგან.

თითქმის მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთის საკითხები შევიდა ევროკავშირის სტრუქტურებში. წარმოიქმნა ახალი



ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ევროკავშირისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის პოლიტიკაზე.

ამ დროისათვის ევროკავშირი იქცა დასავლეთ ევროპული სახელმწიფოების ძლიერ გაერთიანებად. მისი ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება საჭიროებს კავშირის სისტემის გაფართოებასა და ურთიერთკავშირს.

მეორეც, შეიქმნა და განვითარდა ინტეგრაციული დაჯგუფებები დასავლეთ ნახევარსფეროში და აზიურ წყნაროკეანულმა რეგიონში. უფრო მეტიც აშშ-მა დაიწყო აქტიურად გვერდის ავლა დასავლეთ ევროპაზე ხმელთაშუაზღვისპირეთის მიმართულებით.

მესამე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხმელთაშუაზღვისპირეთმა ამ დროისათვის მიიღო ისეთი განვითარება, როცა სამხედრო-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პროცესების დესტაბილიზაციამ, შეიძლება საფრთხე შეუქმნას ევროკავშირის შემდგომ განვითარებას.

ევრო-ხმელთაშუაზღვისპირეთის თანამშრომლობა წაანყდა რეალურ სიძნელეებსაც. ეკონომიკურ სფეროში თანამშრომლობის იგი მდგომარეობს იმაში, რომ თანამედროვე დროში ორმხრივი დამოკიდებულება მონაწილეებთან დგას სხვადასხვა დონეზე და ამ დამოკიდებულებების გათანასწორება მიმდინარეობს ძალზე ნელა. წარმომადგენლობითი კონფერენციის დონის მიხედვით მალტა აღმოჩნდა რთულ სიტუაციაში. მალტაში არ ჩავიდნენ დიდი ბრიტანეთის, საბერძნეთის, თურქეთის, პორტუგალიისა და ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრები. ევრო-ხმელთაშუაზღვისპირეთის სისტემების თანამშრომლობის კრიზისი შეიქმნა ასევე ევროკავშირისა და რიგ ჩრდილო-აფრიკულ ქვეყნებთან უთანხმოების გამო. ასევე, ევროკავშირსა და ევრო-ხმელთაშუაზღვისპირეთის სტრატეგიის სუსტ მხარეს წარმოადგენს სოციალური და ჰუმანიტარულ სფეროები.

#### 4. ევროკავშირის პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში

ევროკავშირი უფრო და უფრო აქტიურებს თავის პოლიტიკას პოსტსაბჭოურ სივრცეზე, რომელიც დღეს გადაიქცა მწვავე კონკურენციის ზონად მოსკოვსა და ბრიუსელს შორის. რუსეთის გავლენა მის ირგვლივ მყოფ ქვეყნებზე თანდათან მცირდება, მაგრამ ევროკავშირსაც ჯერ არ შეუძლია თავის გარშემო შემოიკრიბოს პოსტსაბჭოთა ქვეყნები. ეს კი გამოწვეულია იმით, რომ ევროპას არ გააჩნია შეთანხმებული სტრატეგია აღმოსავლეთის მიმართულებით, ასევე პრინციპულად სუსტია ე.წ. ევროპის სამეზობლო პოლიტიკაც. შესაბამისად, მოსკოვმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ევროკავშირის ჩავარდნებზე ამ მიმართულებით, რომ მოახდინოს სწარფი რეაგირება და შეძლოს რუსეთის ნაციონალურ ინტერესების დაცვა, თუმცა რუსული პოლიტიკა ამას ვერ ახერხებს.

ევროკავშირის მიერ აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის პარტნიორი ქვეყნებისთვის დახმარების განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა პროგრამა „ტასისი“. 1991 წელს წამოწყებული პროგრამის ბიუჯეტი 2000-დან 2006 წლამდე პერიოდისთვის 3,138 მილიარდ ევროს შეადგენს. პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა ამ ქვეყნებისთვის „ნოუ-ჰაუს“ უზრუნველყოფა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის და დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრების ხელშესაწყობად<sup>99</sup>.

---

<sup>99</sup> ევროკავშირი და მსოფლიო, თბ., 2002

ევროკავშირის პოლიტიკის გააქტიურება პოსტსაბჭოთა სივრცის მიმართ დაიწყო 2002–2004 წლებში, როცა შეიმუშავეს ევროპული სამეზობლო პოლიტიკა.<sup>100</sup> თუმცა, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი დიალოგს ევროკავშირსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ იმ ეტაპზე ეს მიმართულება ბრიუსელისათვის არ იყო მნიშვნელოვანი. ეს საკითხი უფრო მნიშვნელოვანი გახდა ევროკავშირის გაფართოების შემდეგ, როცა მიიღეს ახალი წევრები.

პოსტსაბჭოთა სივრცე თანამედროვე ეტაპზე მოსკოვსა და ბრიუსელს შორის წარმოადგენს კონკურენციის ზონას. ევროკავშირს არ ძალუძს სერიოზულად გააძლიეროს თავისი გავლენა რეგიონში, რაც პირველ რიგში დამოკიდებულია ევროსამეზობლო პოლიტიკაში გაუთვალისწინებელ შედეგებზე, ასევე ახალი საგარეო პოლიტიკის ინიციატივებზე მაგ., „აღმოსავლეთის სივრცეში“.

ევროკავშირის გაფართოება აღმოსავლეთით მეტყველებს, იმაზე რომ კლასიკური გეოპოლიტიკური ინტერესები გამოდის „ჩრდილიდან“. უკრაინასთან სამოქმედო გეგმა, მუშაობა საქართველოსთან, მოლდავეთთან და ბელორუსთან ურთიერთობები, ასევე ტრანსსასაზღვო თანამშრომლობა დღეს სხვა ქვეყნებთან, ევროკავშირთან მათი ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების პე რეორიენტაცია მეტყველებს ევროკავშირის მისწრაფებაზე გამოიყვანოს ეს ქვეყნები რუსული გავლენიდან.

---

<sup>100</sup> Joint letter on Wider Europe by Commissioner Chris Patten and High Representative Solana. 8 August 2002; Wider Europe-Neighbourhood: A New Framework for Relations with our Eastern and Southern Neighbours. COM (2003) 104 final. Brussels, 11.3.2003; European Neighbourhood Policy. Strategy Paper. COM (2004) 373 final. Brussels, 12.5.2004.

1990–იანი წლებიდან მოყოლებული ვერ ჩამოყალიბდა ასეთი თანამშრომლობის ფორმატი და მიზანი. ასევე არ შედგენილა გრძელვადიანი პოზიტიური პროგრამა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან დამოკიდებულებაში. არ იყო გათვალისწინებული ევროსამეზობლო პოლიტიკის მოქმედების გავრცელება კავკასიაში, ეს მოხდა მხოლოდ საქართველოსთან მიმართებით „ვარდების რევოლუციის შემდეგ“.

ევროკავშირის ქვეყნებს შორის არსებობდა განსხვავებული დამოკიდებულება შეეყვანათ თუ არა თანამეზობლობაში აზერბაიჯანი, არ იყო ერთობლივი დამოკიდებულება „ნარინჯისფერ რევოლუციაზე უკრაინაში“, განხეთქილება იყო აზრთა შორის ბელორუსიასთან დამოკიდებულებაშიც, ის ასევე არ ილტვის იქითკენ, რომ ერთპიროვნულად დაკავდეს კონფლიქტის მონესრიგებით კავკასიაში ან დნესტრისპირეთში, ვინაიდან ურჩევნია იმოქმედოს მშვიდობისმყოფელთა ეგიდით. ამ მხრივ საფრანგეთის, თავმჯდომარე ქვეყნის მოქმედება 2008 წლის პრობლემებზე იყო წესებს გარეთ თამაში. უნდა აღინიშნოს ის, რომ მოხდა რა სამშვიდობო ინიციატივის რეალიზება, ევროკავშირის ლიდერი ქვეყნები უფრო ხშირად შეწუხებულნი არიან ნაციონალური პრესტიჟით, ვიდრე წარმატებით საერთოდ.

კავკასიის რეგიონში ევროკავშირი უფრო ხშირად გამოდის დახმარების მომწოდებლის როლში და არა როგორც ზემოქმედების მომხდენი პოლიტიკური აქტორი. ასე მაგ., 2004 წელს საქართველოს მეგობართა წრეში დასამატებლად შეიქმნა ახალი ჯგუფი საქართველოს მეგობრების სახით, რუმინეთის, ბულგარეთის და ბალტიისპირეთის ქვეყნების შემადგენლობით.

ბევრი უცხოელი ექსპერტის აზრით,<sup>101</sup> 1990–2000 წლებში ევროკავშირს არ გააჩნდა მკვეთრი წარმოდგენა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ურთიერთობის შესახებ. ეს დამოკიდებული იყო უფრო მეტად არა აქტუალურ პრობლემებზე, არამედ იმაზე, რომ არ გააჩნდათ ექსპერტული ცოდნა რეგიონის მდგომარეობის შესახებ.<sup>102</sup> ბრიუსელს ყოველთვის არ ესმის, რომ ევროკავშირთან ურთიერთობა არ წარმოადგენს აუცილებლობას ბევრ პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის.

მხოლოდ და მხოლოდ უკრაინის, მოლდავეთის და საქართველოს პოლიტიკური ელიტაა ორიენტირებული ევროკავშირისაკენ. ისინი ევროკავშირის თანამშრომლობას ღებულობენ პირველ რიგში, როგორც მოსკოვის წინააღმდეგ ქმედებას, და არა როგორც მოდერნიზაციისათვის ბრძოლის საშუალებას.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების შესაძლებლობა ისარგებლონ ევროპული პროგრამებით და ითანამშრომლონ ევროკავშირის სააგენტოებთან რჩება შეზღუდული.<sup>103</sup>

2007 წელს მხოლოდ უკრაინამ შეძლო მოლაპარაკებების დაწყება ევროპოლიტიკის ჩარჩოებში თანამეზობლობისათვის.

სავიზო რეჟიმის გაუქმება ან მისი გამარტივება შრომითი მიგრანტებისათვის კვლავ რჩება მომავლის საქმედ. სავიზო რეჟიმის შემსუბუქების შესახებ წინადადებას ფრთხილი მოპყრობა სჭირდება, რადგანაც თანამედროვე პერიოდში შრომის ბაზარი არ არის ღია მთლიანად ევროკავშირის ახა-

---

<sup>101</sup> Lynch D. The new Eastern Dimension of the enlarged EU // Chaillot Papers № 64. Partners and neighbours: a CFSP for a wider Europe. September, 2003.

<sup>102</sup> The Quandaries of promoting democracy in Central Asia: Experiences and perspectives from Europe and the USA. Centre for OSCE Research in Hamburg. February, 2007.

<sup>103</sup> Andoura S., Timmerman P. Governance of the EU: The reform debate on the European agencies reignited. EPIN Working Paper. №19. October, 2008.

ლი წვერი ქვეყნებისათვის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპიდან. ამ მხრივ ევროკავშირის პრიორიტეტს წარმოადგენს არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა და არა კონტაქტების გამარტივება მეზობელ ქვეყნებთან.<sup>104</sup>

ევროკავშირსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის პოლიტიკური დიალოგის გაფართოება საერთო საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხების შესახებ წარმოადგენს დეკლარაციულ ხასიათს. ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორ ქვეყნებს შეუძლიათ მხოლოდ ფორმალურად გამოხატონ თანხმობა ან უარი ევროკავშირის პოზიციებზე საგარეო პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით.

რაც შეეხება სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებს, 1990 წელს ბრიუსელი აძლევდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს უკეთესი კეთილდღეობის რეჟიმს, მაგრამ თავისთვის იტოვებდა რეგიონიდან მიწოდების მოცულობის შეზღუდვის უფლებას.<sup>105</sup>

ფინანსური დახმარების პროგრამის რეალიზაცია არ არის დაზღვეული პრობლემებისაგან.

„ევროპული მეზობლობისა და პარტნიორობის ინსტრუმენტების“<sup>106</sup> ჩარჩოებში დაარსებულ იქნა განსაკუთრებული ფონდი რეფორმების გასატარებლად პოლიტიკურ ადმინისტრაციულ სფეროში, რომელთა ფუნქციებიც ამა თუ იმ მოცულობით გადადის ახალ პროგრამაში „Comprehensive

---

<sup>104</sup> Parkes R. Mobility partnerships: valuable addition to the ENP repertoire? A checklist for revitalizing ENP. SWP Working Paper 2009/03; Boniface J., Wesseling M. La politique de voisinage face au délicat dilemma de la mobilité. EIPSCOPE 2008/3.

<sup>105</sup> EU foreign ministers discuss Eastern Partnership. RFE/RL. 23 February 2009 [www.rfel.org](http://www.rfel.org)

<sup>106</sup> Программа, обеспечивающая финансирование Европейской политики соседства, функционирует с 2007 г.

institution building”, ღრომელიც შეიქმნა „აღმოსავლური პარტნიორობის“ ეგიდით.

2007 წლამდე ფინანსური დახმარება პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე მოდიოდა TACIS პროგრამის სახით. ამ პროგრამამ რეგიონს გარკვეული დახმარება გაუწია, მაგრამ მათი მოცულობა არასაკმარისია. ევროკავშირის ზემოქმედება რეგიონზე შეიძლება ყოფილიყო უფრო მკაცრი კონტროლი.<sup>107</sup> ასეთი იდეა მონოდებული იქნა პოლონეთისა და შვეციის მიერ პირველი ვარიანტის განხილვის დროს, მაგრამ ევროკომისიას არ ეყო ფინანსური და ადამიანური რესურსები ასეთი მონიტორინგის მაღალ დონეზე ჩასატარებლად. ევროკავშირის ზემოქმედების მუხრუჭების ბერკეტების უსუსურობა დაკავშირებულია კიდევ იმასთან, რომ მრავალი მდგომარეობა სამოქმედო გეგმებისა არასაკმარისადაა დაკომპლექტებული, ასევე არ არსებობს მათი შესრულების მკვეთრად გამოხატული კრიტერიუმები.

ყველაფერი ეს კი ნეგატიურ ზაგავლენას ახდენს ევროკავშირის მცდელობაზე დაეხმაროს პოსტსაბჭოთა ქვეყნებს დემოკრატიის განვითარებაში. ბრიუსელის იმედის მიუხედავად თანამეზობლობის ევროპოლიტიკამ ვერ გააძლიერა ურთიერთკავშირი დახმარების განეგასა და დემოკრატიას შორის. TACIS მიზნობრივი პროგრამები ფორმულირებულ იყო არასაკმარისი სიზუსტით და სუსტად ფინანსირდებოდა.<sup>108</sup> დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერა რეგიონში იყო ევროკავშირის ერთ-ერთი მიზანი. მოვიდა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ხელისუფლებაში პროდასავლური ელიტა, მაგრამ ეს

---

<sup>107</sup> Polish-Swedish Proposal. Eastern Partnership. 23 May 2008 [www.tepsa.eu/docs/draft\\_proposal\\_eastern\\_partnership.pdf](http://www.tepsa.eu/docs/draft_proposal_eastern_partnership.pdf)

<sup>108</sup> Raik K. Promoting democracy through civil society: How to step up the EU's policy towards the Eastern Neighbourhood. CEPS Working Document № 237/February, 2006.

მინც არ გახდა გარანტი მოქმედების წარმატებული რეალიზაციისა და დემოკრატიზაციის საქმეში. ევროკომისია აღიარებს, რომ გაჭიანურებული შიდაპოლიტიკური კონფლიქტები, მაგალითად, უკრაინაში ნეგატიურად მოქმედებენ კიევის შესაძლებლობებზე შეასრულონ ევროკავშირთან თანამშრომლობის პირობები,<sup>109</sup>ეს პრობლემები აღიარეს თვით უკრაინელმა ექსპერტებმა.<sup>110</sup> თავის მხრივ საქართველომ იგნორირება გაუკეთა ევროკავშირის შენიშვნებს სასამართლო რეფორმების გატარების ნელი ტემპისათვის, საპრეზიდენტო ხელისუფლების გადაჭარბებისათვის.<sup>111</sup> მსგავსი შენიშვნები გააკეთა ბრიუსელმა აზერბაიჯანის მიმართაც.<sup>112</sup>

დემოკრატიის განვითარება არ წარმოადგენს ევროკავშირის აღმოსავლური პოლიტიკის ამოცანას. მაგალითად, მაისის სამიტზე ლუკაშენკოს მიწვევამ დაამტკიცა, რომ მინსკმა ვერ მიაღწია მაღალ შედეგებს დემოკრატიის ნორმების დაცვის მხრივ, მაგრამ ემინიათ ბელორუსიაზე<sup>113</sup> რუსეთის ზეგავლენის გაძლიერებისა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ენერგეტიკული ფაქტორი, ამიტომ ბრიუსელი დიდ ყურადღებას უთმობს ცენტრალურ აზიას. ამ მხრივ დიდ აქტიურობას იჩენს გერმანია, მიუხედავად ამისა კონკრეტული მექა-

---

<sup>109</sup> Commission staff working document. Accompanying the: Communication from the Commission to the Council and the European parliament. On strengthening the European Neighbourhood Policy. ENP progress report. Ukraine. {COM (2006) 726 final}. Brussels. 4 December 2006. SEC (2006) 1506/2.

<sup>110</sup> The Reform of the European Neighbourhood Policy. Research Center of the SFPA. 2008. P.26-28.

<sup>111</sup> Halbach U. Die Krise in Georgien: Das Ende der “Rosenrevolution”? SWP-Aktuell №61. November 2007; Analysis of the EU’s assistance to Georgia. European Parliament. Policy department external affairs. 2008.

<sup>112</sup> Commission staff working document. Implementation of the European Neighbourhood Policy in 2007. Progress report. Azerbaijan. 3 April 2008; Analysis of the EU’s assistance to Azerbaijan. European Parliament. Policy department external policies. October, 2008. P.9.

<sup>113</sup> Rettman A. Values to form core of EU «Eastern Partnership” // EUobserver. 18.03.2009.



ნიზმები ევროკავშირის ინტერესების რეალიზაციისათვის რეგიონში, ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული.

მიუხედავად იმისა, რომ 2009 წელს „ნაბუქოს“ პროექტის დაფინანსება ევროკავშირის მიერ თითქოს გადანაცვებული იქნა, გაურკვეველი რჩება მისი მხარდაჭერის პერსპექტივა კერძო ენერგოკომპანიების მიერ.<sup>114</sup>

ევროკავშირის თანამშრომლობა აზერბაიჯანთან და თურქმენთან ნახშირწყალბადების მოწოდების შესახებ გამოიყოფა ფაქტიურად დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებისაგან.

ბაქო და აშხაბადი თავის მხრივ არავითარ შემთხვევაში არ ცდილობენ გაავრცელონ თავისთვის ენერგეტიკული სექტორის რეგულირების წესები, რომელიც წამოყენებულია ევროკავშირის მიერ.<sup>115</sup>

ცენტრალური აზიის ენერგორესურსებით დაინტერესება ევროკავშირს „აიძულებს“ უფრო ნაკლები მოთხოვნები წაუყენოს ამ ქვეყნებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. გერმანია, პოლონეთი, საფრანგეთი, ესპანეთი მხარდაჭერითი წინადადებით გამოვიდა არ შეზღუდონ უზბეკეთის ხელისუფლებისათვის ვიზების გაცემა, რადგანაც ბერლინის აზრით სანქციების რეჟიმი აღმოჩნდა არაეფექტური და ხელი შეუშალა დიალოგს ადამიანის უფლებათა შესახებ.<sup>116</sup>

ახლო მომავალში მოსკოვის ზემოქმედება ყოფილი შუა აზიის ქვეყნების სივრცეზე შეჩერებულ იქნება არა მარტო ევროკავშირის მიერ, არამედ ჩინეთის მიერაც. ევროკავშირის სანქციებიც ყოფილი პოსტსაბჭოური ქვეყნების მიმართ

---

<sup>114</sup> Poland defies Germany over Nabucco pipe // EurActiv. 18 March, 2009.

<sup>115</sup> Youngs R. Europe's external energy policy: between geopolitics and the market. CEPS Working document. №278. November, 2007.

<sup>116</sup> Central Asia: What role for the European Union. ICG Asia Report № 113. 2006.

არ იყო ეფექტური. ევროკავშირს არ გააჩნია საკმარისი ეფექტური მექანიზმი თავისი ინტერესების წინ წაწევისა პოსტსაბჭოურ სივრცეში. ბრიუსელი იქნება იქ, მაგრამ საჭირო შემთხვევაში ვერ გაუწევს გადამწყვეტ ზემოქმედებას პოლიტიკური პროცესების განვითარებას რეგიონში. ეს კი გამონწვეულია როგორც რესურსების უკმარისობით, ასევე სასურველი შედეგების მიღწევის მკაფიო წარმოდგენის უქონლობით.

2008 წლის კონფლიქტმა კავკასიაში გაამწვავა ევროკავშირის რიტორიკა რუსეთის მიმართ, გამოამჟღავნა ბრიუსელისა და მოსკოვის შეუთანხმებლობა. ეხლა კი მოსკოვს უმცირდება ზემოქმედების თაღარიგი, ხოლო ბრიუსელს ჯერ არ შეუძლია საკუთარის რეალიზება.

ევროკავშირი, რა თქმა უნდა, გააგრძელებს მცდელობას გაამტკიცოს თავისი პოზიციები რეგიონში და თავისი ორბიტის გარშემო შემოიკრიბოს პოსტსაბჭოთა ქვეყნები.

ევროკავშირს სურს ბრიუსელისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების თანამშრომლობა ენერგეტიკულ სექტორში. მაგალითად, ევროკავშირის მონაწილეობა უკრაინის გაზსატრანსპორტო სისტემის მოდერნიზაციის საქმეში. ეს კი, რა თქმა უნდა, შეეხო მოსკოვის ინტერესებს. ასევე პოტენციური გამარტივება სავიზო რეჟიმისა ევროკავშირსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის, ასევე სასაზღვრო კონტროლის ერთიანი სისტემის შექმნა – ეს ყველაფერი აღიზიანებს მოსკოვს.

ასეთი ახალი საკითხების შემოტანას შეუძლია საქმე მიიყვანოს გამშვები რეჟიმის გამწვავებამდე პოსტსაბჭოთა ქვეყნებსა და რუსეთს შორის. ამ პრობლემების გადაწყვეტა სასურველს ხდის რუსეთისათვის მიიღოს მონაწილეობა მრავალდარგობრივ ფორუმებში, რომლებიც ორგანიზებულია „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ჩარჩოებში, მაგრამ მისი

ასეთი მიზანი შეიძლება შეეჯახოს ევროკავშირის ნევრი ქვეყნების (ახალი ნევრების) საწინააღმდეგო მოქმედებებს.

ის მნიშვნელობა, რომელსაც ევროკავშირი ანიჭებს მოსკოვთან თავის ურთიერთობას, აშკარა გახდა 1999 წელს, როცა მან დაამტკიცა ზოგადი სტრატეგია რუსეთთან დაკავშირებით შემდგომი ოთხი წლისათვის. ამ ინიციატივამ ცხადყო ორ პარტნიორს შორის ურთიერთობის ახალი ფაზის დადგომა, გარდა ამისა, ეს იყო 1997 წელს ხელმოწერილი ამსტერდამის ხელშეკრულების საფუძველზე შემოღებული საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ახალი პირობების შესაბამისად ევროკავშირის მიერ დამტკიცებული პირველი დოკუმენტი საგარეო პოლიტიკის სფეროში. ექვსი თვის შემდეგ ამას მოჰყვა მსგავსი ზოგადი სტრატეგიის მიღება უკრაინისათვის.

ორივე აღნიშნული ინიციატივა სცილდება „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებებს, რომლებიც ევროკავშირს დადებული აქვს ყველა ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან, ანუ იმ ქვეყნებთან, რომლებიც უწინ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდნენ. ეს ინიციატივები მიზნად ისახავს დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრებას, სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებას და ამ ქვეყნებისთვის „საერთო ევროპულ ეკონომიკურ და სოციალურ სივრცეში ინტეგრირებაში (იგულისხმება, აგრეთვე, ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო ზონის შემქნისკენ მიმართული მუშაობაც) დახმარების განწევას. უმთავრესი ნამოწეებები ითვალისწინებს, აგრეთვე, განიარაღებასა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებულ თანამშრომლობას. ვინაიდან ევროკავშირი ისწრაფის ამ ქვეყნებთან უფრო მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირისკენ, ის უყოყმანოდ

აკრიტიკებს ადამიანის უფლებათა დარღვევის ნებისმიერ გამოვლინებას. ამის მაგალითად გამოდგება ევროკავშირის რეაქცია ჩეჩნეთში რუსეთის ინტერვენციაზე<sup>117</sup>.

## 5. ევროკავშირის ანტიტერორისტული პოლიტიკა

თანამედროვე ტერორიზმის საერთაშორისო ხასიათი ითხოვს მისთვის წინააღმდეგობის განწევა მოხდეს ერთობლივი სტრატეგიის შემუშავებით, როგორც მსოფლიო მასშტაბით, ასევე რეგიონალური საერთაშორისო გაერთიანებების ჩარჩოში.

ევროკავშირის ქვეყნები, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, სამწუხაროდ, წარმოადგენენ სხვადასხვა ტერორისტული ორგანიზაციების სამიზნეს. პრობლემა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ სწორედ ამ რეგიონში ხდება ერთმანეთის მიყოლებით კონფლიქტები – სოციალური, ეთნოკონფლიქტები, რომლებიც წარმოადგენენ ტერორიზმის განვითარების ნიადაგს, არამედ თვით ევროინტეგრაცია, რომელმაც მოახდინა სახელმწიფოთაშორისო საზღვრების გამჭვირვალობა, ხალხის თავისუფალი გადაადგილება, საქონლის, ტექნოლოგიებისა და ფინანსების გადინება, ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო ტერორისტული აქტივობის შენიღბვას.

ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა იმოქმედეს საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ, მაგრამ მათი შედეგები აღმოჩნდა არაერთგვაროვანი.

საკუთრივ ევროინტეგრაციის პროცესი მოიცავს არათანაბარ ხასიათს. ევროკავშირის სახელმწიფოები დიდი მონდომებით მიდიან თავისი ეკონომიური სუვერენიტეტის

---

<sup>117</sup> ევროკავშირი და მსოფლიო, თბ., 2002

შემცირებაზე ეკონომიკურ სფეროში, ვიდრე პოლიტიკურში. ევროკავშირის ქვეყნებმა რატიფიკაცია გაუკეთეს ამსტერდამის ხელშეკრულებას, რომლის შესაბამისადაც შეიქმნა ის სტრუქტურები და მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობენ სასამართლო და საკანონმდებლობო სფეროში თანამშრომლობას, როგორცაა ევროპული საპოლიციო უწყება (EUROPOL) და (EUROJUST), რომლის შემადგენლობაშიც შედიან ნაციონალური სახელმწიფოების პროკურორები, მოსამართლეები და პოლიციის ოფიცრები. მის ამოცანაა ნაციონალურ სახელმწიფოთა პროკურორების საქმიანობის კოორდინაცია, ასევე ევროპოლთან თანამშრომლობით ევროპული მასშტაბის დანაშაულებათა განხილვა, ძირითადად საქმე ეხება ფულის გათეთრებას და ნარკოტიკების გავრცელებას.

საერთაშორისო პოლიტიკაში ტერორიზმთან ბრძოლის პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურად წავიდა საკუთრივ ევროკავშირის შიგნით. რაც გამომწვეულია 2004 წლის მადრიდის და 2005 წლის ლონდონის ტერორისტული აქტების შედეგებით.<sup>118</sup>

2005 წლის დეკემბერში ევროკავშირის იუსტიციის მინისტრთა საბჭომ მხარი დაუჭირა კონტრტერორიზმის ახალ სტრატეგიას<sup>119</sup>. მისი მიზანია აჩვენოს საზოგადოებრიობას ევროკავშირის პოლიტიკა ტერორიზმთან ბრძოლის წინააღმდეგ.

ევროკავშირის ტერორიზმთან ბრძოლის მომენტები მდგომარეობს შემდეგში:

1. 2004 წელს შეტანილ იქნა ცვლილება ევროკავშირის ორდერში: დაპატიმრება შეიცვალოს ექსტრადაციით. 2005

---

<sup>118</sup> Anti-terrorism Policy. URL: <http://www.euractiv.com/en/security/anti-terrorism-policy/article-136674>

<sup>119</sup> The European Union Counter-Terrorism Strategy. URL: [http://ue.eu.int/uedocs/cms\\_Data/docs/pressdata/en/jha/87257.pdf](http://ue.eu.int/uedocs/cms_Data/docs/pressdata/en/jha/87257.pdf).

ნელს მიღებულ იქნა გადამწყვეტილება დაინერგოს ორდერის სტანდარტული ფორმები, როცა საქმე ეხება ობიექტის, დოკუმენტაციის და ინფორმაციის ამოღებას და თანაც გამოძიება მიმდინარეობს რამდენიმე ქვეყნის ტერიტორიაზე.<sup>120</sup>

2. რადგანაც მუშაობა ანტიტერორისტული ზომების შესახებ შედის ნაციონალური სახელმწიფოების კომპეტენციაში, ევროკავშირის მთავარი ამოცანაა მისი კოორდინაცია. ძირითადი აქცენტი კეთდება ინფორმაციის გაცვლაზე ევროკავშირის ქვეყნებს შორის. ამ მხრივ მიღებული იქნა სპეციალური პროგრამა სამართალდამცავი ქსელის შექმნის შესახებ (LEGAL ENFORCE), რომელიც მოწოდებულია ინფორმაციის გადაცვლის გაიოლებისათვის პოლიტიკურ უწყებათა შორის. ძალიან რთული პრობლემაა ინფორმაციის იმ ქვეყნებზე გადაცემა, რომლებიც არ შედიან ევროკავშირში.<sup>121</sup>

3. მკვეთრად გამკაცრდა ევროკავშირის საზღვრების უსაფრთხოებისადმი ყურადღება. 2005 წლიდან დაიწყო პასპორტებში ბიომეტრული მონაცემების შეტანა, შემდეგ ვიზებშიც. შენგენის (SIS) საინფორმაციო სისტემა მოიცავს იმ პირთა მონაცემებს, რომლებიც ექვემდებარებიან დაპატიმრებას ან არ ექვემდებარებიან ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლას. დაკარგული მოქალაქეების მონაცემები და ისინიც, ვის მიმართაც დაწესებულია მეთვალყურეობა.<sup>122</sup>

---

<sup>120</sup> European arrest warrant ruled unconstitutional in Germany. EurActiv 19 July 2005. URL: <http://www.euractiv.com/en/security/european-arrest-warrant-ruled-unconstitutional-germany/article-142674>

<sup>121</sup> EU-US agreement on passenger data has to be renegotiated, say MEPs EurActiv 19 March 2004. URL: <http://www.euractiv.com/en/security/eu-us-agreement-passenger-data-renegotiated-meps/article-114845>

<sup>122</sup> Council steps up cross-border hot pursuit. Euractiv 20 July 2005. URL: <http://www.euractiv.com/en/security/>

4. ტერორიზმთან ბრძოლის წინააღმდეგ ახალი ინფორმაციების მოპოვების მიზნით 2004 წელს დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და შვეიცია გამოვიდნენ წინადადებით დაევალებულენათ ყველა სატელეფონო კომპანიები და ინტერპოლი – პროვაიდერებს შეენახათ მონაცემები ყველა სატელეფონო ზარზე, რომელიც გაგზავნილ იქნებოდა ელექტრონული ფოსტით ვებსაიტებზე. მაგრამ ეს წინადადება არ იქნა მიღებული. 2005 წელს ევროპარლამენტმა გამოაქვეყნა ახალი წინადადება, რომ სატელეფონო საუბრები შენახულიყო ერთი წლის ვადით, ხოლო ინტერნეტკავშირი 6 თვის ვადით.<sup>123</sup>

5. მიღებულ იქნა ზომები უბრალო მოქალაქეების გაფრთხილებისა და ტერორისტული აქტისაგან თავდაცვის უსაფრთხოების მიზნით. აშშ-ში „ციმბირის წყლულის“ შესახებ პანიკის შემდეგ წარმოიშვა საშიშროება, რომ ტერორისტებს შეეძლოთ ქონოდათ შესაძლებლობა მისწვდომოდნენ მასობრივი განადგურების იარაღს. ევროპის საბჭომ მიიღო ახალი პროგრამა მასობრივი განადგურების იარაღის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ეტაპობრივ ნაბიჯებს, რომელიც უნდა განხორციელდეს ტერორისტული შემოტევების წინააღმდეგ და თუ შესაძლებელი იქნება მისი დამანგრეველი ძალის შესამცირებლად.<sup>124</sup>

6. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო პრობლემას. 2005 წლის 20 სექტემბერს ევროკავშირმა მიიღო მესამე დირექტივა ფუ-

---

council-steps-cross-border-hot-pursuit/article-142756

<sup>123</sup> Commission wants phone data to be stored for one year. EurActiv 21 Sept 2005. URL: <http://www.euractiv.com/en/infosociety/commission-wants-phone-data-stored-year/article-14458>

<sup>124</sup> EU unprepared for bioterror threat. EurActiv 14 Feb 2005. URL: <http://www.euractiv.com/en/security/euunprepared-bioterror-threat/article-135340>

ლის გათეთრების საწინააღმდეგო მოქმედებების შესახებ. მასში გათვალისწინებული იყო საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები ფინანსური კონტროლის შესახებ (FAFT). მიღებულ იქნა გარკვეული ზომები და წინადადებები.<sup>125</sup>

1. ბანკები ვალდებულნი არიან მიაწოდონ ინფორმაცია ფულის ყველა გზავნილის შესახებ ევროკავშირის შიგნით და გარეთ.

2. შემოსავლის კონფისკაცია, რომელიც მიღებულია დანაშაულებრივი გზით.

3. აქტივების გაყინვის ორდერები.

4. ევროკავშირის საგარეო საზღვრებს გარეთ ნაღდი ფულის ტრანსფერზე კონტროლი.

5. ევროკავშირის ხელმოწერა ევროსაბჭოს კონვენციებზე ფულის გათეთრების, გამომყდავენების, ამოღების, შემოსავლის კონფისკაციის, ტერორისტების დაფინანსების შესახებ.

6. შეიმუშავონ ევროკავშირის წევრებისათვის ახალი პრინციპები ინფორმაციის გაცვლის მიზნით, რომელსაც შეუძლია ტერორისტების დაფინანსების წყაროების შემცირება.

7. ევროკავშირის ლიდერები ცდილობენ აღმოფხვრან ტერორიზმის მიზეზები, მივიდნენ იმ ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების გადანყვეტაზე, რაც გახდება მკვეთავი ნიადაგი ისლამური ფანატიზმისა.

---

<sup>125</sup> Press Release: Financing of terrorism: new guidelines for Member States on national level coordination structures and vulnerabilities of the non-profit sector. URL: <http://europa.eu/rapid/pressReleasesAction.do?reference=MEMO/05/460&format=HTML&aged=0&language=EN&guiLanguage=en>



ევროკავშირის ზოგიერთი წევრი ქვეყანა თვლის, რომ შექმნილი ევროპული სააგენტოები დუბლირებას უკეთებენ სხვა რეგიონალურ და საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობას.

– სპეცსამსახურების მიერ ინფორმაციების გაცვლა დომინირებს, როგორც საფრთხე ნაციონალური უსაფრთხოების საზიანოდ. საგამომძიებლო ინფორმაციების გადაცემის ფაქტი საშუალებას იძლევა გაკეთდეს დასკვნები კომპეტენციების ხარისხზე, რომელიც მოიცავს პოტენციურ საშიშროებას ნაციონალური უსაფრთხოების სფეროში.

– არსებობს ნაციონალური განსხვავება სამართალდამცავი ორგანოების სპეცსამსახურების მუშაობაში. ზოგიერთი ქვეყანა უპირატესობას ანიჭებს იმ ქვეყნებთან თანამშრომლობას, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი ძალოვანი და საგამომძიებლო უწყებების სიძლიერით.

– სამართალდამცავი ორგანოებისა და სპეცსამსახურების რეფორმა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მიმდინარეობს არათანმიმდევრულად და ნელა. სინამდვილეში ამ ქვეყნების ხელისუფლებებმა უბრალოდ გადადეს რეფორმები შემდეგისათვის, რადგანაც ჩათვალეს, რომ ევროკავშირში შესასვლელად უფრო საჭიროა ეკონომიკური რეფორმების გატარების აუცილებლობა და ასევე ეფექტური საბაზრო ეკონომიკის გატარება. პრაქტიკულად ამ ქვეყნებში სამართალდამცავი ორგანოებისა და სპეცსამსახურების საფუძველს შეადგენს ხალხი, რომლებმაც გაიარეს შესაბამისი მომზადება საბჭოთა კავშირში ან მისი დახმარებით.

– თუკი მიმდინარეობს ევროკავშირის ქვეყნებს შორის ინფორმაციის გაცვლა, ნაციონალურ ბიუროკრატიულ სტრუქტურებს შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ ჩქარ რეაგირებას, რომელიც აუცილებელია ტერორისტული შეტევის აღმოფხვრისათვის.

როგორც პრაქტიკამ აჩვენა, სხვადასხვა ბიუროკრატიული სტრუქტურები სამართალდამცავი ორგანოებისა და სპეცსამსახურების შიგნით, ასევე სხვადასხვა სახელმწიფო ჩინოვნიკებს, რომლებიც აკონტროლებენ ასეთ გაცვლას და თანამშრომლობას, შეუძლიათ გახდნენ გაჭიანურების სერიოზული წყარო. თუკი თვით სახელმწიფოს შიგნით ბიუროკრატიული სტრუქტურა და შესაბამისი ადმინისტრაციული კულტურა ხელს უშლის სასიცოცხლო ინფორმაციის გაცვლას სამინისტროებსა და უწყებებს შორის, სახელმწიფოთაშორისო დონეზე ასეთი სახის გაცვლა იქნება უფრო ეფექტური.

ევროკავშირში 27 წევრი და მრავალი ენაა და პროცესის გაფართოება, რომელიც მოიცავს ახალ ქვეყნებს უნდა გაგრძელდეს. სპეციალისტების სიმცირემ და პროფესიონალიზმის უკმარისობამ, ენის ბარიერმა შეიძლება მიგვიყვანოს უხარისხოდ და უადგილოდ გატარებული ღონისძიებების ანალიზამდე. სხვადასხვა ენებმა შეიძლება გამოიწვიოს არეულობა. „ევროიუსტი“ შეეჯახა პრობლემებს, რომლებიც გამონვეულია სამართლებრივ სისტემაში არსებული განსხვავებებით. ეს განსხვავებები ეხება როგორც სისხლის სამართალს, ასევე სამართლებრივ – პროცესუალურს.

ევროკავშირში კონტრტერორიზმი დგას დილემის წინ. ერთი მხრივ, აუცილებელია: ევროკავშირში შეიქმნას საზღვრებთან მჭიდრო კავშირი და აღმოიფხვრას ბარიერი თავისუფალი გადაადგილებისათვის; საერთო ძალისხმევა ტერორიზმთან ბრძოლაში, რომელიც მოქცეულია ევროკავშირის ჩარჩოებში; აუცილებელი ხდება ადრეული გაფრთხილების მექანიზმის და საერთო რეგიონალური ტენდენციების ანალიზის შექმნა.

ევროკავშირის წევრი ქვეყნებისადმი დახმარების განწევა სამართლებრივი კანონპროექტების და სასამართლო ორ-

განოების სპეციალისტების მომზადების კუთხით. ევროკავშირის ქვეყნების წარმომადგენლებს შეუძლიათ ჩაატარონ სახელმწიფოთაშორისო კონფერენციები და სემინარები, რომლებსაც შეუძლიათ იქცნენ გამოცდილების გაზიარების ტრამპლინად, რომელიც ხელს შეუწყობდა თავიდან აგვეცილებინა კონტრტერორისტული გაძლიერების დუბლირება და ხელს შეუწყობს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში თანამშრომლობას.

## **6. ევროკავშირის საბარაო ენერგეტიკული პოლიტიკა**

ენერგეტიკა ქვეყნების უმარავლესობის ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს სექტორს წარმოადგენს. მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის, ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციის და პრივატიზაციის პროცესები დღის წესრიგში მწვავედ აყენებს „საერთაშორისო ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემას“. თავდაპირველად ეს კონცეფცია განიხილავდა ნავთობის მარაგის შემცირების და მისი საიმპორტო შესყიდვის ფასის ზრდის სირთულეებს, ამჟამად ამ პრობლემას საგაზო უსაფრთხოებაც დაემატა. მსოფლიო საზოგადოებას აშფოთებს ენერგო რესურსების მზარდი მოხმარების და რესურსების შემცირების პროცესი და გარემოზე ენერგომოხმარების შედეგების გავლენა. მთლიანობაში ყველაფერი ეს ქმნის მსოფლიო საზოგადების ისეთ ახალ გამოწვევას როგორცაა ენერგეტიკული უსაფრთხოება.

ენერგეტიკული უსაფრთხოება წარმოადგენს ყველა ქვეყნის ეროვნული უშიშროების უმნიშვნელოვანეს ნაწილს. ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ერთ-ერთი მთავარი ამოცანა არის ენერგეტიკული პოლიტიკა. ენერგე-

ტიკული უსაფრთხოება ეს არის ქვეყნის, მისი მოქალაქეების, საზოგადოების, სახელმწიფოს და ეკონომიკის სათბობ-ენერგეტიკული საიმედო უზრუნველყოფის დაცული მდგომარეობა ნებისმიერი საფრთხისაგან. აღნიშნული საფრთხეები შეიძლება განისაზღვროს როგორც საგარეო გეოპოლიტიკური, მაკროეკონომიკური, კონიუნქტურული) ფაქტორებით, ასევე საკუთარი მდგომარეობით და ქვეყნის ენერგეტიკული სექტორის ფუნქციონირებით.

უკანასკნელ ათწლეულებში მოხდა მთელი რიგი შემთხვევები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიო ენერგეტიკულ პოლიტიკაში, ეს პირველ რიგში იყო: ნავთობზე ფასის დაცემა 1986 წელს, გარემოს დაბინძურების საკითხი, რომელსაც მოჰყვა კიოტის ხელშეკრულება, რომელიც ართულებდა მოთხოვნებს განვითარებული ქვეყნების მიმართ, ჩერნობილის და ფუკუსიმას ავარიები, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესიუპრეცედენტო მიღწევები, რომელიც იძლეოდა საშუალებას მიეღწიათ ტექნოლოგიის განვითარებაში წარმატებებისათვის და მოეხდინათ ახალი რესურსების საბადოების აღმოჩენა, ასევე მიეღწიათ ნაკლები დანახარჯებით ენერჯისა და რესურსების ამალგების ეფექტურობისათვის<sup>126</sup>.

თანამედროვე ეტაპზე ენერჯის მოხმარების უზრუნველყოფის სიტუაცია მეტნაკლებად არის სტაბილური, ბაზრებისა და ტექნიკის ევოლუცია აღწევს ახალ მიღწევებს. ნავთობი წარმოადგენს ყველაზე მოთხოვნილებად რესურსს, მიუხედავად მაღალი ფასებისა მსოფლიოს ბაზარზე. ევროპის ქვეყნებში მთლიანად შემცირდა ბირთვული ენერჯი-

---

<sup>126</sup> Богучарский М.Е., Энергетическая стратегия Европейского Союза на современном этапе, [http://flm.su/?actions=main\\_content&id=828#\\_ftn1](http://flm.su/?actions=main_content&id=828#_ftn1)

სადმი ინტერესი, ამავე დროს შესამჩნევად გაიზარდა ინტერესი სხვადასხვა სახის „სუფთა“ ენერჯისადმი.

ევროპის ენერგოუზრუნველყოფის პრობლემას უკვე დიდი ხანია უკავია მთავარი ადგილი ევროკავშირის სტრატეგიაში ისეთ სფეროებთან მიმართებით, როგორცაა ეკონომიკა, პოლიტიკა და უსაფრთხოება, როგორც გლობალურ ასევე რეგიონალურ დონეზე. ამავე დროს ევროპის მოთხოვნილება ენერგორესურსებზე მხოლოდ გაიზრდება ევროზონის მიერ მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის შედეგების დაძლევის გამო. რუსეთის როგორც ევროპისათვის ენერგორესურსების მნიშვნელოვანი მიმწოდებლის როლის შესაძლო შესუსტება პოტენციურად შეიძლება მოხდეს მხოლოდ ევროკავშირის ინტერესის გაძლიერებით ენერგომატარებლების ახალი და ალტერნატიული მიმწოდებლების სასარგებლოდ. სამომავლოდ ევროპაში ენერგორესურსების ალტერნატიულ მინოდებაში განსაკუთრებული როლი შეიძლება მიენიჭოს ცენტრალურ აზიის, სპარსეთის ყურის ქვეყნები ან ჩრიდლიოეთ აფრიკის რეგიონებს.

ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოება ეს არის ორგანიზაცია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეკონომიკის და მოსახლეობის მდგრადი, უწყვეტი და გარანტირებული ენერგოუზრუნველყოფა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მონოდების წყაროების და ენერგომატარებლების ტრანსპორტირების მარშრუტების დივერსიფიკაციით და სანავაგის იმპორტის გეოგრაფიულ სტრუქტურაში მისი მოცულობის შემდგომი ზრდით<sup>127</sup>.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეკონომიკისათვის იმპორტირებული ენერგომატარებლების მოთხოვნილების უზრუნველყოფის საკითხი ევროკავშირის ხელმძღვა-

---

<sup>127</sup> *Мухаметов П. С. Энергетическая безопасность ЕС и интересы России / П. С. Мухаметов // Известия Уральского государственного университета. – 2010. – № 1(73). – С. 39-45*

ნელობამ საგარეო ვაჭრობის პრობლემიდან გადაიყვანა ზენაციონალური უსაფრთხოების ქრილში, რომელიც ჩამოყალიბდა „ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის“ პოლიტიკის სახელწოდებით. 2007 წლის ოქტომბრის ლისაბონის ენერგეტიკულ ფორუმზე ევროკომისიის წევრმა ენერგეტიკის სფეროში ა. პიებალგსმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას რომ „ენერგეტიკული გამოწვევა ეს არის ჩვენს მიერ უყურადღებოდ მიტოვებული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა. კლიმატის ცვლილება, გეოპოლიტიკური გაურკვევლობა, მსოფლიო ეკონომიკური თანასწორობის ცვლილება, თითოეული ამ გამოწვევიდან არის ერთი ძალიან მიუღებელი რეალობის გამოვლინება: მსოფლიოს დამოკიდებულება ენერგომატარებლების მოთხოვნილების ზრდაზე. ნავთობსა და გაზზე მსოფლიოს მოთხოვნის ზრდის გეოპოლიტიკური შედეგები რთული გასათვლელია. მსოფლიოში ნავთობისა და გაზის მარაგების განლაგება არათანაბარია. ენერგომატარებლების ტრანსპორტირება ხშირად რისკებთან დაკავშირებული, ხოლო მათი მოპოვების პროექტების რეალიზაცია მსოფლიოს უფრო მეტი ნაწილის მტრულ განწყობილებას იწვევს. ასეთ პირობებში აუცილებელია ენერგეტიკის ტრადიციული გაგებიდან, რომ ეს არის ნაციონალური უსაფრთხოების საკითხი გადავიდეთ ზენაციონალურ გაგებამდე, რომ ეს არის ევროპის უსაფრთხოების საკითხი<sup>128</sup>“

თანამედროვე ევროპული ეკონომიკისათვის დამახასიათებელია ენერჯის მოხმარების სწრაფი ზრდა, რომელიც ძირითადად წარმოიქმნება საბადოების ხარჯზე სანჯავის სახით (ნავთობი, ნახშირი და ბუნებრივი აირი). სწორედ ისინი

---

<sup>128</sup>Piebalgs Andris. Oil and Gas Geopolitics // The Lisbon Energy Forum. 01.10.2007 იხ. ბმული <http://europa.eu/rapid/pressReleasesAction.do?reference=SPEECH/07/586&format=HTML&aged=0&language=EN&guiLanguage=en>

უზრუნველყოფენ საერთო ევროპულ მოთხოვნების 4/5-ს, ამასთანავე, მათგან 2/3 იმპორტში მიდის. რუსეთის ბუნებრივი აირი ევროპაში უზრუნველყოფს დაახლოებით 20%-ს. თუკი 2030 წლამდე არ იქნება მიღებული რადიკალური ზომები, შექმნილ ტენდენციებზე მოთხოვნები კიდევ უფრო გაიზრდება.

ევროკავშირი დღეს წარმოადგენს მსოფლოში ერთ-ერთ დიდი ეკონომიკურ ბლოკს, რომელიც მოიხმარს მთელი მსოფლიოს ენერგო მოხმარების 16%. ენერგომატარებლების ტრადიციული სახეობიდან ევროკავშირის ყურადღების ცენტრშია გაზი და ნავთობი. ქვანახშირის წილი, ისევე როგორც ჰიდრო და სათბობ ენერგეტიკული ბალანსის წილი ევროპის კავშირისთვის არააარსებითია. თავის მხრივ, ატომური ენერგეტიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს ეკონომიკაში, მაგრამ მისი წილი ევროკავშირის ენერგომოხმარებაში მთლიანად მნიშვნელოვნად დაბალია ნახშირწყალბადების წილთან მიმართებაში. ამავდროს გრძელვადიან პერსპექტივაში ატომური ენერგეტიკის განვითარება ევროპაში ჯერ კიდევ არ არის გარკვეული მზარდი ეკოლოგიური კატასტროფების მაღალი რისკის გამო (ჩერნობილის და ფუკუსიმას ავარიები და შედეგები). ევროკავშირში „მწვანეების“ პოზიციების განმტკიცების კვალდაკვალ უფრო მეტად იზრდება მისი მხარდაჭერა განახლებადი ენერჯის წყაროების პრიორიტეტული გამოყენების პოლიტიკისადმი. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ბევრ სახელმწიფოს ენერგეტიკულ ბალანსში ჯერ კიდევ დომინირებს ნახშირწყლები, ნავთობისა და გაზის მარაგი ევროკავშირის ქვეყნებში არც ისე დიდია ევროპის მნიშვნელოვანი მოხმარებისა და გრძელვადიან პერსპექტივაში მისი კიდევ უფრო გაზრდის ფონზე. მაგ., ევროკავშირის წვერი ქვეყნების ტერიტორიაზე ნავთობის მსოფლიო მარაგის 0,2% და ბუნებ-

რივი გაზის 1,4%-ია. დღეისათვის ევროპის ტერიტორიაზე ყოველწლიურად ხდება დაახ. 163 მილ. ტონა ნავთობის მოპოვება ყოველწლიურად, რაც მხოლოდ შიდა მოხმარების 18% აკმაყოფილებს და ბუნებრივი გაზის 193 მილიარდ. კუბ. მ. მოპოვება, რაც შიდა მომხარების 37% ფარავს. როცა ყოველწლიურად ევროკავშირი მოიხმარს 900 მილ ტონა ნავთობს და 500 მილიარდ, კუბ. მეტ. გაზას. შესაბამისად იმპორტი გაზზე შეადგენს 300 მილიარდ. კუბ. მეტრს და 700 მილ. ტონა ნავთობს<sup>129</sup>.

ევროკავშირი სადაც კონცენტრირებულია მსოფლიო მოსახლეობის 7%, რომელიც აწარმოებს მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის მეოთხედს და მოიცავს მსოფლიო ვაჭრობის 20%-ს ფლობს მხოლოდ ნავთობის 2%-ს, ბუნებრივი გაზის 4%-ს<sup>130</sup>. ევროპის საკუთარი სარესურსო ბაზის შეზღუდულობა განაპირობებს ევროკავშირის ქვეყნების არსებით დამოკიდებულებას საგარეო ენერგეტიკულ მონოდებაზე. ევროპის ბაზარი გაზის მოხმარების კუთხით მესამე ადგილს იკავებს მსოფლოში. როგორც აღვნიშნეთ მარტო ევროკავშირის ქვეყნების მოთხვნილება ყოველწლიურად არის დახ. 500/470 მილიარდ კუბ.მ. ანუ მსოფლიო მოხმარების 17-18% (ჩრდილოეთ ამერიკა 27%, დსთ 22%).<sup>131</sup> რუსეთი არის მეორე დიდი მიმწოდებელი ევროკავშირის ქვეყნებისთვის

---

<sup>129</sup> А.Строков, В.Парамонов, К оценке энергетической политики Евросоюза, роли и места в ней Центральной Азии, Центральная Евразия - Авторский проект Владимира Парамонова. [www.ceasia.ru](http://www.ceasia.ru)

<sup>130</sup> Каныгин П. С. Энергетическая безопасность Европы и интересы России // Мировая экономика и международные отношения. 2007. № 5.

<sup>131</sup> Добрынкин М. ЕС и Россия: в интересах энергетической безопасности // Человек и труд. 2008. № 1.



ნავთობის, იგი აკმაყოფილებს მასზე ევროკავშირის მოთხოვნილების 33%, ხოლო ბუნებრივ გაზზე 46%.<sup>132</sup>

ამრიგად, ნათელია ევროკავშირის სერიოზული დამოკიდებულება ენერგომატარებლების იმპორტზე, რაც პერსპექტივაში კიდევ უფრო გაიზრდება. ეს განსაკუთრებით გამოვლინდა ბოლო პერიოდის მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის და ევროპის ეკონომიკის გასვლით მდგრადი ზრდის ტრაექტორიაზე გასვლით. ეს დამოკიდებულება კარდინალურად გაიზარდა 21-ე ს. დასაწყისიდან, რაც ასევე დაკავშირებული იყო ევროკავშირის გაფართოებასთან.

2000 წელს ევროკავშირის 15 ქვეყანა იმპორტირებას უკეთებდა მოხმარებული ენერჯის 49 %-ს. ფიქრობენ, რომ 2020 წლისათვის ეს წილი გაიზრდება 62%-მდე. ევროკავშირი რომ გაფართოვებულიყო 30 წევრამდე, ასეთი სახის იმპორტისადმი დამოკიდებულება უფრო ნაკლები იქნებოდა 36% დონეზე. ევროკავშირის მწვანე წიგნი ენერგეტიკის საკითხების შესახებ 2000 წლიდან 2020 წლისათვის პროგნოზირებს ამ ციფრის გაზრდას 51 %-მდე. იმპორტის გაფართოების ალტერნატიულ საშუალებებს მოიცავენ სპარსეთის ყურის ქვეყნები, ცენტრალური აზია და რუსეთი.<sup>133</sup>

თუმცა მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკურმა კრიზისმ არ გაამრთლა ის პროგნოზები, რომლესაც ექსპერტები ვარაუდობდნენ ევროკავშირის მიერ ენერგო მატარებლების მოხმარების ზრდასთან დაკავშირებით. მსოფლო საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი დადგომამდე (2008 წლამდე) ევ-

---

<sup>132</sup>ЕС и Россия как торговые партнеры. URL: <http://ru.euronews.net>

<sup>133</sup> Green Paper “Towards a European strategy for the security of energy supply”, European Commission, 2000, Brussels.

Пекка Сутела, Россия и Европа. Некоторые аспекты экономических взаимоотношений, М., Московский Центр Карнеги, 2003

როპის ეკონომიკის დინამიური ზრდის პირობებში ფიქრობდნენ რომ 2020 წლისათვის ევროკავშირი მოიხმარდა 1.2 მილიარდ. ტონა ნავთობს და 800 მილიარდ. კბ. მ. გაზს. მით უფრო რომ ჩრდილოეთის ზღვის შეღწეზე ნახშირწყლების მარაგი მცირდება. მაგრამ უკანასკნელი ხუთი წელია შეიმჩნევა ევროპაში ნავთობის და გაზის მოპოვების შემცირების ზრდის ტენდენცია. თუმცა მსოფლიო კრიზისმა, რომელმაც ყველაზე მეტად სწორედ ევროკავშირი დააზარალა და ამით გავლენა მოახდინა ევროკავშირში ეკონომიკური აქტიურობის და ნახშირწყლების მოთხოვნის მკვეთრ დაცემაზე შეიტანა სერიოზული ცვლილებები ამ პროგნოზებში. ამჟამად თვლიან, რომ 2020 წლისათვის ევროკავშირი აუცილებლად მოახდენს დაახლოებით 525 მილდ. კბ.მ. გაზის (რაც 60% მეტი იქნება 2009 წელთან შედარებით) და 810 მილ. ტონა ნავთობის (რაც 9,5 % მეტია 2009 წელთან შედარებით) იმპორტირებას<sup>134</sup>.

მცდარია ის აზრი, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია მხოლოდ ენერგორესურსების იმპორტის დამოკიდებულების შემცირებაზე ევროკავშირის საზღვრებში. ენერგომომარაგების საიმედოობის ამაღლება ითხოვს პოლიტიკური ინიციატივების შემუშავებასა და მისი ფართო სპექტრის რეალიზაციას.

ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკის ახლი მიდგომის ფორმირებამ მოითხოვა ერთიანი ენერგეტიკული დიპლომატიის ჩამოყალიბება. „ევროპის ენერგეტიკული პოლიტიკა“ ევროკომიის თანამშრომლობაში პირველად იქნა აღიარებული საერთოდ ყველა მისი წევრისადმი, რომ კავშირის წევრი სახელმწიფოები ენერგეტიკულ საკითხებთან და-

---

<sup>134</sup> А.Строков, В.Парамонов, К оценке энергетической политики Евросоюза, роли и места в ней Центральной Азии, Центральная Евразия - Авторский проект Владимира Парамонова. [www.ceasia.ru](http://www.ceasia.ru)

კაშირებულ საგარეო ურთიერთობებში ერთიანი პოზიციით გამოსულიყვნენ<sup>135</sup>. ევროკავშირის მიერ ერთიანი ენერგეტიკული პოლიტიკის შექმნის მოტივაცია გამომდინარეობს შემდეგი ფაქტების აღიარებიდან:

